

სსიპ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

ნინო ჩირგაძე

სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული
სამედიცინო კულტურა

თბილისი 2010

ნაშრომში საველე-ეთნოგრაფიული მასალისა და საარქივო მონაცემების საფუძველზე განხილულია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, კერძოდ, ამ რეგიონში გავრცელებული დაავადებანი, მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, მკურნალობის ნატუროპათიური და მაგიურ-რელიგიური საშუალებანი. საველე მონაცემების შეჯერებით ძველქართულ სამედიცინო ხელნაწერებთან გამოვლენილია მათი ურთიერთკავშირი და ურთიერთგავლენა, ხალხური სამკურნალო საშუალებათა ეფექტური მოქმედების მიზეზები. წიგნი გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მინდაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ღამბაშიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ქ. ალავერდაშვილი

ნ. ჩირგაძე, 2010
გამომცემლობა „უნივერსალი“

შინაარსი

შესავალი-----

თავი I ქირურგიის ხალხური ტრადიციები-----

თავი II მენობისა და გინეკოლოგიურ
დაავადებათა მკურნალობის
ხალხური ტრადიციები-----

თავი III პედიატრიის ხალხური ტრადიციები-----

თავი IV თერაპიის ხალხური ტრადიციები-----

გამოყენებული ლიტერატურის სია-----

**Traditional Medical Culture
of Samtskhe-Javakheti** -----

შესავალი

ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების წესის სრულყოფილი წარმონეხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ხალხური სამედიცინო სისტემის გამოვლენასა და შესწავლას ენიჭება. ცნობილია, რომ ჯანმრთელობას, ადამიანის ფიზიკურ არსებობას სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში მთავარი ადგილი უკავია. ტრადიციულ სამედიცინო სისტემას ბიოლოგიური და სოციალურ-კულტურული ასპექტები გააჩნია. აქედან გამომდინარე, ტრადიციული სამედიცინო კულტურის კვლევა საინტერესოა, როგორც საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, ისე სამედიცინო თვალსაზრისით. განსაკუთრებით კი დღეს, როდესაც დაბინძურებულმა ბიოგეოგრაფიულმა გარემომ, დაძაბულმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ საფრთხე შეუქმნა ადამიანის ჯანმრთელობას. გავრცელდა მრავალი დაავადება, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში საერთოდ არ იყო ცნობილი, ან კარგა ხნის მივიწყებული იყო. რა თქმა უნდა, შეიქმნა კიდევ მკურნალობის მრავალი საშუალება, მაგრამ ხელოვნური გზით მიღებული წამლები ხშირად მძიმე გვერდით მოვლენებს იწვევს და ადამიანის საერთო მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დადგა ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენების საკითხი, ადამიანები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ტრადიციულ მედიცინას - მკურნალობას ნატუროპათიური: მცენარეული, ცხოველური, მინერალური საშუალებებით.

ნატუროპათიური სამკურნალო პრაქტიკის მიღად არსენალს, როგორც ცნობილია, ხალხური მედიცინა წარმოადგენს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ბუნებასთან ადამიანის ადაპტაციის საუკეთესო გამოცდილებას ემყარება და მრავალ ეფექტურ სამკურნალო საშუალებას მოიცავს. ხალხური მედიცინა კომპლექსური მკურნალობის პრაქტიკასაც იყენებს, რაც თანამედროვე მედიცინაში *ჰოლისტური მეთოდის* სახელითაა ცნობილი და მკურნალობის სხვადასხვა საშუალებასთან ერთად ფსიქოთერაპიის აქტიურ ჩართვას გულისხმობს. ხალხურ მედიცინაში ფსიქოთერაპიული ზემოქმედების ეფექტურ მეთოდებად შელოცვები და სხვადასხვა მაგიურ-რელიგიური წესი თუ რიტუალი უნდა მივიჩნიოთ.

ხალხური სამკურნალო ტრადიციების კვლევა დღეს აქტუალურია, არაერთი ეფექტური სამკურნალო საშუალებისა თუ მეთოდის მიკვლევისა და სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვის პერსპექტივას სახავს.

ამგვარად, ხალხური სამკურნალო ტრადიციების კვლევას არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. სწორედ ამაში მდგომარეობს ტრადიციული სამედიცინო კულტურის კვლევის აქტუალობა.

ტრადიციულ სამედიცინო კულტურას მეცნიერების სხვადასხვა დარგი შეისწავლის. თვით მედიცინა, ბიოლოგია, მედიცინის ისტორია და სხვა. ამ მეცნიერებათა მიზანია სამკურნალო მცენარეებისა თუ სხვა საშუალებების ეფექტური მოქმედების მექანიზმის ახსნა, მათი სამკურნალო პრაქტიკაში დანერგვა, ხალხური მედიცინის როლისა და ადგილის განსაზღვრა არა მარტო სამედიცინო, არამედ საერთოდ ტრადიციულ კულტურაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხალხური სამედიცინო კულტურის ეთნოლოგიურ კვლევას, რომელიც გულისხმობს სამედიცინო ტრადიციების გამოვლენასა და შესწავლას არა იზოლირებულად, არამედ კომპლექსურ მთლიანობაში ყოფის სხვადასხვა ელემენტებთან ურთიერთკავშირში, ბიოგეოგრაფიული გარემოს, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული პირობებისა და სათანადო ეთნოფსიქოლოგიური ფონის გათვალისწინებით (მინდაძე: 2000: 5).

სამცხე-ჯავახეთის ხალხური მედიცინის ეთნოლოგიური კვლევა მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ზოგადქართული კულტურული მემკვიდრეობის სრულყოფილი შესწავლისათვის და როგორც ტრადიციული სამედიცინო კულტურის უნივერსალური ნიშნების მატარებელი, თავისებურ გეოკლიმატურ, სოციალურ-კულტურულ და ისტორიულ გარემოში ჩამოყალიბებული სისტემა, საინტერესოა საერთოდ ხალხური კულტურის კვლევის თვალსაზრისით.

სამცხე-ჯავახეთი, რომელიც ამჟამად ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის ადმინისტრაციული რაიონებისაგან შედგება, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა.

ზემო ქართლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული სახელწოდებაა, რომელიც, როგორც ჩანს, პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცნება იყო (ბერძენიშვილი: 1985: 3).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ქართველთა მამამთავრის - ქართლოსის სიკვდილის შემდეგ, მისმა უფროსმა შვილმა - მცხეთოსმა თავის შვილებს ზემო ქართლი ასე გაუყო: „...და ძესა თვსსა ოძრახოს მისცა ტაშისკარს ზეითი და მტკურის დასავლეთი, ვიდრე ზღუამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე, გურია, ლივანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო; და ამათ ადგილებთა უმეტეს ეწოდა ზემო ქართლი. ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურისა, მისცა მცხეთოს ძესა თვსსა ჯავახოსს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი. და არიან ამათ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკურის აღმოსავლეთი...“ (ვახუშტი: 1973: 656-657).

ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, ოდიტგანვე ქართველები, მესხები ცხოვრობდნენ, რომლებიც აერთიანებდნენ ჯავახებსა და სხვა ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. მესხეთი მთელი ზემო ქართლის ზოგადი სახელია და მოიცავს: სამცხეს, ჯავახეთს, თორს, კოლა-არტანს, შავშეთს, კლარჯეთს, ერუშეთს, აჭარას და სხვ. ამრიგად, „მესხი“ კრებითი სახელია აღნიშნულ პროვინციებში მცხოვრები ქართველი ხალხისა. „ვახუშტომ ძალიან კარგად იცის, რომ ეთნიკურად ჯავახეთის „მოსახლენიც არიან მესხნი“, ისევე როგორც სამცხისა და ზემო ქართლის სხვა მცხოვრებნი“ (ლომსაძე: 1975: 280).

როგორც ცნობილია, მესხეთმა სხვადასხვა დამპყრობლისაგან დიდი შემოსევები განიცადა განსაკუთრებით მძიმე დალი მას ოსმალთა ორ საუკუნოვანმა ბატონობამ დააჩინა. ოსმალები სასტიკად დევნიდნენ მესხების წეს-ჩვეულებებს, ენასა და სარწმუნოებას.

ვახუშტის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთში, ქრისტიანებად დარჩნენ მხოლოდ მცირედნი გლეხნი. აქ ყოველივე ქართული გაუქმდა (ვახუშტი: 1973: 660-661).

სამცხე-ჯავახეთის ისტორიულმა ბედმა განაპირობა აქ ქართველებთან ერთად სხვადასხვა ეროვნებისა და კონფესიის მოსახლეობის ცხოვრება, რამაც თავისთავად გამოიწვია ადგილობრივი და მოსული მაცხოვრებლების სამედიცინო ტრადიციების ურთიერთგავლენა. ეს გარემოება საკვლევი რეგიონის ტრადიციული სამედიცინო კულტურის კვლევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

სამცხე-ჯავახეთი ხასიათდება თავისებური კლიმატით. ზამთარი აქ ხანგრძლივი და მკაცრია, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, ზაფხული კი ცხელი. ვახუშტი აღნიშნავს: „...ხოლო არს ქუეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ხევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შროშნიანი, მდინარიან-წყაროიან ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქუს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძღისი, თვნიერ აგარაკთა. ჰავით მშუენი და კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი“ (ვახუშტი: 1973: 659).

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ა. ფრონელი: „მთელ საქართველოში არ მოიპოვება ისეთი საღი ჰავა როგორცაა ამ მხარეში, რომელიც ჯანმრთელობისათვის მეტად მარგებელია“. ასევე აღნიშნავს, რომ ეს მხარე მდიდარია სამკურნალო წყლებით (ფრონელი: 1991: 116).

არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლით ნათელი ხდება, რომ მესხეთი წარსულში, მეტად დაწინაურებული მხარე იყო, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ეკონომიკითა და მაღალი კულტურით დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში.

„ზემო ქართლი ანუ მესხეთი დიდი კულტურის ქვეყანა იყო. შუა საუკუნეებში აქ განსაკუთრებით ყვაოდა სასულიერო ცხოვრება, რომელიც ყოველთვის ტონს აძლევდა ქართული კულტურის აღმავლობას“ (ლომსაძე: 1975: 282-283).

მესხეთის მაღალი კულტურა შესანიშნავ ნიადაგს ქმნიდა სამედიცინო აზროვნების განვითარებისათვისაც. აქ იყო კერა, ისეთი მნიშვნელოვანი სამედიცინო-სატაძრო კულტურული ცენტრებისა, როგორცაა ხანძთა (ტაო-კლარჯეთში), სადაც გრიგოლ

ხანძოელი მოღვაწეობდა, აგრეთვე ხანძოის მიერ დაქვემდებარებული მონასტრები, მაგ., „საბაწმინდის მოღვაწენი მედიცინაში განსწავლული იყვნენ და მკურნალობასაც ეწოდნენ“ (შენგელია: 1970: 92).

ისეთი უნიკალური კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი, როგორცაა ვარძია, სწორედ ამ მხარეში იყო აშენებული. ვარძიას „წამლის სასახლეს“ ეძახიან, რომელშიც იყო სასნეულეც. მისი წესდება ითვალისწინებდა „სნეულთა და უძღურად მყოფთა ძმათათვის“ მესნეულის თანამდებობას, დღეში სამჯერ სნეულთა „შემოვლას“ და მათ „უშურველ“ უზრუნველყოფას კვებითა და სხვა ყოველგვარი საჭიროებით“ (შენგელია: 1970: 127).

სამცხე-ჯავახეთის ხალხური მკურნალობის ტრადიციების შესწავლა, მათი თავისებურებების, სიძველის, თვითმყოფადობის დადგენა და მთელი რიგი სამკურნალო საშუალებათა რაციონალური მხარის გამოვლენა მნიშვნელოვანია, როგორც საერთოკულტურული მემკვიდრეობის, ისე ტრადიციული სამედიცინო კულტურის კვლევისათვის.

თავი I

ქირურგიის ხალხური ტრადიციები

ჭრილობების მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთში ჭრილობის ყველაზე მეტად გავრცელებული სახელწოდებებია: „იარა“ და „წყლული“.

წყლული ჭრილობის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი სიტყვაა (იაკობ ხუცესი: 1982: 22). ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების მიხედვით, წყლული არა მარტო ჭრილობას, არამედ მთლიანობის ყოველგვარ დარღვევას აღნიშნავდა, რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული - ჭრილობის მიყენებით თუ სხვა რაიმე მიზეზით (სააკაშვილი, გელაშვილი: 166). ჭრილობის აღმნიშვნელი ძველი ტერმინია იარაც, რაც სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „თურქთა ენითა წყლულსა ჰქვიან“ (ორბელიანი: 1991).

სამცხე-ჯავახეთში ანსხვავებდნენ ჭრილობის სახეებს: „მსუბუქი“, „ჰავა აღებული“ (გაციებული), „დაჩირქებული“ (ინფიცირებული), „გაძალღებული“ (დანეკროზებული) და მათ შესაბამისად მკურნალობდნენ.

ჭრილობის მკურნალობა გარკვეული თანამიმდევრობით მიმდინარეობდა, რაც პირველ რიგში გულისხმობდა ჭრილობის გაწმენდა-გასუფთავებას-დეზინფექციას, სისხლის დენის შეჩერებას და შემდეგ ქსოვილის აღდგენას.

ჭრილობას გაასუფთავებდნენ არცაა ან წყლით, შემდეგ ხმარობდნენ სისხლის შესაჩერებელ საშუალებებს: მარილს, აბლაბუდას//ბაბაჭუას, შაქრის ფხვნილისა და ერბოს ნაზავს, თამბაქოს [Nikotiana tabacum] ფოთოლს, იარდალის//ნარმის ნაცარს, მელაკუდას [Alopecurus] ნაყენს და სხვა. აბლაბუდას ქსელს პირდაპირ დაადებდნენ იარაზე, თამბაქოს ფოთოლს - ნედლად ან ფხვნილის სახით. სისხლის დენის შესაჩერებლად იცოდნენ დამწვარი ნარმის ნაცრის მოყრა. მელაკუდას კი გარეცხავდნენ, არაყს ან სპირტს დაასხამდნენ და ამ ნაყენით მოასუფთავებდნენ ჭრილობას. მელაკუდას ნაყენი ახდენდა ჭრილობის დეზინფექციას და სისხლის დენის შეწყვეტასაც უწყობდა ხელს. ეფექტურად ითვლებოდა აგრეთვე შაქრის ფხვნილისა და ერბოს ნაზავი. ორ სუფრის კოვზ შაქარს შეურევდნენ ცოტაოდენ ერბოს, ჭრილობას წაუსვამდნენ და გადაახვევდნენ სუფთა, რბილი „ნარეცხი“ ნაჭრით.

გადმოცემით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალება სისხლის დენას სწრაფად წყვეტდა.

განსაკუთრებით პოპულარული იყო მელაკუდას სპირტიანი ნაყენი, რომელიც სამკალში მიმავალთ წელზე პატარა შუშებით ეკუდათ (შენგელია: 1952: 27), ალბათ იმის გამო, რომ დაჭრილისათვის პირველი დახმარება გაეწიათ.

ჭრილობის შესახორცებლად, ქსოვილის აღსადგენად იყენებდნენ სხვადასხვა ცხიმისა და მცენარისაგან დამზადებულ მაღამოს. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო: ნაძვის [Pinea] ფისის, თაფლის, სანთლის, უმარილო კარაქის ან კვერცხის გულის,

ხორბლის ფქვილისა და კარაქისაგან შეზავებული მაღამოები, რომლებიც სხვადასხვანაირად მზადდებოდა: უმარილო კარაქს, სანთელს, ნაძვის ფისს თანაბარი რაოდენობით გადაადნობდნენ, შეურევდნენ ცოტაოდენ თაფლს, ან ორი კვერცხის გულსა და ნახევარ სუფრის კოვზ გამდნარ კარაქს, შიგ ამოუკიდებდნენ//ჩაყრიდნენ ცოტაოდენ ხორბლის ფქვილს, შემდეგ ამ ნაზავს ნარეცხ (რბილ) სუფთა ნაჭერზე წაუსვამდნენ და ჭრილობას დაადებდნენ. ავაჯუას//ძირწითელას [Echium rubrum] ქოქების//ფესვების ნახარშს დაუმატებდნენ საკმევებს და ნახევარი სუფრის კოვზ გადადნარ სანთელს ერმანეთში კარგად ახელებდნენ და მიღებულ მასას ადებდნენ ჭრილობაზე.

მაღამოებით მკურნალობა საქართველოში უძველესი ტრადიციების მქონეა. არის მოსაზრება, რომ პალეოლითის ეპოქის ერთ-ერთ გამოქვაბულში (საკაუია) ნანახი ცხოველის ძვლის ტვინისა და ქონისაგან დამზადებული ნაზავი სამკურნალო დანიშნულებისა იყო (ნიორაძე: 1953: 59).

ასეთი სახის მაღამო საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (სვანეთი) დღესაც გამოიყენება (ბურდული: 2000: 117).

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წერილობითი ცნობები. „შუშანიკის წამებაში“ ასახულია ჭრილობათა დამუშავების ზოგიერთი მეთოდი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ჭრილობას მკურნალობდნენ მაღამოს საშუალებით. „...მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თვალთა შენთა შთაცვეულ არს, და საღბუნი და წამალი დაგდვა...“ (იაკობ ხუცესი: 1982: 14). X საუკუნის სამედიცინო წიგნში „უსწორო კარაბადინი“ აღწერილია ჭრილობათა ეტაპობრივი მკურნალობა, მაგრამ განსხვავებული მეთოდით: „თუ ცოტა იყოს გაკვეთილი, ფიცხლავ პირი შეუკარ, მაგრად შეუხვივე და სამსა დღესა ნუ გახსნი, მერმე გახსენ და პირი გაუღე, რომე გარ გამოვიდეს...“ (ქანანელი: 1997: 509). ჭრილობათა დიფერენცირებული მკურნალობა აღწერილია XVI საუკუნის წყაროში „იადიგარ დაუდი“: „ვისაცა დაკოდილისა და ან გახეულიდამან სისხლი არ დასწყდეს, მოიტანე მუანას ძირი და ან ფოთოლი, დანაყონ და ან ისრე დაადვან და მაშინვე სისხლსა დასწყუეტს. და ერთი დაკოდილი და ან მუწუკი რომე ანასური შექმნილიყოს, ვითამცა და გასწყრომოდეს და გასძნელებოდეს, და იმაზედა დაადვა, იმ რიგსა წყლულსა მაშინვე მოაბრუნვებს და გაათავებს“ (იადიგარ დაუდი: 1985: 536).

ამგვარად, სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული ჭრილობათა მკურნალობის ტრადიცია უფრო ახლო დგას „იადიგარ დაუდი“ აღწერილ ჭრილობის მკურნალობასთან.

ჭრილობათა ეტაპობრივი და მაღამოებით მკურნალობა აღწერილია იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშიც“ - „ხოლო დაჭრილთა ახმარებდნენ ქონით ქმნილსა ბალახთა მოხარშულსა მაღამოდ, აგრეთვე სისხლის დასაწყვეტად აბლაბუდას, გოგირდსა“ (ვახუშტი: 1984: 232).

სამცხე-ჯავახეთში „გაციებულ“, სიცივისაგან დაწითლებულ და შესიებულ ჭრილობაზე იტყობდნენ: „ჰავა აილო“.

ძველ ქართულში „ხაო“ სიცივით წყლულის გასიებას ნიშნავდა (ორბელიანი: 1993). ეს ტერმინი გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გაციებულ ჭრილობას „დახავებულს“ ეძახდნენ (მინდაძე: 1981: 21).

„ჰავა აღებულ“ ჭრილობას, პირველ რიგში, სითბური საშუალებებით მკურნალობდნენ: გაუკეთებდნენ არყის კომპრესს, თუ ეს არ უშველიდა და სიმსივნეს არ დააცხრობდა, მაშინ დაადებდნენ შემწვარ ხახვს, საფუარს, მჟავე პურის ცომს ან სელის ფაფას (ერთ მუჭა სელის ფქვილს შეურევდნენ ნახევარი ღვინის ჭიქა ზეთს ან ერბოს).

დაჩირქებულ ჭრილობას მკურნალობდნენ თანამიმდევრულად. თავდაპირველად არყით გაასუფთავებდნენ, გამოსარწყავად დაადებდნენ გასუფთავებული კომბოსტოს [Brassica] ფოთოლს, ლავარძარღვას/მრავალძარღვას [Plantago major], ცხვრის დუმას, თაფლწასმულ თუთის ტყლაპს... და ჭრილობას გადაახვევდნენ ნარეცხი ნაჭრით. ეს საშუალებები ხელს უწყობდა როგორც დამწიფებას, ისე გამორწყვას.

ზოგჯერ ჩირქის გამოსადებად სპეციალურ მაღამოს ამზადებდნენ, რომელიც მოსახლეობის განმარტებით, უფრო კარგად მოქმედებდა. ნაძვის ფისს, კარაქს, თხის ქონს, თაფლის სანთელსა და მზესუმზირას [Helianthus annuus] ზეთს თანაბარი რაოდენობით (ნახევარი ღვინის ჭიქას) ერთმანეთში შეურევდნენ, გადაადულებდნენ და დაჩირქებულ ჭრილობას წაუსვამდნენ, შემდეგ კი გადაახვევდნენ. გამორწყვის შემდეგ იარას ჩვეულებრივი ჭრილობის შესახორცებელი საშუალებებით მკურნალობდნენ. ეფექტურად

ითვლებოდა ჭრილობის შესახორცებელი სპეციალური მაღამო, რომელიც შემდეგნაირად მზადდებოდა: ნახევარი ღვინის ჭიქის რაოდენობით ნაძვის ფისს, თაფლის სანთელს, ბატის ქონს ერთად გადაადნობდნენ და შეურევდნენ ძირწითელას გამხმარი ფესვების ფხვნილს. ამ მაღამოს ჭრილობას ქათმის ფრთით წაუსვამდნენ და გადაახვევდნენ.

ღრმა, დაჩირქებული ჭრილობების დროს ტამპონებს ხმარობდნენ. პირველ რიგში ჭრილობას თბილი წყლით ამოასუფთავებდნენ, შემდეგ კი ნარმის პატარა ნაჭერს მაღამოს წაუსვამდნენ და ჭრილობაში ჩადებდნენ.

ტამპონებით, „პატრუქით“ მკურნალობა საქართველოში ძველთაგანვე იყო ცნობილი. „პატრუქი“, საბას განმარტებით, „სანთლისა და ბამბის ჩლა-სანთლის გული გინა ბაზმის გულია, ხოლო ჩლა-ნაძენძი რამე, ბამბის ნასთის ნაშალია“ (ორბელიანი: 1993).

ტამპონებით, „პატრუქით“ მკურნალობა აღწერილია ძველ სამედიცინო ხელნაწერებშიც: „თუ ეს დაკოდილი თავს იყო, ზარავანდი ღვინითა მოადუღე და მერმე კიდევ გაახმე და დანაყე. თუ ღრმად იყოს პატრუქით შეუდეგ“ (ქანანელი: 1997: 509).

ტამპონებით მკურნალობა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. გვხვდება ტამპონის აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინი: „სელი“ (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი), „პატრუქი“, „ფთილა“. საქართველოს მთაში დამოწმებულია ტამპონებით მკურნალობის საინტერესო მეთოდი. სელის ან კანაფის გაძენილ თოკს ან ნარეცხ რბილ ნაჭერს გამდნარ თაფლის სანთელში ამოავლებდნენ, შემდეგ ჭრილობის//წყლულის მაღამოს წაუსვამდნენ ჭრილობაში ჩადებდნენ და გადაახვევდნენ. გარკვეული დროის შემდეგ გახსნიდნენ და ჭრილობის მდგომარეობის მიხედვით განაგრძობდნენ მკურნალობას (მინდაძე: 1981: 18).

სამცხე-ჯავახეთში დანეკროზებულ ჭრილობას „გაძაღლებულს“ უწოდებდნენ. მას თავდაპირველად ჩვენ მიერ ზემოაღწერილი მეთოდებით და საშუალებებით მკურნალობდნენ. თუ ასეთი მკურნალობა შედეგიანი არ იყო და მიმდებარე ქსოვილის ჩათრევის, განგრენის განვითარების საშიშროება იქმნებოდა, მიმართავდნენ რადიკალურ მეთოდს - გახურებული ასტამით ჭრილობის „დაშაშხვას“, რითაც „წყლულის გავრცელებისაგან“ (მიმდებარე ქსოვილის ინფიცირებისაგან) თავს იზღვევდნენ. ამის შემდეგ ჭრილობას უკვე დამწვრობის სპეციალური მაღამოთი მკურნალობდნენ.

ჭრილობათა ხალხური მკურნალობის სამცხე-ჯავახეთში დადასტურებული ზოგიერთი საშუალება მოხსენიებულია ძველ სამედიცინო წიგნებში: „...ვინცა ესე მელისკუდას ყუავილი დაჭეჭკოს, და მოხარშოს, და მსივანსა ალაგ ზედა დაიდვას, თუ ესე სიმსივნე სიგრილისაგან იყოს, დაფანტოს და გააქროს“ (იადიგარ დაუდი: 1985: 403).

ჭრილობათა ზოგიერთი ხალხური სამკურნალო საშუალება თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია. მაგალითად, არყის გამოყენება დეზინფექციის, კომპოსტოს ფოთლის კომპრესი ჩირქის კონცენტრირებისა (თავმოყრის) და მელაკუდას - სისხლის დენის შეჩერების, ანთების ჩაქრობის მიზნითა და სხვა. ფარსმანდუკის სამკურნალო თვისებები განპირობებულია მასში ეთეროვანი ზეთის, პროაზელენის, ტანინის და სხვა კომპონენტების არსებობით (Современная фитотерапия: 1988: 364).

დამწვრობის მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია დამწვრობათა მკურნალობის საკმაოდ ეფექტური საშუალებანი. აქ განასხვავებდნენ სხვადასხვა სახის დამწვრობას: ცეცხლით, წყლითა და რძით დამწვარს და მათ სხვადასხვანაირად მკურნალობდნენ. ყველაზე იოლად ცეცხლის ალით დამწვრობა ითვლებოდა, ყველაზე რთულად კი რძით დამწვრობა.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ანსხვავებდა სხვადასხვა ხარისხის დამწვრობას: „ატკრეცილი“ (I ხარისხის დამწვრობა) ხალხური აღწერილობით, როდესაც კანი გაწითლდება და ოდნავ შესივდება, II ხარისხის, როდესაც კანზე ბუშტუკები - წყლულები გაჩნდება და III ხარისხის, როდესაც კანი შავდება ე.ი. ქსოვილი დანეკროზებას იწყებდა. გადმოცემით: „ცხრა დღე ღრმად მიდის დამწვარი, მერე კი ამოშრება“, ე.ი. ცხრა დღის მერე მორჩენას დაიწყებდა.

დამწვრობის ზემოაღნიშნული დიფერენციაცია ძველ ქართულ მედიცინაშიც არის დადასტურებული: „ნიშანი ცეცხლითა დამწუარისაი ორფერი არის რომელი ასოთა ტყავი დამწუარისაი ყუავილივითა გაბერილ იყოს..., და ესე უვარესი იქნების... ეგეთსა დამწუარსა

რომელ გაბერილი გამოჩნდეს იგი არს. რომელ ძაღლის ყურძნისა წყალი და ვარდის წყლითა დია ზეღონ ერგების. და თუ ვარდისა წყალი და გარცხლისა ქრთილისა ფქვილი და კვერცხისა ყვითელი და ვარდი ყოველი მალჰამად შექნას და მიწყით სცხებდეს“ (წიგნი სააქიმო: 1936: 295).

სხვადასხვა ხარისხის დამწვრობას აქ განსხვავებული საშუალებებით მკურნალობდნენ. მაგ., მსუბუქი დამწვრობის შემთხვევაში დაზიანებულ არეზე ადებდნენ ცივ მარილწყალში, მჟავე მაწონში, ჭინჭრის [Urtica urens], იფნის [Fraxinus] ქერქის ნაყენში დასველებულ ან ჭანჭურის „ფელვერდაში“ (ხილფაფა), რძის ნაღებში, ერბოში და კვერცხის გულში ამოვლებულ საფენებს და მსუბუქად გადაახვევდნენ საფენის ფიქსაციის მიზნით. ადებდნენ აგრეთვე გაჭრილ, უმ კარტოფილს, კომბოსტოს ფოთოლს და ა.შ. გადმოცემით ყველა ეს საშუალება დამწვრობით გამოწვეულ სიმხურვალეს აგრილებდა და გაჩენილ წყლულებს მოამშრალებდა.

რომელ დამწვრობაზე თავდაპირველად ზემოთ ჩამოთვლილ გამაგრილებელ და მოსამშრალებელ საშუალებებს ხმარობდნენ, ხოლო შემდეგ კი მალამოებით აგრძელებდნენ მკურნალობას.

ყველაზე მეტად გავრცელებული იყო: კვერცხის გულის, უმარილო კარაქის, თაფლის სანთლის, ზეთისა და ფქვილისაგან დამზადებული მალამო. ამზადებდნენ შემდეგნაირ მალამოსაც: ქათმის, ღორისა და ძროხის ქონს, მზესუმზირის ზეთს, თაფლის სანთელს და ნაძვის ფისს თანაბარი რაოდენობით ერთად მოადულებდნენ, გააციებდნენ და მიღებულ ნაზავს ქათმის ფრთით უსვამდნენ დაზიანებულ არეზე. ზემოდან ქათმის ბუმბულის გაცრილ ფერფლს მოაყრიდნენ - მალამო ნაჭერს რომ არ მიეკროდა.

გამოიყენებოდა სხვა სახის მალამოც: ძირწითელას ფესვებს 3-4 ცალს გაასუფთავებდნენ, დანაყავდნენ, ჩაყრიდნენ ერთ ჩაის ჭიქა ერბოში და რამდენიმე ხანს ადულებდნენ, შემდეგ შეურევდნენ ერთ სუფრის კოვზ თაფლის სანთელს და ერთხელ წამოადულებდნენ. მიღებულ მასას გააციებდნენ და დამწვარზე თხლად გადაუსვამდნენ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მალამო ხელს უწყობდა დამწვრობის მოშუშებას და „კანის მოყვანას“ ე.ი. ქსოვილის აღდგენას.

რომელი დამწვრობის შემთხვევაში მიმართავდნენ შელოცვასაც:

„ელი, ელი ელანდაო
წითელ ხუცესს ხარი შეებაო,
ზღვასა ხნამდა, ქვიშას სთესდა,
ვინ ნახა კლდე ხნული
ქვიშა სამდღის იქით გაძნელებული,
ჩიქილა დაკერებული“ (ზედგენიძე: 1946: 39).

დამწვრობის მკურნალობის ზოგიერთი ხალხური საშუალება ძველი ქართული ხელნაწერებიდანაცაა ცნობილი. მაგ., „ახლადდამწურისათვის კვერცხის ცილი ერბოთ დაზილე და შემოსდევით, კარგია და მარგე“ (ქანანელი: 1997: 508).

დამწვრობის ხალხური საშუალებანი შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმებს, ბაქტერიოციდებს და ვიტამინებს, რაც ხელს უწყობს ქსოვილის კვებას და აღდგენას, მას ინფექციისაგან იცავს და ანთებით პროცესს ამცირებს. მაგალითად, იფნის ქერქის გამოყენება ხელს უწყობს დამწვრობის შემთხვევაში წყლულის მოშრობა-შეხორცებას, ეს მცენარე შეიცავს ესკულინს, რომელსაც გააჩნია ვენის კედლის კაპილარების გამტარობის გაძლიერებისა და ანთების საწინააღმდეგო თვისებები (Современная фитотерапия: 1988: 156). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შელოცვის შესახებ. შელოცვა ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებას ახდენდა და ხელს უწყობდა ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას, ტკივილის შეგრძნების შემცირებას და ნერვული სისტემის დაწყნარებას.

ყოველივე ზემოთხსენებული განაპირობებდა დამწვრობის ეფექტურ მკურნალობას სამცხე-ჯავახეთში.

მოტეხილობის მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთში დავამოწმეთ ზედა და ქვედა კიდურების, ნეკნების და სხვ. ღია და დახურული მოტეხილობების მკურნალობის საინტერესო მეთოდები. ადგილობრივ დასტაქართა აღწერით მოტეხილობას ახასიათებდა შემუშავება, ძლიერი ტკივილი და კიდურების მოძრაობის შეზღუდვა. კიდურის დახურული მოტეხილობის დროს დასტაქარი

დაზიანებულ არეს ხელით გასინჯავდა და ძვლებს ხელითვე ფრთხილად გაასწორებდა, ზოგჯერ ავადმყოფს წინასწარ ერთ ჭიქა არაყს დააღვინებდა ტკივილის შეგრძნების შესამცირებლად, შემდეგ „იარდალზე“ - ნარმის ნაჭერზე წაუსვამდა „იახს“. იახი სხვადასხვანაირად მზადდებოდა: ზოგ შემთხვევაში იგი კვერცხის გულის, ზოგჯერ ცილის, ხორბლის ფქვილისა და საქონლის ბეწვის ნაზავს წარმოადგენდა. ხმარობდნენ ე.წ. „ფისიახსაც“ (რბილ ნაჭერზე წასმულ გამდნარ გუმბრინს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა შავ ფისს უწოდებდა). „იახს“, „ფისიახს“ დაზიანებულ არეზე შემოადებდნენ და გაადახვევდნენ. იახი მჭიდროდ ეკვროდა დაშავებულ კიდურს, ახდენდა მის ფიქსაციას და თაბაშირის მოვალეობას ასრულებდა. ზემოდან იახს არტახებს დაადებდნენ და თოკს გადაუჭერდნენ. არტახი 3-4სმ. სიგანის ოთხი თხელი ფიცარი იყო, რომელსაც რამოდენიმე ადგილას (თავსა და ბოლოში) თოკის გასაყრელად ნახვრეტი ჰქონდა. 15-20 დღეში ავადმყოფს ქავილი თუ დაეწყებოდა, იტყოდნენ „გაკეთებაზეაო“ ე.ი. მოტეხილობა შესორცებისკენ მიდიოდა, იახიც ადვილად აძვრებოდა. ამის შემდეგ დასტაქარი ნახვევს გახსნიდა, იახს მოხსნიდა, თბილ აბაზანას გაუკეთებდა და დაზიანებულ არეს ღორის ქონით დაუშუშავებდა. თბილი აბაზანა, ღორის ქონით შეხედვა სისხლის მიმოქცევასა და ქსოვილის კვებას აუმჯობესებდა, ასევე გაუხეშებული კანის დარბილებას უწყობდა ხელს.

ა. ღლონტის განმარტებით, „იახე“ ჯავახურად ნიშნავს „მუშამბას“, გაფისულ ან მაღამოწასმულ ტილოს, რომელსაც დაზიანებულ ადგილზე აკრავენ მოსარჩენად (ღლონტი: 1974).

„იადი“, უფრო სწორად „იად-ლავაში“, როგორც შემოსადები საშუალება, აღწერილია XVI საუკუნის ხელნაწერში „იადიგარ დაუდი“. იადი თურქული სიტყვაა და იგი ქონს, კარაქს, ცხიმს აღნიშნავს (იადიგარ დაუდი: 1985: 707). როგორც ჩანს, იად-ლავაში ცხიმწასმული, ცხიმით დარბილებული ლავაში იყო, რომელსაც სხვადასხვა ტრავმული დაზიანების დროს შემოსადებად ხმარობდნენ. საინტერესოა, რომ მსგავსი საშუალება დამოწმებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც დახურული მოტეხილობის დროს, დაზიანებულ არეს ფეტვის ფქვილისაგან მოზეული ლავაშის ფორმის თხლად გაბრტყელებულ ცომს დაადებდნენ, რომელსაც ზოგჯერ თაფლს ან ამ უკანასკნელ ხანებში კვერცხის გულსაც შეურევდნენ და დღე-ღამის განმავლობაში დატოვებდნენ. ცომი გახმებოდა, ხოლო ის ადგილი, რომელიც სველი რჩებოდა მიუთითებდა ტრავმის ადგილზე (მინდაძე: 1981: 36).

საინტერესოა, რომ იახის მსგავსი საშუალებებით მკურნალობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო გავრცელებული. თვით სახლეწოდება კი გვხვდება ძირითადად საქართველოს სამხრეთ რეგიონებში. მთიან აჭარაში მოტეხილობის დროს დაზიანებულ არეზე დაადებდნენ ე.წ. „ზუთხს“ (კვერცხის გულის, თხის ბალნის, ხორბლის ფქვილის ნაზავი) ან „ფისიახს“ (კარაქის, ნაძვის, შავი ფისის და თხის ბალანის ნაზავი) და ზემოდან არტახებით შეუკრავდნენ.

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო საშუალებების: „იახის“, „ზუთხისა“ და „იად-ლავაშის“ მოქმედების მიზანი მოტეხილი კიდურის იმობილიზაცია და ქსოვილის კვება იყო.

მოტეხილობის დროს თუ ძვალი არასწორად შესორცდებოდა, მაშინ ორ ცოცხალ კალმასს სიგრძეზე გაჭრიდნენ, დაზიანებულ ადგილზე დაადებდნენ და გადაუხვევდნენ. ითვლებოდა რომ ცოცხალი კალმახი ძვლებს დაარბილებდა. მეორე დღეს ნახვევს გახსნიდნენ, „დარბილებულ“ ძვლებს გაასწორებდნენ და იახით შეუკრავდნენ.

კალმახით მკურნალობა წალკის რაიონში აღწერილი აქვს ა. სიხარულიძეს. მისი მონაცემების მიხედვით, წალკის რაიონში დანაყილ ცხვრის ღუმელში არეულ კალმახს იყენებდნენ ხელის ან ფეხის მოტეხილობის დროს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ძვალი სახსრიდან იყო ამოვარდნილი ან მოტეხილობა არასწორად იყო შესორცებული. ასეთ შემთხვევაში დაზიანებულ არეს ცხელი წყლით მობანდნენ, შემდეგ ერთმანეთში არეულ დანაყილ ცხვრის ღუმას და კალმახს დაადებდნენ და მაგრად გადაუკრავდნენ. როგორც ითქვა, მოტეხილობას ცოცხალი კალმახითაც მკურნალობდნენ. თევზს შუაზე გახლეჩდნენ, დაზიანებულ არეზე დაადებდნენ და მაგრად გადაუკრავდნენ. ასეთი წესით ძვლებს არბილებდნენ, ასწორებდნენ და ფიქსაციას ახდენდნენ. ეს ხელს უწყობდა ძვლების უმტკივნეულოდ გასწორებას (სიხარულიძე: 1970: 92-93).

იმობილიზაციის ტრადიციული მეთოდი აღწერილია X საუკუნის ძეგლში „უსწორო კარაბადინი“. მაგალითად, „თუ მოტეხილი იყოს ძვალი ფერხისა. ანუ ხელისა, კარგად და ხერხიანად უნდა დაწყობა. ფერხისა, ასრე უყავ, რომე ფერხისა ცერი ცერსა დაუპირისპირე და ერთმანეთსა მიუკარ, წაავლე ხელი და დაუწყე მართვა. აგრევე ხელსა უყავ... და ზედა მაგრა არტახი მოტეხილისაგან უფრო გრძელი უყავ ასრე, რომე მოტეხილი დაიჭიროს, მთელზედა შეკრას. ოთხითა თითითა უფრო გრძელი უნდა მოტეხილისაგან. და მწვედ არ უნდა მოკურა. ასრე უნდა, რომე სისხლი შიგ იარებოდეს, თვარა მოვარდების“ (ქანანელი: 1997: 506-507).

ღია მოტეხილობის დროს დაზიანებულ არეზე წინასწარ ამოჭრილ არტახებს დაადებდნენ და ისე გადაუხვევდნენ. ჭრილობის ადგილი ღია რჩებოდა და მას წამლობდნენ ჭრილობის მალამოებით.

„უსწორო კარაბადინში“ აღწერილია ღია მოტეხილობის ანალოგიური მკურნალობა - „თუ გატეხილსა სისხლი სდიოდეს, მას ასრე უნდა: სადაცა სისხლი სდიოდეს, ის ადგილი მწურისაგანცა და ფიცრისაგანცა ცარიელი ამყოფოს, რომე შიშველი ჩნდეს“ (ქანანელი: 1997: 507), რაც შეესატყვისება თანამედროვე მედიცინაში ღია მოტეხილობების ფანჯრიანი ნახვევის დადების წესს.

ნეკნების მოტეხილობის დროს სოფლის ექიმი ხელით გაასწორებდა მოტეხილ ნეკნებს და გულ-მკერდს „მუშამბით“ (სანთელში ან შავ ფისში ამოვლებული მატერია), „იახით“, „კუპრიელით“ (თხის მოკუპრული ტყავი) ან ახალდაკლული თხის ტყავით გადაუხვევდა. გამოშრობის შემდეგ ეს საშუალებანი მჭიდროდ შემოეკვრებოდა დაზიანებულ არეს და მის ფიქსაციას ახდენდა.

ანალოგიური მეთოდი გავრცელებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ახალდაკლული ცხვრის ტყავით შეხვევას თითქმის ყველგან მიმართავდნენ. ხევისურეთში ტრავმირებულ ნეკნებს ჯერ არყით ან რაიმე ცხიმით დაამუშავებდნენ, შემდეგ დაბეგვილ ფილტვს დაადებდნენ, გარედან კი „კუპრიელს“ ან ახალდაკლული ცხვრის ტყავს შემოახვევდნენ და თოკით „დასწარბავდნენ“, გადაახვევდნენ (მინდაძე: 1981: 62).

ზემოაღწერილი მკურნალობის წესებიდან ნათლად ჩანს, რომ მოტეხილობის მკურნალობა სამცხე-ჯავახეთში ეტაპობრივად მიმდინარეობდა - გულისხმობდა დაზიანებული არის დამუშავებას, ძვლების გასწორებას, აცდენილი მოტეხილობის შემთხვევაში, ფიქსაციას მაფიქსირებელი (ღია მოტეხილობის დროს ფანჯრიანი) ნახვევით და არტაშნებით. ამგვარად ხდებოდა დაზიანებული კიდურის იმობილიზაცია და აღდგენა-შეხორცება.

ნაღრძობის მკურნალობა

ნაღრძობზე იტყოდნენ „ძარღვები შეშინებული“ აქვსო. გადმოცემით, ნაღრძობს ახასიათებდა კიდურის შესიება და ძლიერი ტკივილი. პირველ რიგში დაზიანებულ არეს დაუხელებდნენ ერბოთი, თაფლით, ძმრით, კაკლის [Juglans] ზეთით და სხვა. შემდეგ კი უკეთებდნენ საფენებს: ყველის შრატში დასველებული ნაბდის ან შალის ნაჭერს „ღველფში“ (ნაცარში) ამოავლებდნენ, რასაც „ნაბადთუთქს“ ან „შალთუთქს“ ეძახდნენ ან საროს//ლაშქარას [Symphatum caucasicum] ბალახს დანაყავდნენ შაბთან ერთად, შეურევდნენ არაყს, გაათბობდნენ და ისე დაადებდნენ. იცოდნენ ნაღრძობის შელოცვა:

„სამჯერსა მამლის ყივილსა
პირველსა, პირველ ღვთისასა
ძარღვები, ტამრები ბანდებოდეთ
და ქრებოდეთ
ბრძანებითა ღვთისაო ამინ“ (ზედგენიძე: 1946: 41).

არსებობდა შელოცვის სხვა ვარიანტიც:

„ცერცველაი გორდებოდა
ნაღრძობობაი კეთდებოდა
წყალში ფიქალი გღია“ (ჩირგაძე: 1988: 12).

ნაღრძობის მკურნალობის ზემოაღწერილი პრინციპები ანალოგიურია თანამედროვე მედიცინაში გავრცელებული მკურნალობის პრინციპებისა. აღსანიშნავია, რომ მცენარე ლაშქარა გამოიყენებოდა მოტეხილობებისა და ნაღრძობის სამკურნალოდ საქართველოს

სხვადასხვა კუთხეში. თანამედროვე მედიცინაში სხვადასხვა ტრავმის ლაშქარას ფესვების ნახარშით მკურნალობა მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რადგან იგი ქსოვილის რეგენერაციას უწყობს ხელს (Йорданов, Никонов, Бойчинов: 1970: 268).

ყურადსაღებია, რომ ისევე როგორც დამწვრობის შემთხვევაში, ნადრძობის დროსაც მიმართავდნენ ფსიქოთერაპიულ მკურნალობას - შელოცვას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძლიერი ტკივილის შემთხვევაში ხელს უწყობდა ნერვული სისტემის დამშვიდებასა და ტკივილის შეგრძნების დაქვეითებას.

დაუქვილობის მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა არჩევდა მსუბუქ (იოლ) და რთულ დაუქვილობას. ადგილობრივ მკვიდრთა აღწერით, მსუბუქ დაუქვილობას ახასიათებდა: სილურჯე, ტკივილი, შესიება, ხოლო რთულს უფრო მკვეთრად გამოხატული იგივე სიმპტომები: უფრო მუქი სილურჯე, ძლიერი ტკივილი და დაზიანების უფრო დიდი არე. იოლ დაუქვილობაზე დაადებდნენ ახალდაკლულ საქონლის დაჩქეველ, თხლად გაბრტყელებულ ხორცს ან „ჯიგარს“ (ღვიძლი). უკეთებდნენ შემდეგნაირ კომპრესსაც: „დანაყილ“ ცხვრის ღუმას დაასხამდნენ არაყს ან ძმარს დაზიანებულ არეს შემოადებდნენ და გადაუხვევდნენ ან გამთბარ არაყში შაბის ფხვნილს გახსნიდნენ, შიგ ნარეცხ ნაჭერს დაასველებდნენ, გაწურავდნენ, დაუქვილზე დაადებდნენ და თბილად შეუკრავდნენ.

ძლიერი დაუქვილობის დროს თუ დაზიანება სხეულის დიდ არეს მოიცავდა, ავადმყოფს შეახვევდნენ ახალდაკლული საქონლის შაბმოდრულ ტყავში. ერთი ან ორი დღე ასე დატოვებდნენ, შემდეგ კი ნახევრს შეხსნიდნენ. შეამოწმებდნენ დაუქვილობის მდგომარეობას, თუ სილურჯე ნაკლები იყო, სიმსივნე დამცხრალი, ტკივილიც დაამბებული, მაშინ საქონლის ტყავში აღარ შეახვევდნენ, ხოლო თუ დაუქვილობის სიმპტომები ისევ ძლიერად იყო გამოხატული, გააგრძელებდნენ საქონლის ტყავით მკურნალობას. მთხრობელთა განმარტებით, ახალდაკლული საქონლის ტყავი პირველად „სისხლს დაფანტავდა“, ე.ი. ხელს უწყობდა სისხლჩაქცევის გაწოვას. ერთ-ერთი ინფორმატორი გადმოგვცემს: „ხიდან ჩამოვარდნილა კაცი და მთლიანად დაბეჭიდა, ცხვარი გაატყავეს, შაბი მოაყარეს და მასში გაახვიეს“ (ჩირგაძე: 1988: 17). ასეთი მკურნალობის შედეგად ავადმყოფი სწრაფად გამოჯანმრთელებულა. ახალდაკლული საქონლის ტყავი, როგორც ჩანს, თავდაპირველად ცივი საფენის, ხოლო შემდეგ კომპრესის ფუნქციას ასრულებდა.

დაუქვილობის მკურნალობის ზოგიერთი ხალხური საშუალება აღწერილია „უსწორო კარაბადინში“, რომლის მიხედვით ნადრძობ სახსარსა და დაუქვილობას მკურნალობდნენ ახალდაკლული ცხვრის ტყავით, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ჩაღვრილი სისხლის გასრუტვისათვის. იგი მჭიდროდ ეკვროდა დაზიანებულ არეს და მის ფიქსაციასაც ახდენდა: „მისი წამალი: უწინ ხელი გაუსხენ, ყიფალი, ანუ აქლისი. მერმე მუშიაც შეასვი და ახალი ცხურის ტყავი შემოსდეგ, რომე არ აყროლდეს, ახალ-ახალი. და უწინ ხორცს მარილი დააყარე და მერმე შემოსდეგ ცხურის ტყავი, მერმე შეახვიე“ (ქანანელი: 1997: 508).

სხვადასხვა ტრავმის საქონლის ტყავით მკურნალობა აღწერილი აქვს შარდენს: „ყოველგვარი სახის დაუქვილობის, მოტეხილობისა და ჭრილობისათვის, ასევე აიღე ჟანგმიწის ხსნარი, შეახვიე ავადმყოფი ძროხის ტყავში და გამოუდინე სისხლი...“ ეს მეთოდი, მისი გადმოცემით, პატრ რაფაელს თბილისელი ექიმბაშისაგან ჩაუწერია (შარდენი: 1975: 354).

საქონლის ტყავით მკურნალობის აღწერილობას ვხვდებით აგრეთვე იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“: „ხშირად ავადმყოფს ჩააწვენდნენ ზროხათა ტყავში და ტლევითა შინა...“ (ვახუშტი: 1984: 563).

მძიმე დაუქვილობას კოტოშებითაც მკურნალობდნენ. ძველ ქართულში კოტოში - მოზიდვით სისხლის გამომდებელი ჭურჭელია (ორბელიანი: 1991).

კოტოშს შემდეგნაირად „მოჰკიდებდნენ“: დაუქვილ არეს „ნაშტარით“ (სამართებლით ან პატარა ბასრი დანით) დასერავდნენ, ზედ კოტოშს დაადებდნენ, შემდეგ გახვრეტილი ბოლოდან ჰაერს ამოწოდნენ და ნახვრეტს გამდნარი სანთლით ამოავსებდნენ. კოტოში მჭიდროდ მოეკიდებოდა ხორცს და გასერილი კანიდან სისხლს შეიწოვდა. კოტოშად იყენებდნენ მოკლედ გადაჭრილ, ზემოდან გახვრეტილ საქონლის რქას: „ჩვენთან იყო ქალი, იმას ჰქონდა ნაშტარი, ის ნაშტარით კანს რამდენიმე ადგილას გაჭრიდა, მერე რქას

დაადებდა, მისი ბოლო გახვრეტილი იყო გახურებული სქელი ნემსით ან სადგისით, გახვრეტილი წვერიდან პირით გამოსწოვდა სისხლს, მერე მოხსნიდა და გახვრეტილ ბოლოს სანთლით დააცობდა“ - გადმოგვცემს ერთ-ერთი მთხრობელი (ჩირგაძე: 1988: 24).

ხარის ან ჯიხვის გადაჭრილი რქის კოტოში, რომელიც სამცხე-ჯავახეთის გარდა დამოწმებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კოტოში უძველესს სახედ არის მიჩნეული. ამოწოვის შედეგად რქის კოტოში შიგნით ვაკუუმი იქმნებოდა. იგი მჭიდროდ მოეკიდებოდა ხორცს და სისხლს შეიწოვდა (მინდაძე: 1981: 32-33).

აღნიშნული კოტოები სამცხე-ჯავახეთში ამ უკანასკნელ ხანებში ჩვეულებრივმა შუშის კოტოებმა შეცვალა.

უნდა აღინიშნოს, რომ დაუქვილობის ზემოაღწერილი ხალხური მკურნალობა, დაზიანებული კიდურის იმობილიზაცია, კომპრესები, რომელიც ხელს უწყობდა ჰემატომის გაწოვას და განსაკუთრებით ეფექტური იყო ძლიერი (დიდი) სისხლჩაქცევების დროს, თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილად მიჩნეული.

ამოვარდნილობის მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთში, ბარძაყის, მენჯის, მაჯისა და სხვა სახის ამოვარდნილობებს სხვადასხვა მეთოდით შველოდნენ. მაჯის, მუხლის ან იდაყვის ამოვარდნილობას ძირითადად დაჭიმვით.

ხალხური მკურნალები პირველ რიგში დაზიანებულ არეს ზეითუნის ზეთით, ერბოთი ან ღორის ქონით დაზელდნენ. შემდეგ დაუჭიმავენ, სახსარში „ჩაუგდებდნენ“ და მჭიდროდ გადაახვევდნენ გათხელებული საფუარით, რომელზეც მარილი ან სოდა იყო მოყრილი, ზემოდან კი თხის ტყავს ან იახს შემოაკრავდნენ და არტახებს დაადებდნენ. ერთ-ერთი მთხრობლის გადმოცემით: „მენჯის ამოვარდნილობის დროს, თივით გატენილი მოზრდილი ტომრისათვის უნდა გადაეხვიებინათ და ამ გზით ამოვარდნილი კიდური თავის ადგილას უნდა ჩაეყენებინათ“ (ჩირგაძე: 1988: 21).

მხრის ამოვარდნილობის შემთხვევაში ჯერ მკლავს დაჭიმავენ, მაღლა ასწევდნენ და ამ გზით მხრის ძვალს სახსარში ჩასვამდნენ, შემდეგ კი ზემოაღწერილი საშუალებებით გადაახვევდნენ.

ბეჭის ჩაყენება შედარებით იოლად ხდებოდა. თავდაპირველად მტკივნეულ არეს გასინჯავდნენ. ბეჭს საჭირო მიმართულებით გადაწევდნენ და სახსარში ჩასვამდნენ. შემდეგ ბეჭსა და ხერხემალს შუა ჩაზნექილ არეს რაიმე ნაჭრით ამოავსებდნენ, ისე რომ ბეჭს მოძრაობის საშუალება არ ჰქონოდა და ჯვარედინი ნახვევით შეუხვევდნენ.

ამოვარდნილობის მკურნალობის ზოგი ხალხური საშუალება ძველ ქართულ მედიცინაშიც ჰპოვებს ასახვას: „რა ასო ამოუვარდეს, ნიშანი ის არის, რომე, რომელი ასო ღრმა და ჩუბუტო ყოფილიყოს ამალდდეს, და მაღალი ალაგი დაღმარდეს და დამდაბლდეს; და იმა ასოსა ვერ იხმარებდეს. და ეს მისი წამალი: უწინ ხელი გაუხსენ და მერმე ჩაუგდე ამა წესითა: რომე მიზიდენ და მოზიდენ მარჯვენითა და მარცხენითა, და გარ, ეცადე, რომე მისსავე ადგილას მივიდეს; მერმე მაგრად შეკურა უნდა“ (ქანანელი: 1997: 507-508).

ცნობილია, რომ საქართველოში და საერთოდ კავკასიაში ტრავმების მკურნალობა ხალხური წესებით მაღალ დონეზე იდგა, რის შესახებაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის რუსი ექიმი ნ.ი. პიროგოვი. მისი აზრით, განსაკუთრებით ეფექტური იყო ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებისა და ძვლების მოტეხილობის მკურნალობა. იგი გადმოგვცემს, რომ მოტეხილობის დროს ხალხური მკურნალები მიმართავდნენ კიდურის ბანდით შეკვრას, ნახვევს შიგნით ატანდნენ არტახებს, რომლის საშუალებით აღწევდნენ კიდურის იმობილიზაციას (Пирогов: 1952: 70).

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მეთოდით მკურნალობისთვის აფხაზეთსა და სამეგრელოში ყურადღება მიუქცევია ექიმ ი. შაბლოვსკისაც, რომელიც გადმოგვცემს, რომ მოტეხილობები სწორად იყო ნამკურნალები და შეხორცების შემდეგ იშვიათად აღინიშნებოდა დეფორმაცია, გამრუდება, კორძების წარმოქმნა (Шабловский: 1886: 38-43).

სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა გადმოცემით, თავის ტრავმული დაზიანების ან ძლიერი ტკივილის შემთხვევაში, აკეთებდნენ **ტრეპანაციას**. მართალია ამ ქირურგიული

მანიპულაციის შესახებ ცნობები მწირია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ჩვენი მასალის მიხედვით ასეთ ოპერაციას სამცხეში აკეთებდნენ განთქმული მკურნალების *გვარამაძეებისა* და *მერაბიშვილების* საგვარეულოს წარმომადგენლები. თავის ქალის ტრავმების დროს ხდებოდა ჩამსხვრეული ძვლების ამოღება, დაზიანებული არის გასუფთავება, დეფექტის შევსება-გაკერვა დაბოლოს, ჭრილობის მკურნალობა სხვადასხვა სახის მალამოთი (ჩირგაძე: 1987: 79).

როგორც აღვნიშნეთ, თავის ქალის ახდას მიმართავდნენ თავის ძლიერი ტკივილის შემთხვევაშიც. აქ მოვიტანთ გვარამაძეების შთამომავლების მიერ მოწოდებულ საინტერესო გადმოცემას, რომლის მიხედვით სოფელ ახაშენში განთქმული დასტაქრის ილარიონ გვარამაძისთვის მიუმართავს თავის ძლიერი ტკივილით შეწუხებულ პაციენტს. ილარიონს მისთვის თავის ქალა აუხდია, თავის ტვინზე გადაფარებული ობობას მსგავსი წარმონაქმნი უნახავს, შემდეგ აუღია ასტამი, გაუხურებია და ამ წარმონაქმნზე გადაუტარებია, წარმონაქმნი ასტამს მიუზიდავს და ავადმყოფი გათავისუფლებულა. ამის შემდეგ მას თავის ჭრილობა გაუკერავს (ჩირგაძე: 1988: 6).

საინტერესოა, რომ ზემოთ აღწერილი გადმოცემა მსგავსია საქართველოში და არა მარტო საქართველოში გავრცელებული ლეგენდისა თავის ტვინის სიმსივნეების ოპერაციული ჩარევით მკურნალობის შესახებ, კერძოდ, ქართული ფოლკლორი მკურნალობის ამ მეთოდს *ჯანაოზ ექიმს*, იგივე გალენოსს და მის მოწაფეს უკავშირებს. მათ ტრეპანაციის ჩატარებით სპარსეთის მეფის ავადმყოფი ქალიშვილისთვის მოუშორებიათ თავის ტვინზე ჩაბლაუჭებული კუ ორიგინალური მეთოდით. კერძოდ, გალენოსის მოწაფეს ნაოპერაციები ქალისათვის თავთან წყლიანი თასი დაუდგამს, კუ წყალში (ჩვეულ გარემოში) გადამხტარა და ავადმყოფი უკეთ გამხდარა (Яшвили: 1904: 108-111).

თავის ქალის ტრეპანაციის ჩატარების კვალი ნეოლითის ხანის თავის ქალებზეა აღმოჩენილი. საქართველოში უძველესი ტრეპანირებული თავის ქალა ნანახია შუაბრინჯაოს ხანის ყორღანულ სამარხში (დათარიღებულია ანთროპოლოგ ვლ. ასლანიშვილის მიერ). ტრეპანირებული თავის ქალები ნანახია სამთავროს სამაროვანში (დათარიღებულია აღ. კალანდაძის მიერ). აღმოჩენილია აგრეთვე ანატორის აკლდამებში (ხევსურეთში შესწავლილია მ. აბდუშელიშვილისა და პ. ფირფილაშვილის მიერ). თავის ქალის ტრეპანაცია დამოწმებულია ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ტრადიციულ ყოფაშიც.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ტრეპანაცია კეთდებოდა ხევსურეთში, სვანეთში და როგორც ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა, სამცხე-ჯავახეთშიც. ყველაზე დიდხანს ეს ოპერაცია შემორჩა ხევსურეთის ყოფას. ხევსურეთში აღნიშნული ოპერაცია უძველესი მეთოდით კეთდებოდა, რაც გულისხმობდა თვითნამზადი იარაღებით ძვლის გაფხეკას (მინდაძე: 1981: 24-28).

სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული მონაცემები თავის ქალის ტრეპანაციის შესახებ, როგორც ჩანს, არ გულისხმობს ტრეპანაციას ზემოაღნიშნული მეთოდით. იგი უფრო ახლო უნდა იდგეს თავის ქალის ახდის თანამედროვე მეთოდებთან.

გადმოცემით, სამცხე-ჯავახეთში კეთდებოდა ჩიყვისა და თიაქრის ოპერაცია, სამწუხაროდ, მასალა ამ ოპერაციის მეთოდის შესახებ ჯერჯერობით ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ საჭიროდ ვთვლით ამ ფაქტის აღნიშვნას და მომავალში ამ მიმართულებით კვლევის გადრმავებას.

შედარებით უფრო სრული ცნობები გვაქვს შარდის ბუშტის ოპერაციის შესახებ. ოპერაციულ ჩარევას მიმართავდნენ ძირითადად კენჭოვანი დაავადების დროს.

ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, კენჭოვანი დაავადება უფრო მამაკაცებში იყო გავრცელებული. გამომწვევ მიზეზად ძირითადად გაციება მიაჩნდათ. ეს დაავადება იშვიათად, მაგრამ მაინც, გავრცელებული ყოფილა ჩვილ ბავშვებშიც. ადგილობრივ მკვიდრთა განმარტებით, ბავშვებში ამ დაავადებას იწვევდა დედის რძის სპეციფიკური შემცველობა. რას გულისხმობდა ადგილობრივი მოსახლეობა ამ სპეციფიკურ შემადგენლობაში ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ.

კენჭოვანი დაავადებისა და „ქვის დაბადების“ შესახებ საყურადღებო ცნობები უკვე X საუკუნიდან გვხვდება. ბასილი ზარზმელის თხზულებაში „სერაპიონ ზარზმელის

ცხოვრება“, აღწერილია კენჭების დაძვრის შედეგად განვითარებული შეტევის ტიპური სურათი, რომელიც მათი გამოდევნით დამთავრებულია: „...მოიწია კაცი ვინმე ყოვლად განსხვავებული, რომელი ფრიად რაიმე სასტიკებით განიჭრებოდა ტკივილისა სიმძაფრითა, რამეთუ სისხლი წარსდიოდა სარცხვინელსა მისსა და ხმობდა ხმითა უშვერითა... და მეყსეულად სახილველად ყოველთა ასოსა მას თესლმცენარესა წარსცვივეს ორნი ქვანი, განსაკრთომელნი სიდიდითა, და იქმნა კაცი იგი ყოვლად მრთელ, ვითარცა არარაი შემთხვევოდა ვნებაი იგი“ (ზარზმელი: 1982: 363).

შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადების სიმპტომები აღწერილია „იადიგარ დაუდში“ - „და თუ ესე შარდის დაჭირვა ან შირიმის ქუისაგან, ან სხვის საქმისაგან იყოს, რომე საფსლეშიგა ქვა დასდგომოდეს და ეს შარდი იმას შეეხუთოს, ამა შირიმის ქვის ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა შარდი წვეთ-წვეთად სდიოდეს და მწოვედ სარჯილთა მოფსემდეს, და საფსლის ხურელი ჭიპსავით გაღებული ჰქონდეს და პირი უკუეშალოს. რა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით, ამა კაცსა დასტურად შირიმი სჭირს და მისგან არის“ (იადიგარ დაუდ: 1985: 449).

შარდის ბუშტის კენჭოვან დაავადებას ადგილობრივი დასტაქრები სხვადასხვა მეთოდით მკურნალობდნენ. *სისხლიანი ოპერაციის* შემთხვევაში, პირველ რიგში ხდებოდა საოპერაციო არის დამუშავება არყით, შემდეგ კეთდებოდა დანით განაკვეთი ქვედა მუცელზე და შარდის ბუშტზე. „ჩქიფით“ (პინცეტი) გამოჰქონდათ კენჭი, რის შემდეგაც განაკვეთი იკერებოდა აბრეშუმის ძაფით და ჭრილობა მუშავდებოდა სპეციალური მალამოთი, რომლის რეცეპტს საიდუმლოდ ინახავდნენ.

არსებობდა მკურნალობის *უსისხლო მეთოდიც*, რომელიც ძირითადად ბავშვებში ტარდებოდა. სპეციალური ელასტიური (რეზინის მსგავსი) მილი შეჰყავდათ ასოდან შარდის ბუშტში და პირით გამოწოვის გზით გამოჰქონდათ კენჭი.

შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადების დროს ჩვენ მიერ ზემოაღწერილი მკურნალობის ორივე წესი, როგორც სამედიცინო ხელნაწერებიდანაც ჩანს, საქართველოში ერთ-ერთი უძველესი იყო.

ცნობები ამ დაავადების მკურნალობის შესახებ დაცულია X საუკუნის ძეგლში „უსწორო კარაბადინი“. „...და ესე ქვა ქვემო ბუშტშიგა იყოს და ვერა ეშველოს, მეშირიმემა გამოართვას“ (ქანანელი: 1997: 457). ამოღებულ ქვას „შირიმს“ ეძახდნენ, ხოლო იმ პირს, ვინც ოპერაციას აკეთებდა „მეშირიმეს“. შირიმს სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, როგორც ბუშტისა და თირკმლის ქვას (ორბელიანი: 1993).

XV საუკუნის ქართულ სამედიცინო ძეგლში, ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“, დეტალურად არის აღწერილი კენჭოვანი დაავადების სურათი და მისი წამლებით მკურნალობა. აქვე ვითხულობთ: „თუ ამა წამალმან ვერ უშუელოს, და ესე ქვა ქვემო ბუშტშიგან იყოს და ვერ უშუელოს, მეშირიმემან ამოართვას“ (ფანასკერტელი: 1978: 612). საჭიროების შემთხვევაში, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, მიმართავდნენ შარდის გამოღებას კათეტერით: „მაშინ, თუ ქვა დიდი იყოს შირიმი და არა დადნებოდეს ამით წამლებითა, და დაუხმას სავალი ფსელსა, მაშინ ჩაყავ მილი, ...სარცხვინელსა შიგა და უკუშაღე, რომე გამოვიდეს ფსელი, გაუპოს და გამოუღოს ქვა, თუ შეეძლოს“ (ფანასკერტელი: 1978: 610).

ექიმ ა. იაშვილის აზრით, უროლოგიური საქმიანობა ყველაზე წარმატებული ხელობა იყო ქირურგიაში. მისი სიტყვებით: ბუშტის კენჭები გამოჰქონდათ შორისის გზით ისე, როგორც ეს მიღებულია მეცნიერებაში. განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ ზონდის მსგავსად ხმარობდნენ ხელს“ (Яшвили: 1904: 77).

სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა გადმოცემით, კენჭოვან დაავადებათა და საერთოდ ქირურგიული მკურნალობის ადგილობრივი წესები საკმაოდ ეფექტური იყო და ავადმყოფს შედავათს აძლევდა. მართლაც ეს ასე უნდა ყოფილიყო, რადგან აღნიშნული დაავადების ხალხური მკურნალობის პრინციპები საკმაოდ ახლოს დგას თანამედროვე მკურნალობის პრინციპებთან.

ქირურგიული მკურნალობის ხალხური მეთოდებისა და საშუალებების ეფექტურობის შესახებ პროფესიონალი ექიმებიც კი დადებითი აზრის იყვნენ. საქართველოში მომუშავე ერთ-ერთი რუსი ექიმი, კავკასიის სამხრეთ-დასავლეთით სამედიცინო საზოგადოების წევრი ი. პანტიუხოვი აღნიშნავს, რომ ხალხური ქირურგები მიმართავდნენ მეტად რთულ მანიპულაციებს: თავის ქალის ტრეპანაციას და საშარდვ სისტემიდან ქვის

ამოღებას. იგი იქვე დასძენს, რომ კავკასიურ ხალხურ კონსერვატულ ქირურგიას ჰქონდა გარკვეული უპირატესობა ე.წ. ოფიციალურ სამედიცინო საშუალებებთან შედარებით, სწორედ ამიტომ ადგილობრივი ხალხური ქირურგების სამკურნალო საშუალებებით ხშირად ევროპელებიც სარგებლობდნენ (Пантюхов: 1901: 15).

ხალხური დასტაქრები

ბუნებრივია, ისმის საკითხი, თუ ვინ ეწეოდა სამცხე-ჯავახეთში ქირურგიულ დაავადებათა მკურნალობას. ხალხური მედიცინა სამკურნალო ცოდნის ორ სახეობას აერთიანებს. ერთი ყოფითი, რომლის მატარებელია საზოგადოების თითქმის ყველა წევრი, ძირითადად მოიცავს მკურნალობის მარტივ საშუალებებს, ხოლო მეორე თავმოყრილია ხალხურ მკურნალოთა ხელში (მინდაძე: 1990: 38).

სამცხე-ჯავახეთში მსუბუქი ტრავმების მკურნალობა შედარებით მარტივი საშუალებებით მოსახლეობის თვითმკურნალობის გზით ხდებოდა.

რთული ტრავმების მკურნალობის საქმეში დახელოვნებულები იყვნენ ცალკეული პირები, ძირითადად მამაკაცები. მათ უმეტესწილად „სინიხი“-ს ეძახდნენ. სინიხი - თურქული სიტყვაა და ნიშნავს ტრავმების სპეციალისტს. საკვლევ რეგიონში ჯერჯერობით ტრავმების მკურნალის ქართული ტერმინი ვერ მოვიძიეთ. ბუნებრივია, რომ ეს ტერმინი თურქეთიდან უნდა იყოს შემოსული და ფართოდ არის გავრცელებული თურქეთთან მომიჯნავე ტერიტორიებზე. ეს ფაქტი თითქოს გარკვეულ უხერხულობას იწვევს. რატომ არ უნდა შემორჩენილიყო საქართველოს ამ ძირძველ რეგიონში დასტაქრის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი? თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ექიმის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინი „მკურნალი“ ნაკლებად შემორჩა ჩვენს მეტყველებას და იგი შეიცვალა არაბული სიტყვით „აქიმი“, რომელიც დამკვიდრდა როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში უმეტესწილად „ექიმის“ ფორმით (სააკაშვილი, გელაშვილი: 1956: 171-185).

„სინიხი“ ტრავმების მკურნალობის გარდა ზოგჯერ ქირურგიულ ოპერაციებსაც აკეთებდა. გადმოცემით, მათ ეს ხელობა შთამომავლობით მოსდგამდათ. ისინი ხშირად კარაბადინებითაც სარგებლობდნენ.

ეს ტერმინი აქ მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში, აგრეთვე ქვემო ქართლსა და მთიან აჭარაშიც არის გავრცელებული.

როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, ხალხური მკურნალებისათვის რაიმე დაწესებული გასამრჯელოს გადახდის წესი არ არსებობდა, მაგრამ ისინი დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ და მათი საქმიანობა ყოველთვის იყო ანაზღაურებული ნატურით და ზოგჯერ ფულითაც.

აღნიშნულ რეგიონში დასტურდება ხალხური მკურნალების დინასტიურობაც. აქ განთქმული იყო *მერაბიშვილების*, *გვარამაძეების* და სხვათა გვარი, რომელნიც ზემოაღნიშნულ ქირურგიულ მანიპულაციებთან ერთად, სხვადასხვა სახის დაავადებებს მკურნალობდნენ.

გადმოცემით, ამ საგვარეულოების წარმომადგენლები საუკეთესო მკურნალებად იყვნენ მიჩნეულნი.

მერაბიშვილების საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის შესახებ ცნობა გვხვდება XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში. გაზეთი „ივერია“ იუწყება: „ქართველი კათოლიკე, იაკობ პავლეს ძე მერაბიშვილი... განაგებდა უდემო დაარსებულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავ სამკითხველოს 1897 წლიდან. გარდა ამისა, უდის ეკლესიის აღმშენებელ კომიტეტის თავმჯდომარედ იყო დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი ქვაბლიანში, ფოცხოვს და არტაანის ოლქში, როგორც ჯარა ექიმსა; კარგათაც დახელოვნებული იყო ამ ხელობაში და დიდად შეელოდა ავადმყოფთ. მერაბიშვილებმა ეს ხელობა იციან ჩამომავლობით, როგორც იმერეთში თურმანიძეებმა...“ (ი. ბარკალა-ი: 257: 1902).

გადმოცემით, მერაბიშვილების გვარის ერთი შტოს წარმომადგენლები, ძირითადად ბალახებით მკურნალობდნენ. მეორე შტო უფრო მეტად ტრავმების მკურნალობაში იყო გაწაფული.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ბევრი ოჯახი, რომელსაც დაავადებათა მკურნალობის ტრადიცია გააჩნდა, ხშირად სარგებლობდა ძველი სამედიცინო წიგნებით, რასაც ადასტურებს მათი მკურნალობის მეთოდებისა და საშუალებების მსგავსება კარაბადინებში აღწერილ მკურნალობის წესებთან.

სამცხეში, ერთ-ერთ ოჯახში მივაკვლიეთ ძველი კარაბადინების ფრაგმენტებისგან შედგენილ ხელნაწერ სამკურნალო წიგნს, რომლითაც მერაბიშვილების გვარის მკურნალები სარგებლობდნენ.

სამცხე-ჯავახეთში, მკურნალების მოვალეობას ხშირად დალაქები - „ბერ-ბერები“ ასრულებდნენ. „ბერ-ბერი“ თურქულად დალაქს ნიშნავს. ისინი თავის უშუალო საქმიანობასთან ერთად კბილის ამოღებისა და სისხლის გამოშვების პრაქტიკას ეწეოდნენ.

საკვლევ რეგიონში დალაქების დინასტიურობაც მოწმდება. ცნობილი იყო **ბერუაშვილების, ყავრელაშვილების, გვარამაძეებისა და ველიჯანაშვილების** გვარები.

სამცხე-ჯავახეთის ყველა სოფელში დალაქი არ იყო. ამიტომ, ერთი დალაქი რამდენიმე სოფელს ემსახურებოდა.

დალაქები, როგორც აღვნიშნეთ, ეწეოდნენ სისხლის გამოშვების პრაქტიკასაც. უმეტესწილად არტერიული სისხლის წნევის მომატების შემთხვევაში. სისხლის წნევის მომატებას ადგილობრივი მოსახლეობა თვითშეგრძნებით ატყობდა. მათი გადმოცემით, ამ დროს ავადმყოფს ეწყებოდა თავის ტკივილი, სახე გაუწითლდებოდა, იტყოდნენ „სისხლმა მოურბინაო“ და მიმართავდნენ დალაქებს. დალაქი ავადმყოფს სისხლს გამოუღებდა. არსებობდა სისხლის გამოღების სხვადასხვა მეთოდი „ნაშტარით“ (სამართებელი) და წურბლებით. დალაქი ავადმყოფს ნაშტარით სისხლს გამოუღებდა მარცხენა ხელის ნეკა თითის, მაჯის, წვივის ან კისრის „ტამრიდან“. დამარ-ი//ტამარი თურქულად სისხლძარღვს ნიშნავს. რაც შეეხება კისრის სისხლძარღვს, დალაქი ჯერ ნეშტარით გასერავდა, კოტოშს მოჰკიდებდა და „პარაშ“ ე.ი. ცუდ სისხლს გამოიღებდა. ამის შემდეგ ის ჭრილობას არყით გაწმენდა და სხვადასხვა მალამოთი უმკურნალებდა.

წურბლებით სისხლის გამოშვება შემდეგნაირად ხდებოდა: წურბელა ორი სახის იყო: მოწითალო, გრძელი საქონლის და ცხენების სამკურნალოდ გამოიყენებოდა, მოკლე და შავი ფერისა კი ადამიანის სამკურნალოდ. წურბელას კოტოშში ჩადებდნენ და ამ კოტოშს „მოჰკიდებდნენ“ ავადმყოფს ფეხებზე, როგორც კი წურბელა ხორცს მოეკიდებოდა, კოტოშს მოხსნიდნენ. გადმოცემით წურბელა „ცუდ“ სისხლს გამოიღებდა.

სისხლის წნევის მომატების დროს, სისხლის გამოშვებით მკურნალობა აღწერილია ძველ კარაბადინებშიც. მაგ: „რა ეს ნიშანი ნახო, იცოდი, რომე სისხლისაგან არის. ამას ფიცხლავ ხელი გაუხსენ, ანუ საფეთქელი, ანუ შუბლი, ანუ თავსა კოტოში მოჰკიდე“ (ქანანელი: 1997: 262) ან „ნიშანი თავისა ტკივილი რომელი სისხლისგან იყოს... კურნებაი მისი იგი არს რომელ კიფალი გაიხსნას და სისხლი დია გამოიღოს, და თუ არ დასწენარდეს ჭიქაი მოიკიდოს...“ (წიგნი სააქიმო: 1936: 61).

კბილის ამოსაღებად დალაქებს ჰქონდათ სპეციალური მარწუხები. დიდი ზომის მარწუხი უკანა კბილებისათვის იყო განკუთვნილი, პატარა ზომისა კი წინა კბილებისათვის. კბილის ამოღების შემდეგ დალაქი ჭრილობაში ჩადებდა არყიან ტამპონს.

დალაქების სამკურნალო საქმიანობის ამსახველი ფაქტები ხშირად დასტურდება საქართველოს მოსახლეობის ტრადიციულ ყოფაში. ისინი გარკვეულ სამედიცინო მომზადებას გადიოდნენ.

საინტერესოა ლენხუმის ერთ-ერთ სოფელში მიკვლეული მასალა, რომლის მიხედვით დანით წარმოებულ ქირურგიულ მანიპულაციას ასრულებდნენ სვანიძეების ოჯახის მამაკაცები, რომელთაც „დალაქისანებს“ უწოდებდნენ. ეს სახელწოდება მიუთითებს, რომ მათი წინაპარი დალაქი იყო (ბურდული: 1984: 88-95).

იოანე ბატონიშვილის „სჯულდების“ მიხედვით: „იყოს დალაქებისა უფროსი, ესენი განაწავლიდნენ შევირდებსა კარგად, და ესენი მისცემდნენ რიგსა სამართებლისა ნეშტარს და სხვათა სადალაქოთა სახმართა ნივთებთა, და ამათ მიერ წარივლინებოდნენ სოფელებში დალაქები, რომ დროსა სისხლის გამოშვებისა, ანუ კოტოშის მოკიდებისას იყვნენ გამოცდილნი, რომ კაცი ან არ მოკლან უცოდინარობით და ან არ დააშაონ“ (ვახუშტი: 1957: 16).

საინტერესოა აგრეთვე „სჯულდების“ ერთ-ერთი მუხლი, რომელიც დალაქების სამკურნალო საქმიანობის საბუთად გამოდგება: „საშუალ ქალაქისა ეკიდოს მალღა ერთი

დიდი ზარი და მას ჰყვანდეს მიჩენილი ასასებთაგან რაოდენიმე კაცნი მცველად. თუ არ საქმისათვის, სხვამან არავინ იკადროს დარეკად მისა და ესე ზარი მაშინ დაირეკებოდეს, ოდესცა ავად გაუხდა ვისმე [ს] ვინმე სახლში, ანუ შეუძნელდეს ავადმყოფი, ანუ ცეცხლი მოუკიდოს რასმე, ანუ ისე საქვეყნო საქმე იყოს რამე – შეკრებისათვის ერთა, მაშინ უნდა დარეკდენ ამა ზართა. ოდესაც ავად მყოფის პატრონი მივიდეს, რაც დრო იყოს დარეკოს ის ზარი, მაშინ ექიმიცა, მღვდელიცა და კიდევ სხვანიცა, ცეცხლის გამქრობი თუ დალაქნი კიდე – სულ იქ მივიდოდნენ და ის ავადმყოფის პატრონი იქ დახვდება და რომელიც ეჭირება მას წაიყვანს“ (ვახუშტი: 1957: 58).

სასწრაფო დახმარების ზემოაღწერილი ორიგინალური ფორმის მიხედვით, აშკარად ჩანს, რომ დალაქს აქ გარკვეული ფუნქცია ეკისრებოდა, სავარაუდოა, რომ მის უშუალო მოვალეობას სისხლის გამოშვება წარმოადგენდა.

სამკურნალო მიზნით ვენიდან სისხლის გამოშვება ერთ-ერთი უძველესი მეთოდია. „უსწორო კარაბადინში“ მთელი თავი აქვს დათმობილი ვენიდან სისხლის გამოშვებას: „თუ ყიფალი გაუხსნა, ყელისა და ზემოთსა სატკივარსა უშველის...“ (ქანანელი: 1997: 535). აქვე აღწერილია სისხლის გამოშვებისა და ამ მანიპულაციისათვის ავადმყოფის მომზადების წესები.

XIX საუკუნეში კავკასიაში მომუშავე რუსი ექიმების გადმოცემით, საქართველოში მკურნალობის ერთ-ერთ გავრცელებულ მეთოდს ვენიდან სისხლის გამოშვება წარმოადგენდა.

ექიმი ი. შაბლოვსკის გადმოცემით, „სისხლის გამოშვებას მიმართავდნენ დაჟეჟილობის, ყელის ტკივილის, ძლიერი სისუსტისა და ძლიერი თავის ტკივილის დროს, შუბლის შუაში მდებარე ვენიდან“ (Шабловский: 1886: 43-44).

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ არტერიული სისხლის წნევის მომატების დროს მკურნალობა სისხლის გამოშვებით საქართველოში ერთ-ერთ უძველეს, ტრადიციულ და ფართოდ გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა. ეს მეთოდი თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რადგან ხელს უწყობს არტერიული სისხლის წნევის დაქვეითებას.

ზემომოყვანილი მასალის საფუძველზე ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთში ქირურგიული მკურნალობის ხალხური ტრადიციები საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აქ გავრცელებული იყო კენჭოვანი დაავადების დროს ქირურგიული ჩარევის - **მეშირიმეობის**, ასევე, **ტრეპანაციის** პრაქტიკა.

ის ფაქტი, რომ კენჭოვანი დაავადების ადგილობრივი მკურნალობის პრინციპები ანალოგიურია შუა საუკუნეების მედიცინაში ცნობილი კენჭოვანი დაავადების მკურნალობის პრინციპებისა, მიუთითებს სამცხე-ჯავახეთის ხალხური და შუა საუკუნეების კლასიკური მედიცინის ურთიერთკავშირსა და ურთიერთგავლენაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ რეგიონის ხალხურ სამედიცინო ლექსიკაში ხშირად გვხვდება თურქული სამედიცინო ტერმინები: „სინიხი“, „ბერ-ბერი“, „იახი“... რაც მეზობელი თურქეთის გავლენით უნდა აიხსნას. ამას ვერ ვიტყვიტ სამკურნალო საშუალებების შესახებ. სამცხე-ჯავახეთში დამოწმებული ქირურგიული მკურნალობის საშუალებები ზოგადქართული ხალხური მკურნალობის სისტემაში ჯდება. თუმცა იმ ფაქტსაც ვერ უარყოფთ, რომ არც თუ იშვიათად, ტრავმების მკურნალობის ჩვენ მიერ დადასტურებული პრინციპები: ამოვარდნილობების მკურნალობა დაჭიმვის მეთოდით, მოტეხილობების მკურნალობა ფიქსაციით და სხვ. ხალხური მკურნალობის უნივერსალურ მეთოდებს განეკუთვნება. როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებში განსხვავება მხოლოდ სამკურნალო მეთოდების თავისებურებებში უნდა ვეძებოთ.

სამცხე-ჯავახეთში დადასტურებული ქირურგიული მკურნალობის საშუალებანი, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ ეფექტური იყო და მიზანშეწონილი თანამედროვე მედიცინის პოზიციიდან.

ყურადსაღებია, რომ სამცხე-ჯავახეთში ტრავმების მკურნალობის დროს ხშირად მიმართავდნენ ფსიქოთერაპიას - უმეტესწილად შელოცვების სახით.

ზემოგანხილულის საფუძველზე ჩანს, რომ ტრავმების მკურნალობის შედარებით მარტივ მეთოდებს, რაც ემყარებოდა ემპირიულ დაკვირვება-გამოცდილებას და სამკურნალო ცოდნის ურთიერთგაზიარებას, ფლობდა მთელი მოსახლეობა.

ადგილობრივ დასტაქრებს, „სინიხებს“ მოსახლეობა მძიმე ტრავმების შემთხვევაში მიმართავდა. ისინი სამკურნალო პრაქტიკაში გარკვეულ საზღაურს იღებდნენ, მაგრამ დაუდგენელი ნიხრით. მათი სამედიცინო ცოდნა არ იყო გასაიდუმლოებული. თავიანთ ცოდნას ისინი სიამოვნებით უზიარებდნენ სხვებს და მკურნალობასთან ერთად სამკურნალო ხასიათის რჩევა-დარიგებასაც აძლევდნენ ავადმყოფს. არც მათი ცოდნის მემკვიდრეობით გადაცემას ჰქონდა დადგენილი წესის სახე. თუმცა არ იყო გამორიცხული, რომ შვილს მამის ხელობა ესწავლა.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს, რომ სინიხის ტიპის დასტაქრები ტრავმების მკურნალობაში კარგად იყვნენ გათვითცნობიერებულები, მაგრამ მათი საქმიანობა საოჯახო საგვარეულო მედიცინის ხასიათს არ ატარებდა, რასაც მიუთითებს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემები.

იგივე უნდა ითქვას დალაქების საქმიანობის შესახებ, რომელთა ვიწრო სპეციალობა კბილის ამოღება და სისხლის გამოშვება იყო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დალაქები სამკურნალო პრაქტიკისათვის წინასწარ ემზადებოდნენ და სწავლების სპეციალურ კურსს გადიოდნენ.

ამავე დროს სამცხე-ჯავახეთში საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი *საოჯახო-საგვარეულო* მედიცინა, რომლის წარმომადგენლები - *მერაბიშვილები* და *გვარამაძეები*, ხშირ შემთხვევაში უფრო ფართო მასშტაბის საქმიანობას ეწეოდნენ. ქირურგიულ დაავადებებთან ერთად ისინი სხვა სახის სნეულებებსაც (შინაგანი, კანის და სხვ.) მკურნალობდნენ. მათ ეს ხელობა იცოდნენ შთამომავლობით. აღსანიშნავია, რომ ისინი უმეტესწილად ძველი სამედიცინო წიგნებით სარგებლობდნენ.

თავი II

მეანობისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ხალხური ტრადიციები

სამცხე-ჯავახეთში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცეოდა ქალის ჯანმრთელობას, განსაკუთრებით კი სიმწიფის ასაკში შესვლის დროს ე.ი. გარდამავალ ასაკში. სიმწიფის ასაკში შესვლა კი დედათწესის მოსვლით განისაზღვრებოდა. ამ დროს ქალიშილი უნდა მორიდებოდა მძიმე ფიზიკურ თუ ფსიქიკურ დატვირთვას, რაც ხელს უწყობდა ქალის ჯანმრთელობის დაცვას.

სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ქალი კრიტიკულ დღეებში „უწმიდურად“ ითვლებოდა და მას ბევრი რამ ეკრძალებოდა: სხვადასხვა საოჯახო საქმიანობა, მაგ., პურის გამოცხობა, კარაქის შედღეება, სასტიკად იყო აკრძალული ცოლ-ქმრული ურთიერთობა (ქმარს უწმინდურ ცოლთან მისვლა არ შეეძლო). ყოველივე ეს ხელს უწყობდა ქალის ჯანმრთელობის დაცვას.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ცოლ-ქმრული ურთიერთობის აკრძალვას, რომელიც უძველესი ხანიდან მომდინარე საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ ტრადიციას წარმოადგენს. არის მოსაზრება, რომ ამ წესის დამკვიდრება ბიბლიური მოსეს ერთ-ერთი გენიალური მიგნება და ებრაელი ხალხის დამსახურებაა (თომსენი: 1997: 85-86). ის ფაქტი, რომ ეს წესი ფართოდ იყო გავრცელებული უძველეს ტრადიციულ საზოგადოებებში, ზემოაღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

ქორწინების წინ, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთშიც ხდებოდა ქალის ჯანმრთელობის შემოწმება, რომ გაერკვიათ რაიმე მემკვიდრეობითი დაავადება ხომ არ მოსდგამდა გვარში. თუ ასეთი რამ დადასტურდებოდა, ქალის რძლობაზე უარს ამბობდნენ.

საყურადღებოა, რომ ძირითადად ხდებოდა ქალის საგვარეულოს შემოწმება. გადმოცემით, მემკვიდრეობითი დაავადება თუ ნიშან-თვისებები შთამომავლობაზე ძირითადად დედის მხრიდან

გადადიოდა. აღნიშნულის გამომხატველი უნდა იყოს ხალხური გამოთქმა „ქალსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა ნაწიბური“ (იველაშვილი: 1987: 19-29).

ახალგათხოვილ ქალს განსაკუთრებით უფრო ხილდებოდნენ. ცდილობდნენ იგი არ გაციებულყო, ფიზიკურად არ გადატვირთულიყო. ზემოაღწერილი, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი, რომ ქალი გინეკოლოგიური დაავადებებით საერთოდ არ დაავადებულიყო და თუ ქალი დაავადებოდა, მაშინ უკვე სხვადასხვა სამკურნალო საშუალებას მიმართავდნენ. მკურნალობა უმეტესწილად სიმპტომურ ხასიათს ატარებდა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობისათვის, როგორც გინეკოლოგიური (ქალური დაავადებები), ისე ბევრი სხვა დაავადება, ძირითადად სიმპტომების სახით იყო წარმოდგენილი.

სხვადასხვა სახის გინეკოლოგიური დაავადების ერთ-ერთი სიმპტომი, როგორც ცნობილია, არის საშვილოსნოდან სისხლის დენა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ტაბასტას“ უწოდებდა. ძველ ქართულში სიტყვა ტაბასტას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და, საერთოდ, ყოველგვარ სისხლის დენას აღნიშნავდა. სულხან-საბა ორბელიანი ტაბასტას განმარტავს, როგორც „სისხლის დინებას“ (ორბელიანი: 1993), ხოლო ნ. ჩუბინაშვილი - ძნელად შესაწყვეტ სისხლის დინებას, რომელიც გულისხმობდა შინაგანი ორგანოებიდან (საშვილოსნო, კუჭი და სხვა) სისხლის დენასაც (ჩუბინაშვილი: 1961). აღსანიშნავია, რომ აჭარაშიც საშვილოსნოდან სისხლის დენას „ნაბასტას“ - „ტაბასტას“ ეძახდნენ, რაც მოწმდება აჭარაში მიკვლეულ ერთ-ერთ „მცირე კარაბადინშიც“ (სურმანიძე: 1991).

როგორც ვხედავთ, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ტაბასტა იხმარება ვიწრო მნიშვნელობით და მხოლოდ საშვილოსნოდან სისხლის დენას გულისხმობს.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, სამცხე-ჯავახეთში სისხლდენა ქალებს უფრო ხშირად სიცხეში „აუტყდებოდათ“. სისხლის შეწყვეტის მიზნით, პირველ რიგში, ქალს ცივ წყალში ჩააყოფინებდნენ ფეხებს და მუცელზე ცივ ტილოს დაადებდნენ. გარდა ამისა, „ქერუბარს“ (ქარვას) „გალესავდნენ“ (დაფხვნიდნენ), ფხვნილს გაცრიდნენ, თაფლში „ამოხელდნენ“ და ავადმყოფს ატყევენ ან ქალს თითზე გაუკეთებდნენ ე.წ. ტაბასტის ბეჭედს (წითელთვლიანი ოქროს ბეჭედი), რომელიც დაახლოებით ერთი თვის მანძილზე უნდა ეტარებინა. გადმოცემით, ბეჭედი, უფრო სწორად ბეჭდის თვალი, ხელს უწყობდა სისხლდენის შეწყვეტას, ხოლო შემდეგ მის თავიდან აცილებას უზრუნველყოფდა. რომელი ძვირფასი ქვა იგულისხმებოდა ამ თვალში, ჯერჯერობით ვერ დავამოწმეთ. ტაბასტის ბეჭედები სამცხე-ჯავახეთში თურქეთიდან შემოჰქონდათ და სოფელ-სოფელ ყიდდნენ. როგორც ჩანს, ეს ბეჭედი საკმაოდ ძვირფასი იყო და ყველას არ ჰქონდა საშუალება ეყიდა. იშვიათად, რომ რომელიმე ოჯახს ჰქონოდა იგი. ტაბასტის ბეჭდის მფლობელი ოჯახები ცნობილი იყო და გაჭირვების შემთხვევაში, ავადმყოფის პატრონი ამ ოჯახს მიაკითხავდა. თუ შესაძლებლობა ჰქონდა, შეიძენდა ბეჭედს, თუ არა დროებით ითხოვდა და შემდეგ დააბრუნებდა. არის გადმოცემა, რომ ძველად ასპინძის რ-ნის, სოფელ ჭობარეთში ჯვარიძეების ოჯახს ერთი უღელი ხარი მიუცია ტაბასტის ბეჭედში (ჩირვაძე: 1988: 32).

საყურადღებოა, რომ ქვებით მკურნალობა უნივერსალურია, განსაკუთრებით საქართველოში, რაზეც მიუთითებს როგორც უცხო, ისე ქართულ წერილობით წყაროებსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი მასალა (ფირფილაშვილი: 1989: 123-124).

სამცხე-ჯავახეთში თუ ქალი დროზე არ დაფხვნიდებოდა ან მუცელი ხშირად ეშვებოდა, მიმართავდნენ სოფლის მესხს - ბებიაქალს, რომელიც უშვილობას მკურნალობდა. თუ ქალს მუცელი ხშირად ეშვებოდა, ბებიაქალი ურჩევდა ეჭამა მოხალული სელის [Linum] ფქვილისა და თაფლის ნაზავი, დაეღია ძროხის შარდი. ნაყოფის შესანარჩუნებლად ორსულობის პირველ თვეებში „წელის გამაგრების“ მიზნით ბებია ქალი წელის არეს არყით დაუხელდა, კვერცხის „იახს“ (ხორბლის ფქვილისა და კვერცხის ცილის ნაზავში შერეული მცირე რაოდენობის მატყელი) „იარდალზე“ (ნარმაზე) წაუსვამდა და წელზე შემოაკრავდა. არსებობდა მეორე სახის იახიც (კვერცხის ცილის, პურის ფქვილის, შაბის, ძმრის და არყის ნაზავი), რომელსაც იგივე წესით დაადებდა. ბებიაქალმა იცოდა წელის შეკვრა არყის ხის შავი ფისით, ან გამდნარ თაფლის სანთელში ამოვლებული ნარმით. გარკვეული დროის შემდეგ წელზე შემოკრული იახი თავისით აძვრებოდა. ბებიაქალი, თუ ქალს მუცლის მოშლის ნიშნებს შეამჩნევდა,

ფეხმძიმეს „კუპრიელს“ (კარგად გასუფთავებული თხის ტყავი, რომელის ერთი მხარე კუპრშია ამოვლებული) შემოახვევდა. კუპრიელს აკრავდა კუპრის მხრიდან. შემოკერის შემდეგ, როგორც ამბობდნენ, ნახევრი ნელ-ნელა „ზედვე დაადნებოდა“ კანს.

უშილო ქალები და ისინი, ვისაც მუცელი ხშირად ეშლებოდა, ბუნებრივი აბაზანებითაც მკურნალობდნენ. მაგალითად, ცნობილი იყო ვარძიის მუავე წყალი, რომელსაც სვამდნენ და თან აბაზანას იღებდნენ, ასევე ცნობილი იყო ხერთვისის „დამპალ“ (ე.ი. ტალახიანი) აბანო. როგორც ჩანს, აქ იყო სამკურნალო ტალახი. ქალები ტალახს ისვამდნენ, შიგ სხდებოდნენ - იღებდნენ ტალახის აბაზანებს. გინეკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ ყველაზე ეფექტურად ითვლებოდა ასპინძის განთქმული წყლები.

მუცლის მოშლა-მოწვევტის თავიდან ასაცილებელი ანალოგიური სამკურნალო საშუალებები გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაგ., ზემო აჭარაში (ჩირგაძე: 1991: 35), ქვემო ქართლშიც მუცლის შენარჩუნების მიზნით ქალს წელს „იახით“ უკრავდნენ და სხვა (გვათუა: 1991: 48).

თუ ზემოთ აღწერილი მკურნალობის შედეგად ქალს მუცელი მაინც არ აყვებოდა, ითვლებოდა, რომ იგი უშილო იყო და არაფერი ეშველებოდა. უშილობა კი ქალისთვის დიდ ნაკლად ითვლებოდა. ასეთ შემთხვევაში სალოცავს მიმართავდნენ, უმეტესწილად ვარძიის ღვთისმშობელს, ან საერთოდ ღვთისმშობლის სალოცავებს. ღვთისმშობელს ქალები თავიანთი ყოველივე გასაჭირისას მიმართავდნენ. რა თქმა უნდა, მას პირველ რიგში უშილობის დროს შესთხოვდნენ შვილიერებას იმის იმედით, რომ რაიმე სასწაულს მოახდენდა და ქალს შვილი შეეძინებოდა. უშილო ქალი ან ფეხმძიმე, იმ შემთხვევაში თუ მას მუცლის მოშლის საშიშროება ელოდა ფეხშიშველი ეკლესიაში, უმეტესწილად ვარძიის ღვთისმშობელში წავიდოდა და გარშემო შემოუვლიდა, შეწირავდა „სადგთოს“ სალოცავისათვის განკუთვნილ სპეციალურ საკლავს, ზოგჯერ იგი თმას მოიჭრიდა და ტანსაცმელთან ერთად სალოცავში დატოვებდა, თან ღმერთს შეევედრებოდა, შეესმინა მისი მუდარა და შვილი მიეცა.

გარდა ამისა, ადგილობრივთა გადმოცემით, უშილო ქალები, თუ კი მათ ამისი ფიზიკური და მატერიალური საშუალება ჰქონდათ, იერუსალიმშიც მიდიოდნენ, სადაც ორი კლდის თავზე ოდნავ „გადმოშვერილი“ კლდე ყოფილა. ქალი აქლემზე უნდა შემჯდარიყო და გადმოშვერილი კლდის ქვეშ გაეგლო. სწამდა, რომ ამის შემდეგ შვილი აუცილებლად გაუჩნდებოდა.

მართალია ეს მხოლოდ გადმოცემაა და იერუსალიმში ნამყოფ ქალს ჩვენ სამცხე-ჯავახეთში ვერ შევხვდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი ტრადიცია საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა. იერუსალიმში მიდიოდნენ სხვადასხვა დაავადების და ალბათ უშილობის დროსაც.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით: „...უკვე V ს. მეორე ნახევარში იერუსალიმში სალოცავად წასვლა მიღებული ყოფილა. სხვათა შორის „განბორების საღმობისაგან“, კეთრისაგან თითქოს განკურნების საშუალებადაც მიუჩნევიან“ (ჯავახიშვილი: 1979: 337-338).

ყოველივე ზემოთქმული სამცხე-ჯავახეთში „წმინდა მიწის“ განსაკუთრებულ თავყანისცემაზე მეტყველებს.

სალოცავისადმი მიმართვა, ლოცვა-ვედრება და რწმენა იმისა, რომ სალოცავი მას აუცილებლად დაეხმარება, უშილობით გამოწვეული განცდების გამო, ქალის აფორიაქებულ ნერვულ სისტემაზე დადებითად მოქმედებდა, მას ამშვიდებდა.

ცნობილია, რომ ნერვული სისტემის მოშლილობა მართლაც მოქმედებს ქალის ნაყოფიერებაზე. არის შემთხვევები, როდესაც გათხოვების შემდეგ პირველ წლებში ქალი არ ფეხმძიმდება, რაც სამედიცინო თვალსაზრისით სრულიად ნორმალურ მოვლენად ითვლება. მაგრამ ახალგათხოვილ ქალს ეს ანერვიულებს, მისი ფსიქიკა იძაბება, ეს კი უარყოფითად მოქმედებს მის განაყოფიერების უნარზე და დაფეხმძიმება ჭიანჭურდება. ხშირად ასეთი ქალი ფეხმძიმდება ბავშვის აყვანის შემდეგ. ჩანს ამ შემთხვევაში ქალის ნერვული სისტემის მოწესრიგება - დამშვიდება მოქმედებს დადებითად.

სამცხე-ჯავახეთში ქალს დაფეხმძიმებისთანავე განსაკუთრებით უფროთხილდებოდნენ. არიდებდნენ ფიზიკურ გადატვირთვას, სიმძიმის აწევას, გაციებას; მას საკვებაც შერჩევით აძლევდნენ. ორსულს, უმეტესად, აჭმევდნენ მსუბუქსა და ნოყიერ მოხალული სელის

ფქვილისა და თაფლის ნაზავს. ადგილობრივთა გადმოცემით, ეს საკვები ხელს უწყობდა მუცლის შენარჩუნებასაც. უშიდნენ ხახვის და ნივრის ჭამას - იტყობდნენ: „ბავშვი წირპლიანი გაჩნდება, კურდღლის ხორცს - ბავშვი ტუჩებში მოკლე გამოვა, კამეჩის ხორცს - ბავშვი დედას კამეჩით ათი თვე რომ არ ეტარებინა, ფეხმძიმისათვის არ შეიძლებოდა ქათმის ელენტის ჭამა და ხელის ხლება, ბავშვს მუქი ლაქა (ტყლიპი) ექნებოდა...“

ეს შეხედულებები ხშირად გამომდინარეობს იმიტაციური მაგიის პრინციპებიდან და გარკვეული პათოლოგიის ან ფიზიკური ნაკლის ხალხურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ ფეხმძიმობის პერიოდში გარკვეული საკვების მაგ., ცხარე ხახვისა თუ ნივრის, ძნელად მოსანელებელი კურდღლისა თუ კამეჩის ხორცის მიღების აკრძალვა, მიზანშეწონილი იყოს.

ორსული ქალის მოვლის, ჩვენ მიერ დამოწმებული, ზოგიერთი ხალხური წესი მსგავსია ძველ სამედიცინო წიგნებში აღწერილი წესებისა. „იადიგარ დაუდი“ მიხედვით, ფეხმძიმე ქალს ბევრი ჭამისგან თავი უნდა შეეკავებინა: „და ორსულმან დედაკაცმან ბევრი საჭმელი არ უნდა ჭამოს და ცოტას საჭმელსა უნდა სჭამდენ“ (იადიგარ დაუდი: 1985: 120). გარდა ამისა, ორსული უნდა ყოფილიყო მოსვენებული, მძიმე საგნები არ უნდა აეწია, არ უნდა მიეღო საფადართო და ამოსადებინებელი საშუალებანი და სხვა: „ამა ნიშნებსა უკანა ასრე უნდა ეს დედაკაცი მოსვენებით იყოს, არას ასწიოს, არა მიიჭიროსრა და არც გასახსნელი და არც სარწყვეელი წამალი სუას...“ (იადიგარ დაუდი: 1985: 119).

სამცხე-ჯავახეთში ქალი, რომელსაც მშობიარობის დრო მოუახლოვდებოდა, მშობლების სახლში მიჰყავდათ, იტყობდნენ: „ნაწობაო“ (ნაწვევად, წვევა, სტუმრად მისვლა), „ფეხი იბრუნაო“, ე.ი. მამის სახლში დაბრუნდაო. ქალი ორმოცი დღე მაინც დარჩებოდა მშობლებთან, სადაც მას განსაკუთრებით უვლიდნენ.

„ადმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში XX საუკუნის დამდეგამდე იყო შემორჩენილი ჩვეულება, რომლის მიხედვით, ქალს პირველი შვილი მშობლების სახლში უნდა გაეჩინა და ქმრის ოჯახში ერთი-ორი თვის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო ახალშობილთან ერთად. ამ დროის განმავლობაში ქალის მშობლებს გაწყობილი აკვანიც უნდა შეეძინათ... ქალი არა მარტო მშობიარობდა მშობლების სახლში, არამედ ახალშობილნიც ერთხანს იქვე იზრდებოდნენ. ქალის შინ დაბრუნების წესი გავრცელებული ყოფილა მთელ კავკასიაში, შუა აზიაში და სხვა“ (კაპანაძე: 1994: 15).

როდესაც ქალს „სამუხლე დააყრიდა“, ე.ი. სამშობიარო ტკივილები დაეწყო (სამუხლე ტკივილი ნიშნავს სამშობიარო ტკივილს, რადგან ქალი სამცხე-ჯავახეთში მუხლებზე დაჩოქილი მშობიარობდა), დაუძახებდნენ ბებიაქალს და ახლო ნათესავ-მეზობლებს. მას ყველა მიმსვლელი მიუღალერსებდა, თავზე ხელს გადაუსვამდა, წინსაფრის კალთას სამჯერ დაარტყამდა და ეტყოდა: „ვთხოვ ღმერთს წელი და ზურგი გაგეხსნეს, მშვიდობით გადარჩი ერთი ხმითაო“ ე.ი. მხოლოდ ერთი შეკვივებით იმშობიარეო (ზედგენიძე: 1946: 7).

მშობიარეს ბებიაქალი ეხმარებოდა. როდესაც ქალი მშობიარობის წინ „წყლებს დაღვრიდა“, მას „მუხლში ჩააჯენდნენ“, სამშობიაროდ მოამზადებდნენ. ერთი ქალი წინ დაუჯდებოდა, მშობიარე მუხლებში იყო ჩაკეცილი და წინ მჯდომ ქალს ეყრდნობოდა. აქეთ-იქიდან ორი სხვა ქალი ამოუდგებოდა, ერთი მუცელზე აჭერდა ხელებს, მეორე-თაფლიან წყალს ასმევდა, ბებია კი ბავშვს მიიღებდა.

ჩვენ მიერ აღწერილი „ჩოქით“ მშობიარობის მეთოდი ქალის ბუნებრივ მშობიარობად არის მიჩნეული და ფართოდ იყო გავრცელებული თანამედროვე ეპოქამდე (იადიგარ დაუდი: 1985: 121; Пирец: 1900: 146-147).

მძიმე მშობიარობის შემთხვევაში, ბებია მშობიარეს ცხელ ნაცარში ჩასვამდა ან წელამდე თბილ წყალში ჩააყენებდა. მან იცოდა საშვილოსნოს ყელის გახსნაც: კარაქწასმულ ხელს საშვილოსნოს ყელზე წაუსვამდა. გართულებული მშობიარობის დროს ყველაზე უებარ წამლად ე.წ. „ჩაბერტყვა“ ითვლებოდა. მშობიარეს ბალიშზე გულადმა დააწვენდნენ, ფეხებიდან ფრთხილად აწვედნენ და სამჯერ ყირაზე გადაატარებდნენ, თან „მუცლის წამხდრის“ ლოცვას ეტყობდნენ:

„აფრასიონის წყალზე, აფრასიონის ხიდი იღო.

ზედ დედა-შვილნი გადიოდნენ.

შვილმა დედას მიჯნურობა შეუკვეთა:

იმის ცოდით ანი დადგა, ბანი დადგა,

მთვარე დადგა და მზე დადგა
წყალი დადგა, წისქვილი დადგა,
უნძრავი ინძრა, ნანძრავი დადგა
ღმერთო შენ დასწერე შენი ჯვარი - ამინ“ (ზედგენიძე: 1946: 8).

ეს არის ერთ-ერთი სამცხე-ჯავახური ვარიანტი საქართველოში გავრცელებული მშობიარობის შელოცვისა. გადმოცემით, ასე შეულოცავდნენ მძიმე მშობიარობის დროს და იმ შემთხვევაშიც, როცა ქალს მუცელი ხშირად ეშლებოდა. ვფიქრობთ, ამაზე მიუთითებს სიტყვები: „უნძრავი ინძრა“, „ნანძრავი დადგა“. ე.ი. პირველ შემთხვევაში, ბავშვი დროზე რომ დაბადებულიყო - „უნძრავი ნაყოფი უნდა დაძრულიყო“. მეორე შემთხვევაში კი მუცლის მოშლის პროცესი შეჩერებულიყო, ნაყოფი „დაძრულიყო“, ე.ი. დედას შერჩენოდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილია მუცლის წამხდრის შელოცვის სხვადასხვა ვარიანტი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო სიტყვა „მიჯნურობამ“. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, მამა თხოვს შვილს გამიჯნურობას. მაგ., „მამამა სთხოვა შვილსა მიჯნურობა“ (გველ-მოვკალ უფლისათვის: 1992: 181). ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით კი შვილი თხოვს დედას „მუჯირად“ - „საყრდენ ჯოხად დადგომას“. მაგ., „შვილი დედას მიუბრუნდა მუჯირად დამიდექი“ (გველ-მოვკალ უფლისათვის: 1992: 109). არ არის გამორიცხული, რომ აქ სიტყვების ჩანაცვლებასთან გვაქვს საქმე. მუჯირის მიჯნურობა. იმ შემთხვევაში თუ ასეთ ჩანაცვლებას არ ჰქონდა ადგილი, შესაძლებელია, რომ ღოცვაში მოხსენებული „უნძრავი ინძრა“ და „ნანძრავი დადგა“ უნდა მიუთითებდეს ამ საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელი შემადრწუნებელი ფაქტის ინცესტის შედეგად გამოწვეულ შოკზე.

მძიმე მშობიარობის დროს მაგიურ საშუალებებსაც მიმართავდნენ, მაგ., თუ მშობიარობა დიდხანს გასტანდა, ბებია მელოგინეს ძველ ქალამანს მიაბამდა წელზე - „წელი რომ ადვილად გახსნილიყო“. ამავე მიზნით, მშობიარეს ქმარი სახლის ბანზე ავიდოდა, საკვამურთან დადგებოდა და სამჯერ ჩამოსძახებდა: „ღმერთო, შენ დახმარება გამიწიე, მშვიდობით გადამირჩინეო“ (ზედგენიძე: 1946: 8). ის თოფსაც გაისვრიდა, რათა დაეფრთხო „ემშაკეულობა“ (ავი სულები), რომლებიც თითქოს ქალის მშობიარობას უშლიდნენ ხელს. მშობიარობის დაჩქარების მიზნით, ეკლესიის ზარს სამჯერ ჩამოკრავდნენ, თუ ყველაფერი ეს არ გაჭრიდა, მაშინ მოძებნიდნენ ისეთ ადამიანს, ვისაც მოხსუბარი გველი და ბაყაყი ჰყავდა გაშველებული. მიიყვანდნენ მშობიარესთან, თავზე გადააბიჯებინებდნენ და ის სამჯერ ეტყოდა: „გველ-ბაყაყი გამიშორებია, დედა-შვილი გაშორდითო“ (ჩირგაძე: 1988: 46). თუ ამის შემდეგ ქალი იმშობიარებდა, ამ პირს აუცილებლად გარკვეულ პატივს სცემდნენ. ითვლებოდა, რომ ეს მაგიური ქმედება, რომელიც დედა-შვილის განცალკევებისკენ იყო მიმართული, ბავშვის დაბადების პროცესს დააჩქარებდა. ადგილობრივი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „დედა-შვილს გაყრიდა“ - ისევე როგორც მახსუბარ გველსა და ბაყაყს.

გართულებული მშობიარობის ზემოთ აღწერილი ხალხური საშუალებანი მსგავსებას ჰპოვებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მასალასთან და დასტურდება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში (Плоск: 1900: 220).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ სამცხე-ჯავახეთში დამოწმებული მშობიარობის წესები, ხშირ შემთხვევაში, მსგავსია ძველი ქართული ხელნაწერების მონაცემებისა. „იადიგარ დაუდის“ მიხედვით: „და თუ დედაკაცს ტეხა გაუძნელდეს, წელთამდისი თბილს წყალშია უნდა ჩასვან და მუცელი და წელი კარგად დაუზილონ. და მიცემის დროსა ტატბერი უკანიდაღმა მოუჯდეს და სადამდის თავისი წყალი არ დაღვაროს და მტეხიარესა [მშობიარეს, ნ.წ.] ხმა არ ეცვალოს, მუხლზედა არ უნდა დასვან და ამთენი აცალონ, რომე თავის წყალი დაღვაროს. და მას უკან ერთი ტეხა კიდევ მოუვიდეს და მერმე მუხლზედ უნდა დასვან და ორკეცი ნაბადი მუხლქვეშ დაუფინონ, დროსა ფიცხლა არ უნდა ისუნთქოს. ტატბერი უკუნიდაღმა მოუჯდეს მუცელი და ფერდები კარგად და ძალიანად ამოუზილონ...“ (იადიგარ დაუდი: 1985: 121).

საინტერესოა აგრეთვე ვახტანგ ბატონიშვილის შემდეგი ცნობა: „ოდესცა აღივსნის ღღენი ქალის მუცლად ღებულობისანი, დროსა მტკივნეულობისასა მოუწოდინ გარდა ნათესავთაცა თვისთა სხვათაცა ქალთა მრავალთა და დროსა დიდისა მტკივნეულობისასა შევიდის ქმარი მისი სახლისა მისისა ჭერსა ჰყრის ოთხსავე მხარესა ისარი...“ (ვახუშტი: 1914: 18).

როგორც ვხედავთ, ძველთაგანვე საქართველოს არისტოკრატიულ წრეებში შეიძლება მშობიარესთან ქმრის შესვლა, რომელიც იქ ჭერის ოთხივე მხარეს ისრების გასროლით ავ სულელებს აშინებდა. შემდეგში ეს წესი, როგორც ჩანს, თოფის სროლით შეიცვალა, მაგრამ ბუნებრივია არა ოთახში, არამედ გარეთ.

გვხვდება ისეთი ფაქტიც, რომ მშობიარობის დროს, ქმარი ცოლს წყალს შეასმევდა ან შეასხურებდა. ცნობილია, რომ მძიმე განსაცდელის ჟამს, ქმრის გვერდით ყოფნა ქალზე დადებითად მოქმედებდა, მას სულიერი სიმშვიდე ეუფლებოდა. არ არის გამორიცხული, რომ თოფის გასროლაც შოკური თერაპიის ერთ-ერთ პრიმიტიულ ხერხს წარმოადგენდა.

მშობიარობის შემდეგ ქალს სისხლის დენა თუ დაეწეებოდა, მაშინ მას მუცელზე ცივ ტილოს დაადებდნენ, ფეხებს კი თბილ კირიან წყალში ჩააყოფინებდნენ, რაც როგორც ჩანს, სისხლის დენის შეჩერებას უწყობდა ხელს.

ჩახვევებით გართულებული მშობიარობის შემთხვევაში, ბებიაქალი კვერცხს სელის ზეთში შეწვავდა, მატყლზე დაადებდა და ისე ადებდა იარაზე. ბავშვის დაბადების შემდეგ მელოგინეს ჩააბერინებდნენ, იტყოდნენ: „ბავშვის ამხანაგი [მომყოლი ნ.ჩ.] მალე დაიბადებაო“, თან ქალს კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოწესრიგების მიზნით „ჩალახმას“ (წყალში გახსნილი მაწონი) დააღვინებდნენ. ამის შემდეგ ბებია ნამშობიარებს წელზე და მუცელზე ფართო სარტყელს შემოუჭერდა - საშვილოსნოს „გულზე რომ არ დაერტყა და დიდი მუცელი არ დარჩენოდა“. შემოჭერილ სარტყელს იგი ცხრა-ათი დღე ატარებდა.

მშობიარობის შემდეგ ქალს სპეციალურად მომზადებულ ლოგინში, მარცხენა გვერდზე, მოხრილად დააწვენდნენ. საწოლზე ნაჭერს დააფენდნენ, ზედ გამთბარ მიწას დააყრიდნენ და ზემოდან ნაჭერს დააფარებდნენ, იტყოდნენ: „სითბო ავა ორგანიზმშიო“. მიწა ინარჩუნებდა სითბოს და სისველეს გაიწოვდა, რის შედეგადაც ქალი მშრალად და თბილად იწვა.

„მიწის დაყრის“ ეს წესი, როგორც ჩანს, დედამიწის კულტთან, ნაყოფიერების იდეასთან იყო დაკავშირებული. თუმცა ასეთი გააზრება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას აღარ შემორჩა. როგორც აღვნიშნეთ, თბილი მიწის დაფენა სითბოს და სიმშრალეს უნარჩუნებდა. შესაძლებელია სწორედ ამიტომ იგი დღემდე ფუნქციონირებს, მისი რელიგიური გააზრება კი დაიკარგა. ასეთი რამ ხშირად გვხვდება ხალხურ მედიცინაში. მაგ., ეპილეფსიას, როგორც ცნობილია, ზებუნებრივ ძალებს უკავშირებდნენ. დასავლეთ საქართველოში, ამ დაავადების საკმაოდ ეფექტური სამკურნალო საშუალებები მოწმდება, რომელიც, როგორც ჩანს, ავადმყოფის ხანგრძლივ რემისიას უწყობდა ხელს და სწორედ ამიტომ აღნიშნული დაავადების ზებუნებრივი ახსნა დასავლეთ საქართველოში ნაკლებად გვხვდება.

სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მშობიარობის შემდეგ მელოგინე „უწმინდურად“ ითვლებოდა, ამიტომ იგი ორმოცი დღე მეტნაკლებად იზოლირებული იყო. ტრადიციული წესის მიხედვით, ქალი 40 დღე ლოგინში იწვა - მელოგინე იყო. მაგრამ სოფლის მოსახლეობაში ზოგჯერ ეს წესი ირღვეოდა, ქალს ოჯახის მოვლის გამო ადგომა უწევდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მას უფროთხილდებოდნენ და ბევრი რამ ეკრძალებოდა. ცდილობდნენ ამ პერიოდში ქალი არ გაციებულყო, ცივ წყალს არ დააღვინებდნენ, იტყოდნენ: „შიგნეულობა გაუცივდება, ტამრები (სისხლძარღვები) ღიაა და ადვილად გაცივდებაო“. მას ოჯახში ბევრი რამ ეკრძალებოდა: არ შეეძლო „თარო-კედელს მიდგომოდა“ ე.ი. მას სახლის დაღაგების უფლება არ ჰქონდა, არც „ერბო-ქოთანს მიეკარებოდა“ - რომ არ წაეხილწა. ამბობდნენ: „თავი გამრავლება ძირ-კუთხეში და ბარაქა არ ექნება ოჯახსო“. არც პურს გამოაცხობინებდნენ, რადგან, მათი აზრით, ქალს ალი დასდევდა და რძე დაეკარგებოდა. თუ მელოგინე გარეთ გავიდოდა, ადგილობრივი მოსახლეობის წარმოდგენით, შეიძლება სეტყვა მოსულიყო; მას ეკრძალებოდა სხვის ოჯახში შესვლა და სხვა (ჩირგაძე: 1988: 23).

ეს აკრძალვები მაგიურ-რელიგიური ფორმით იყო წარმოდგენილი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ქალს მძიმე ფიზიკურ შრომას აცილებდა, გაციებისა და ინფიცირებისაგან იცავდა.

ცნობილია, რომ კრიტიკულ დღეებში მყოფი ქალის, მშობიარისა, და მელოგინეს უწმინდურად მიჩნევა, დაკავშირებულია საშოდან სისხლის დენის ფაქტთან. ცნობილია, აგრეთვე, რომ საშოდან ყოველგვარი სისხლდენა განიხილებოდა როგორც საშიშროება და უწმინდურება. უნდა ითქვას, რომ წარმოდგენა ქალის უწმინდურობის შესახებ უძველეს და

ფართოდ გავრცელებულ რწმენა-წარმოდგენათა რიგს განეკუთვნება. ასევე არქაულია ამ პერიოდში ქალის იზოლირების წესი, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული ბიბლიურ ტრადიციასაც წარმოადგენს. უწმინდურობის პერიოდში, ე.ი. კრიტიკულ დღეებში და მშობიარობის შემდეგ 40 დღის (ვაჟის გაჩენის შემთხვევაში) და 80 დღის მანძილზე (ქალის გაჩენის შემთხვევაში), ქალი იმყოფებოდა ე.წ. „განწმენდის სისხლში“.

1. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:
2. ელაპარაკე ისრაელიანებს: თუ დედაკაცი დაორსულდება და ვაჟს გააჩენს, შობის შემდეგ შვიდ დღეს უწმინდურია იგი. როგორც წიღოვანების დროს, ისე უწმინდურდება.
3.
4. ოცდაცამეტი დღის მანძილზე უნდა დარჩეს ქალი განწმენდის სისხლში; წმიდას არაფერს შეეხოს, არც ტაძარში შევიდეს, ვიდრე განწმენდის ვადა არ გავა.
5. თუ გოგო შვა, ორ კვირას იქმნება გაუწმიდურებული, როგორც წიღოვანების დროს. სამოცდაექვსი დღის მანძილზე უნდა დარჩეს განწმენდის სისხლში (ლევია. 12: 1-5).

ხალხური წარმოდგენით, მელოგინეს ძალიან ერჩოდა „ეშმაკეულობა“ (ავი სულები). ამიტომ მათგან დასაცავად, ორმოცი დღე ქალს უფროსილდებოდნენ და სხვადასხვა მაგიურ ქმედებებს მიმართავდნენ. მაგ., სადამო ხანს მელოგინესთან გარედან შემოსულ ადამიანს არ შეუშვებდნენ; ან საქონლის მოსვლისას ქალს არ გაუშვებდნენ გარეთ, რადგან, როგორც ამბობდნენ, ადამიანის მსგავსად, საქონელსაც „მოსდევდა წყეული“ (ავი სული), რომელიც მელოგინეს „დაეტაკებოდა“ და ავად გახდიდა. ავი სულებისაგან დასაცავად ქალს ლოგინზე რკინის ჯაჭვს დაუდებდნენ ან სათევზაო ბადეს ჩამოუკიდებდნენ. ეს წესები დასტურდება მთელ საქართველოში.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით: „იქმან ბადეთა აბრეშუმთაგან კარავთა ოქრო მოპეტალებულთა, ქალთა სამშობიაროდ“ (ორბელიანი: 1991).

მსგავს ცნობებს გვაწვდის ვახტანგ ბატონიშვილი: „რაჟამს განთავისუფლდის და იშვის ყრმა, წარვიდის მახარობელი მათთა ნათესავთა და მეგობართა თანა და სამშობლოსა ქალისასა, დღესა მესამესა ჟამსა ბინდისასა შეაწვენდენ ქალს ტახტსა ზედა დიდათ ტურფითა საგებელითა და გარდააგდებენ ზედ ბადებრ მშვენიერად მოქსოვილსა ბაღდახინად... შესრულებადმდე ორმოცისა ქალი იგი იყვის ნიადაგ სახლსა თვისსა და ვერსად წარვიდის“ (ვახუშტი: 1914: 18-19). საყურადღებოა, რომ დიდგვაროვნებშიც ქალის საწოლს ბადისებრ ქსოვილს გადააფარებდნენ.

როგორც ცნობილია, ბადეს ძველთაგანვე იყენებდნენ ავი თვალისა და ბოროტი სულების საწინააღმდეგო საშუალებად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სიმრგვალე“ ანუ წრე თავისთავად აღიქმებოდა, როგორც ისეთი ძალა, ან საზღვარი, რომლის შიგნით ავი სული ვერ შეაღწევდა, რადგან სათევზაო ბადე დანიშნულებით დამტკერია და ამავე დროს მრგვალი, წრიულად ნაქსოვი, ალბად ამანაც განაპირობა სხვა ბადეებისაგან განსხვავებით მისი ავი თვალის საწინააღმდეგოდ გამოყენება“ (მირიანაშვილი: 1987: 232).

ძველ სამედიცინო ხელნაწერში ვხვდებით შემდეგი სახის ცნობას: „...შესაყარი სნეულება ისე ჩქარა არავის შეეყრება, როგორც მშობიარეს და ისე საშიში არავისთვის არის, როგორც იმათთვის“ (კარაბადინი: 34). ეს, თავისთავად სწორი შეხედულება ხალხშიც იყო გავრცელებული, თუმცა განსხვავებით ძველი სამედიცინო წიგნებისაგან, სადაც მელოგინეს დასნეულების საშიშროება სავსებით რეალურად არის წარმოდგენილი, ხალხური ახსნა ამ შემთხვევაში ირეალურ გააზრებას ვერ სცილდება.

ორმოცი დღის მანძილზე მელოგინე ქალის მოვლა-გაფრთხილების მსგავს წესებს ვხვდებით მსოფლიოს სხვადასხვა ხალხშიც.

მშობიარობა იწვევდა სხვადასხვა სახის გართულებებს. მელოგინე ქალს საკმაოდ ხშირად აწუხებდა ყაბზობა, ამიტომ მას უმეტესად „ხორბლის ფაფით“ კვებავდნენ. ფაფას შემდეგნაირად ამზადებდნენ: ხორბალს [Triticum] ორი დღე დაალობდნენ და სველ ნაჭერზე გაშლიდნენ. როცა „აღოჯდებოდა“, აჯეჯილდებოდა, გაახმობდნენ, დაფქვავდნენ, მოხარშავდნენ და შეურევდნენ ერბოსა და მარილს. ეს საკვები კუჭის მოქმედებას აწესრიგებდა.

სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც, მთელ საქართველოში ითვლებოდა, რომ ბავში დედის რძით უნდა გაზრდილიყო, ეს იყო მთავარი პირობა შთამომავლობის სიჯანსაღისა.

იმ შემთხვევაში, თუ დედის რძე ბავშვს არ ყოფნიდა, „რძის მოყვანის“ მიზნით, დედა სვამდა დიდი რაოდენობით რძიან ჩაის, თუთის [Morus alba] ხის ძირების ნახარშს... რაც ადგილობრივთა გადმოცემით, ხელს უწყობდა რძის მომატებას.

მეძუძური ქალი ლოგინობის დროს ე.ი. 40 დღე განსაკუთრებით უფრო ხილდებოდა მკერდს, ეშინოდა „რძის დაკარგვა“, რის მიზეზად მიაჩნდათ: გაციება, ნერვიულობა, შეშინება, ამ პერიოდში ქმართან სქესობრივი ურთიერთობა და სხვა. ორმოცი დღის შემდეგაც ქალი, სადაც არ უნდა წასულიყო - მეზობელ ოჯახში, წყალზე თუ სხვა, რძე უნდა „შემოეპატიუნა“, ე.ი. სახლში დაბრუნების წინ იტყოდა: „მამყე გენაცვალე, რძეო, არსად დამრჩე“. სახლის პატრონი კი მას ზურგიდან წყალს მიაპკურებდა შემდეგი სიტყვებით: „წაიღე, წაიღე შენი რძე, რათ მინდა, აქ რო დაგრჩესო“. თუ ქალი რძეს არ „გამოიპატიუებდა“, მაშინ სადაც კი ის ფეხს დაადგამდა, რძე აუცილებლად იქ დარჩებოდა, ე.ი. რძეს დაკარგავდა“. ქალს თუ რძე აღარ მიუდგებოდა, წავიდოდა ყველა იმ ოჯახში, სადაც იყო ნამყოფი, დაივლიდა ყველა კუთხეს და გამოიპატიუებდა რძეს: „მამყე და მოდი, საცა იყვე დაკარგული, ბავშვი შიმშილით მიკვდებაო“ (ზედგენიძე: 1946: 22-23). თუ ზემოთ აღწერილი არ გაჭრიდა და ქალს რძე მაინც არ მოუვიდოდა, მაშინ ურძეო ქალები წავიდოდნენ სოფ. მურჯახეთში, რომელიც ცნობილი იყო თავისი ქვის სვეტით „ძიქვა“-თი (რძის ქვა). მეორე ამგვარი სვეტი ახლა წაქცეულია და მას „ლალიას“ ეძახიან. გადმოცემით, ლალია ძიქვას ძმა ყოფილა. არის მოსაზრება, რომ ეს მეგალითები წარმოადგენს ფალოსის გამოსახულებას, რომელსაც წარმართობის დროს თავყანს სცემდნენ, როგორც ნაყოფიერების ღვთაებას“ (მაკალათია: 1938: 114). ქალი წავიდოდა ამ სვეტთან თავის ბავშვთან და ძმასთან ერთად. თან წაიყვანდა „სადვოს“ (ცხვარი, ქათამი, მტრედი და სხვა). ძიქვასთან მისვლისას, ბავშვს იქვე ახლოს დააწვენდა და იტყოდა: „ბავშვს შეიბრაღამს და რძეს მომცემსო“. იმ დამეს იქ გაუთენებდნენ, მეორე დღიას კი სადვოს დაკლავდნენ, თავსა და ფეხს სვეტის ძირში ჩაფლავდნენ, ხორცს კი ვინმე ღარიბს მისცემდნენ. ქალი სანთლებს აანთებდა, მუხლის მოდრეკით შემოუვლიდა გარშემო სვეტს, თან კარაქს წაუსვამდა, იმავე კარაქიან ხელს ბავშვს გამოუსვამდა პირში, ძუძუზეც მოისვამდა და სვეტს შეევედრებოდა: „შენ მომიყენე რძე, შეერს ნუ მომიკლავ ბავშვსო“. როდესაც ქალები ძიქვასთან ლოცვას მორჩებოდნენ, მივიდოდნენ ლალიასთან და ახლა მას შეევედრებოდნენ რძის მიცემას: „შენ მადლიანი ხარ, ღმერთსა სთხოვე და დაგაღალაო, ჩვენ მოგვეცი სათხოვარი, იმის ძმა ხარ და რძე მოგვეციო“. ლალიასაც სანთლებს აუნთებდნენ და მუხლის ჩოქვით შემოუვლიდნენ. წასვლისას ურძეო ქალები იქაურ მიწას წაიღებდნენ თან და ისე წავიდოდნენ, რომ ძიქვასა და ლალიასთვის არ შეეხებათ, რათა მათი თხოვნა შეესრულებინათ. სახლში მისვლისას ქალი ამ მიწას წყალში გახსნიდა და ამითი დაიბანდა დედაც და შვილიც. ამის შემდეგ ქალს რძე ჩაუდგებოდა (ზედგენიძე: 1938: 23-24).

თუ ქალს მკერდი ატკივდებოდა, გაუმაგრდებოდა, გაუწითლდებოდა და შეუსივდებოდა (მასტიტის დროს), რომლის მიზეზად ძუძუს გაციება ან რძის ჩადგომა-ჩაგროვება ითვლებოდა (იმ შემთხვევაში თუ ბავშვი კარგად ვერ წოვდა, ან ძუძუს თავები გაღიზიანდებოდა და დედა კარგად ვერ აწოვებდა), იყენებდნენ სხვადასხვა სამკურნალო საშუალება: სიმსივნის დასაცხრობად ძუძუზე დაიდებდნენ კორდისა (დაუშუშავებელი მიწა) და დოს (ნადღვები უცხიმო მაწონი) ან თიხისა და დოს ნახავს და მკერდს თბილად შეიხვევდნენ. ზოგჯერ კი ქალი წყლით სავსე კოკას დადგამდა, ძუძუებზე თმას გადმოიშლიდა და კოკაზე ჩამოივარცხნიდა, ან ჩამოუვარცხნიდა ვინმე სხვა, უმეტესწილად ბებიაქალი, თან ეტყოდა: „ბეწვი ექნება ჩაყოლილი და იმიტომ სტკივა, ეს მოურჩენსო“. თუ ქალს მკერდი ძალიან ჰქონდა გამოზეზებული, მაშინ ბანიდან წყალს ჩამოაქცევდნენ და სადაც დაესხმებოდა, იმ ადგილას ლურჯ ნაჭერს დაასველებდნენ, გასაპნავდნენ და დაიდებდნენ მკერდზე (ზედგენიძე: 1938: 25).

ყველა ჩვენ მიერ აღწერილი ხალხური სამკურნალო საშუალება, რომელთა შორის მაგიურ ქმედებებსაც აქვს ადგილი (წყლის ჩამოქცევა და სხვ.), შესაძლებელია ანთებითი პროცესის დაცხრომას და ტკივილის დაქუჩებას უწყობდა ხელს.

მკერდის გამაგრების სამკურნალო მსგავსი საშუალებანი გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აღსანიშნავია, რომ ძველ სამედიცინო წიგნებში აღწერილია გამაგრებული მკერდის მკურნალობის საინტერესო მეთოდი: „დედაკაცსა თუ რძე დააკლდეს, მისი ნიშანი ეს არის, რისგან არის, თუ გუნება მწოვედ მხურვალი ანუ

ნამეტნავად გუნება გრილი არის. ნიშანი ეს არის: თუ სიმხურვალისაგან იყოს, ძუძუცა წითელი იყოს ანუ ყუითელი და ხელი რომე დასდვა, ცხელი იყოს. თუ სიმხურვალისაგან იყოს, მუდმად იისა ზეთსა ძუძუსა შემოსცხებდი და ნელთბილსა წყალსა ძუძუსა და მკერდსა ზედა ასხემდი და მუმრუდან, რომე წმინდითა ცვილითა და იისა ზეთითა შექმნილი იყოს, და ნელდითა ქინძისა წვენითა დაასხი ზედა, ავანსა შიგა კარგად დაზილე, რომე მაღამასავითა შეიქნას, და ტლედ ძუძუსა ზედა შემოსდე“ (ქანანელი: 1997: 252).

რძის მოყვანისა და მკერდის გამაგრების საწინააღმდეგოდ გამოყენებული ზოგიერთი ხალხური საშუალება, თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს. მაგალითად: რძიანი ჩაის მიღება, მკერდის გამაგრების შემთხვევაში სხვადასხვა მაღამოების გამოყენება.

სამცხე-ჯავახეთში მელოგინე მეორმოცე დღეს „გასუფთავების“ მიზნით, დილით ადრე ადგებოდა, მოიტანდა წყალს, ბავშვის აკვანს დანამავდა და თვითონაც დალედა. ამის შემდეგ, მელოგინეს ოჯახი მღვდელს მოიყვანდა. ის ოჯახს განათლავდა, „ნათლისწყალს“ „ძირ-კუთხეში“ მოასხამდა, ლოგინსა და ოჯახის წევრებსაც შეასხურებდა. ამ რიტუალის შემდეგ ქალი უკვე განწმენდილად ითვლებოდა და მას ჩვეულებისამებრ შეეძლო ნორმალურ ცხოვრებას შედგომოდა. მელოგინის გასუფთავებისა და ოჯახის განათვლის წესი დასტურდება მთელ საქართველოში და ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში (Προც: 1900: 334).

მელოგინეს ოჯახში, მშობიარობიდან ერთი თვის თავზე მოდიოდნენ ნათესავები და ახლობლები სუფრით. მიჰქონდათ ქადა, ვერბო, კვერცხი, არაყი, ჰაღვა, თაფლი და სხვა. ამ რიტუალს „ლოგინის ძღვენის მოტანას“ უწოდებდნენ. ეს წესი დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იველაშვილი: 1987: 108).

როგორც ჩანს, „ძეობა“ - „ძიობას“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს იხდიდნენ. ვ. ბარდაველიძის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ძეობა მშობიარობიდან სამი დღის ან ერთი კვირის თავზე იმართებოდა (ბარდაველიძე: 1928: 62-64). ჩვენ ძეობის ზუსტი დრო ვერ დავადგინეთ. მოპოვებული მასალის მიხედვით, მას ორმოცი დღის შემდეგ იხდიდნენ, როდესაც მელოგინე და სახლი გაინათლებოდა. ეს ძირითადად ვაჟის დაბადებას უკავშირდებოდა. ამ დროს მოწვეულები იყვნენ ის ქალებიც, რომლებიც ესწრებოდნენ მშობიარობას. გაიშლებოდა სუფრა და ოჯახის უფროსს აირჩევდნენ თამადად. პირველი სადღეგრძელო იყო ბავშვისა და დედ-მამის: „დმერთო, შენ სწყალობდე ამ ოჯახს, მის კერასაო, გაუზარდე ახალი შეძინებული, დედმამიანი იყოს, ვისაც არ უნდოდეს იმასაც მიეციო“. შემდეგ თამადა ადღეგრძელებდა იქ მყოფ ყველა ქალს. ბოლოს კი დაემშვიდობებოდნენ ოჯახს შემდეგი სიტყვებით: „მშვიდობით აგელაგოთ ლოგინი, დედ-მამიანი იყვეს, გაგეზარდოს, სხვაც მრავალი გაგეტარებინოს მელოგინეობაო...“ (ზედგენიძე: 1946: 10). ეს მასალა ნათლად მიუთითებს, რომ ძეობის გადახდის წესი „ლოგინობის დამთავრების“ პერიოდს უკავშირდება.

მშობიარობიდან ერთი კვირის თავზე მშობიარეს ოჯახი ბებიაქალის გასტუმრების ცერემონიალს ატარებდა. ბებიაქალი ერთი კვირის მანძილზე რჩებოდა მელოგინესთან. მის მოვალეობად ითვლებოდა დედისა და ჩვილი ბავშვის მოვლა-პატრონობა. ამ რეგიონში ბებია ქალებს თავისი ცოდნა ხშირად შთამომავლობით ჰქონდათ მიღებული. ზოგმა თავისი უშუალო სპეციალობის გარდა, შინაური წამლებითა თუ შელოცვებით სხვადასხვა დაავადების მკურნალობაც იცოდა.

ბებიაქალი ძალიან დაფასებული იყო. მისთვის დაკანონებული გასამრჯელო არ არსებობდა, მაგრამ მელოგინეს ოჯახი მას აუცილებლად პატივს სცემდა. მშობიარობიდან ერთი კვირის თავზე გაუშლიდა სუფრას და ისე გაისტუმრებდა. ამ სუფრას „მუხლის პურს“ ეძახდნენ. შესაძლებელია ეს ტერმინი დაკავშირებული იყო ქალის მუხლებზე დაჩოქილ მშობიარობასთან. სახლში წასვლის წინ ბებიაქალს აჩუქებდნენ საპონს (რომლითაც ის ბავშვს აბანავებდა), „ჭიპის მოჭრის საჩუქარს“ (შეიძლება საკაბე), ერთ კოდ პურს და სხვა. ე.ი. გარკვეულ გასამრჯელოს ბებია მაინც იღებდა. ბებიაქალი მელოგინე ქალის ოჯახთან ურთიერთობას შემდგომშიც არ წყვეტდა.

ბებიაქალებს ზოგიერთი მთიანი რეგიონის გამოკლებით, თითქმის ტელ საქართველოში ჰქონდათ პრაქტიკა. ქართულ კარაბადინებში მეანს სხვადასხვა სახელი ერქვა: „ამქმელი“ ან „ამქმელი დიაცი“, „დედათ-მოურავი“, „ტატბერი“, „ბებია“ და სხვა

(სააკაშივილი, გელაშივილი: 1958: 174). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ამქმელი“ ეს არის „მომნათლავი, გინა დედათ-მოურავი, რომელ არს მეანი“ (ორბელიანი: 1991). ილია აბულაძის მიხედვით - ყრმის აღმქმელი ბებიაქალია, რომელიც მოისხენიება ბიბლიის ძველ თარგმანებში, მაგ., „ყრმის - აღმქმელსა ებრაელსა ვეძიებ“ (აბულაძე: 1973).

ცნობილია, რომ სამცხე-ჯავახეთში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მოსახლეობა ცხოვრობდა. აქ ბუნებრივია მეანობის პრაქტიკას ქართველებთან ერთად ეწოდნენ სომეხი, მაჰმადიანი და კათოლიკე ბებიაქალები. ბებიაქალები ამშობიარებდნენ სამცხე-ჯავახეთში სხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ქალებსაც (ჩირგაძე: 1988: 11).

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ხალხებში, სადაც ადგილობრივი მეანის პრაქტიკა დასტურდება, ბებიაქალები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ (Плоск: 1900: 134).

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდა, ახლად გათხოვილი ქალის, ჯანმრთელობის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ეს შეეხება, როგორც პროფილაქტიკური, ისე სამკურნალო საშუალებების გამოყენებას. რაციონალურად უნდა ჩაითვალოს მენსტრუაციის და ფენიმძიმობის დროს რელიგიური აკრძალვების სახით ჩამოყალიბებული წესები, რაც ამ პერიოდში ქალის დაზოგვის, სქესობრივი კავშირის შედეგად მოსალოდნელი გართულებების, ასევე გაციების და ინფიცირების აცილებისკენ იყო მიმართული.

თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით, ვფიქრობთ ყურადღებას იმსახურებს გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის საშუალებები. საშვილოსნოდან სისხლის დენის დროს - ცივი საფენები და აბაზანები, უშიფლობის მკურნალობა სხვადასხვა სითბური შემოსადებებით და მაფიქსირებელი ნახევრებით (იახი, კუპრიელი, და ა.შ.). ასევე ბუნებრივი თბილი წყლის აბაზანებითა და ტალახით (ხერთვისისა და ასპინძის აბანოები).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთში ქალი მშობიარობდა ადგილობრივი მეანის - ბებიაქალის დახმარებით, რომელიც საკმაოდ კარგად ფლობდა თავის სპეციალობას. ეს კი პირველ რიგში ხელს უწყობდა მშობიარობის დროს მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილებას. რთული მშობიარობის დროს ბებიაქალი საჭიროების მიხედვით იყენებდა სხვადასხვა საშუალებებს: მაგ., მსუბუქ მასაჟს - საშვილოსნოს ყელის გასახსნელად, სისხლის დენის შესაჩერებლად - ცივი კირიანი წყლის აბაზანებს და სხვ.

ვფიქრობთ, მშობიარობის და შემდგომ ღოგინობის პერიოდში დადებით ფსიქოთერაპიულ ეფექტს ახდენდა აგრეთვე ქალის ჩვეულ გარემოში მშობლების ოჯახში ყოფნა, ასევე მძიმე მშობიარობის შემთხვევაში ქმრის სიხლოვის განცდა და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ღოგინობის პერიოდში, განსაკუთრებით კი პირველ კვირას ახალშობილისა და ნამშობიარები ქალის მოვლა, მკერდის დამუშავება და სხვა ბებიაქალის მოვალეობას წარმოადგენდა. ამ პერიოდში ქალი მოსვენებული იყო, თავისუფლდებოდა ახალშობილის მოვლისაგან. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იყო ახალგაზრდა ქალისათვის პირველი მშობიარობის შემდეგ. 40 დღის მანძილზე გამოუცდელი დედა მშვიდად სწავლობდა და ეხვეოდა ბავშვის მოვლას.

ამგვარად, გინეკოლოგიურ დაავადებებთან და მშობიარობასთან დაკავშირებული სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული ბევრი მაგიურ-რელიგიური წესი და ქმედება დადებითი იყო. ზოგიერთ შემთხვევაში შედეგს ახდენდა მხოლოდ ფსიქოთერაპიული ზემოქმედება (მაგ., შელოცვების დროს და სხვა). რიგი მაგიურ-რელიგიური ქმედებების, აგრეთვე ზოგიერთი სამკურნალო საშუალებების - ტაბასტის ბეჭდის ტარების წესი და სხვა მოქმედების ეფექტურობის დადგენა და ახსნა ჯერჯერობით ჭირს, თუმცა ამ კუთხით კვლევა საინტერესო პერსპექტივას სახავს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთში დამოწმებული მეანობისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ხალხური ტრადიციები საკმაოდ ახლოს დგას ძველ ქართულ კარაბადინებში აღწერილ ანალოგიურ წესებთან, რაც ძველი ქართული კლასიკური მედიცინისა და სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის სამედიცინო ტრადიციების ურთიერთკავშირსა და ურთიერთგავლენაზე მეტყველებს.

პედიატრიის ხალხური ტრადიციები

სამცხე-ჯავახეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალს ბებიაქალი ამშობიარებდა. ბავშვის დაბადებისთანავე, ბებია ჭიპლარს ძირში ძაფს მოუჭერდა; მაკრატელს, დეზინფექციის მიზნით, „ჭრაქზე“ გადაატარებდა და ჭიპს გადაჭრიდა. მეორე ხელში ბებიას ეჭირა ხანჯალი ან ასტამი და იტყოდა: „კარს საკეტი ბანსა ჯვარი, ღმერთო, შენ დასწერე ჯვარიო“ და ბავშვს პირჯვარს გადაწერდა (მაკალათია: 1938: 98). ბავშვს ჭიპი რომ არ გაღიზიანებოდა ე.წ. „დედოფლის პირს“ (ერბოსა და სანთელში ამოვლებული ქსოვილი) ან დამწვარი ქსოვილის ფერფლს დაადებდა და ჩვრებით გადაუხვევდა. თუ ჭიპი გაღიზიანდებოდა, მაშინ პურის ცომს დაადებდა. ამის შემდეგ ბავშვს ბებია ცივ წყალში „გაავლებდა“ და მარილს მოაყრიდა, იტყოდნენ: „მაგარი გამოვაო, ოფლიანი არ გამოვაო, სუნი არ ექნებაო, ძვლები გაუმაგრდებაო, მაგარი კბილები ექნებაო...“ ახალშობილისათვის მარილის მოყრა იცოდნენ აგრეთვე ახალციხელმა ებრაელებმა და სომხებმა. საყურადღებოა, რომ ანალოგიურ წესს მიმართავდნენ ძველი ებრაელებიც: „შენი დაბადებისას, იმ დღეს, როცა დაიბადე, ჭიპლარი არ მოუჭრიათ შენთვის და წყალში არ განბანილხარ, რომ განწმენდილიყავი, მარილით არ გახეხილხარ და ჩვრებში არ გახვეულხარ...“ (ეზეკ. 16: 4).

ახალშობილზე მარილის მოყრა და მისი წყალში გაბანა უძველეს წეს-ჩვეულებათა რიგს განეკუთვნება. ამ შემთხვევაში რაციონალური გააზრების გარდა, ჩანს, ფიგურირებს სიწმინდისა (წყალი) და სიმაგრის, სიძლიერის (მარილი) უძველესი სიმბოლიკა.

ჩვილი ბავშვის მოვლა ბებიაქალის მოვალეობად ითვლებოდა. დაბადების მეორე დღიდან ბებია ბავშვს შაბით, შაქრით ან კვერცხის გულით განზავებულ წყალში აბანავებდა. დასაბანად ხმარობდნენ აგრეთვე სხვადასხვა მცენარის ნახარშს ან ნაყენს. განსაკუთრებით პოპულარული იყო ვირისტერფას [*Tussilago farfara*] ნახარში. გადმოცემით, ყველა ეს საშუალება ბავშვის ორგანიზმს ამაგრებდა და დამამშვიდებლად მოქმედებდა. ბებია ბავშვს ბანაობის დროს სამჯერ გაუმეორებდა: „დათვი მჭლე და შენ მსუქანი, შეგემატოს დღე და ჯანიო“. ბანაობის შემდეგ კი ბავშვს თავისივე ნაბან წყალში თავს სამჯერ ჩააყოფინებდა და სუფთა წყალს გადაავლებდა, ეტყოდა: „შენი ძილი შენ მოგეცესო“.

ჩვილს თუ იღლიები და საზარდულის არე „დაიარავებული“, დაწვლულებული ჰქონდა, მაშინ დაფუტურებულ ხის „ფქვილს“ მოაყრიდნენ ან ქალის რძეში გაცრილ შავ მიწას შეურევდნენ და ისე ადებდნენ.

თუ ბავშვი ავად გახდებოდა, გაცივდებოდა და სიცხეს მისცემდა, მაშინ პანტის [*Pyrus caucasica*] ან ვაშლის [*Malus domestica*] თბილ ნახარშში ჩასვამდნენ, შემდეგ ამოიყვანდნენ და თბილად ჩააწვენდნენ. ბავშვი თუ ავზნებული იყო, ჭირვეულობდა და ხშირად ტიროდა, დასამშვიდებლად დედის რძეში შერეულ უმნიშვნელო რაოდენობის ხაშხაშს [*Papaver somniferum*] მისცემდნენ, თან ვირისტერფას ნახარშში აბანავებდნენ.

სამცხე-ჯავახეთში ჩვილი ბავშვის ძირითად საზრდოს დედის რძე წარმოადგენდა, რომლითაც იგი დაახლოებით ორ წლამდე იკვებებოდა. ბავშვს ძუძუს აწოვებდნენ დღეში რამდენჯერმე. თავდაპირველად, სანამ დედას რძე ჩაუდგებოდა, ბავშვს „ერბოს ძუძუს“ (ერბოში ამოვლებული ნაჭერი) ჩაუდებდნენ პირში, რომელიც საწოვარის ფუნქციას ასრულებდა. ბავშვი წოვდა და სამი დღე ამით იკვებებოდა. ამ პერიოდში ზოგჯერ ძუძუსაც მისცემდნენ ხოლმე, ხსენის გამოწოვის მიზნით. მესამე დღეს ბებიაქალი მელიოგინეს დაბანდა, შემდეგ მას რძეც მოუვიდოდა და „ერბოს ძუძუ“ ბავშვს აღარ დაჭირდებოდა.

დედის რძე ბავშვისათვის საუკეთესო საკვებად ითვლებოდა. იგივეს ვკითხულობთ ძველ სამედიცინო წიგნებშიც, მაგ., „...ყოვლისა კაცისაგან მისისა დედისა სძე უკეთ შეერგების ყრმასა...“ (წიგნი სააქიმო: 1936: 37). იმ შემთხვევაში თუ დედას რძე არ ჰქონდა, ბავშვს კვებავდნენ ძროხის ან თხის რძით, შემდგომ კი სიმინდის ფქვილის ფაფაზე გადადიოდნენ.

ახალდაბადებულ ბავშვს თავდაპირველად „ხოჭიჭად“ შეკრავდნენ: „ხოჭიჭზე“ დააწვენდნენ, მაგრად გადააკრავდნენ და დედის ფეხებთან მოათავსებდნენ. ასე კრავდნენ

მას სამი კვირის მანძილზე. „ხოჭიტი“ წარმოადგენდა სქელ ფიცარს, მას ქვემოდან სიგანეზე მიკრული ჰქონდა ორი ფიცრის ნაჭერი - „ხოჭიტის ფეხები“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ხოჭიტი“ საგოგავების მქონე ფიცარია, რომელზედაც ახალდაბადებულ ბავშვს დააკრავდნენ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ხოჭიტი არის „მცირე აკვანი“ (ორბელიანი: 1993). „ხოჭიტი“ წარმოადგენდა მოსახერხებელ ბავშვის საწოლს, რომლის ადვილად გადაადგილება და დედის საწოლში მოთავსებაც შეიძლებოდა. ხოჭიტიზე ბავშვი წელგამართული იწვა და საიმედოდ იყო დამაგრებული.

სამი კვირის შემდეგ ბავშვს მოუმზადებდნენ აკვანს. ცნობილია, რომ „აკვანი თავისი შიბაქითა და არტახებით საქართველოში შემოიტანეს აღმოსავლეთიდან მომთაბარე დამპყრობმა ხალხებმა XIII საუკუნის დასაწყისში. აკვანი მომდევნო ავბედობის პერიოდში გავრცელდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართულ ფრესკებზე გამოსახული ბავშვის სარეცელი სრულიად არ ჰგავს დღევანდელ აკვანს. საქართველოში დაბადებული ბავშვი თავისუფლად, უარტახოდ იზრდებოდა, როგორც ეს უკანასკნელ დღემდე იყო შემორჩენილი ხევსურეთში“ (კაპანაძე: 1994: 57). სხვადასხვა მეცნიერის აზრით, აკვანში გაზრდა გაუმართლებელია. ითვლება, რომ აკვანში გაზრდა მავნეა, იმდენად რამდენადაც ხელს უწყობს რაქიტის განვითარებას, სუნთქვის ნორმალური ექსკურსის დარღვევას, აფერხებს ბავშვის ზრდის პროცესს და სხვა (აბდუშელიშვილი, პატარაია: 1978: 3-19).

მიუხედავად აკვნის ზემოაღნიშნული უარყოფითი თვისებებისა, იგი მაინც პოპულარული იყო საქართველოს მოსახლეობაში, რასაც ალბად თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში ის, რომ აკვანში ჩაკრულ ბავშვს დედა ადვილად უვლიდა. ბავშვი აკვნიდან არ გადმოვარდებოდა, აკვნის გადაბრუნების შემთხვევაშიც კი იგი დაცული იყო. ბავშვის დაძინებასაც დედა ისე ახერხებდა, რომ სამუშაოს არ მოსცდებოდა... განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აკვანი გარე სამუშაოების დროსაც დედებს თან დაჰქონდათ. სწორედ ეს გარემოებანი, როგორც ჩანს, ამსუბუქებდა აკვნის ნაკლს და განაპირობებდა მის პოპულარობას ქართველი ხალხის ყოფაში.

სამცხე-ჯავახეთში აკვანს ამზადებდნენ სხვადასხვა ხის, უმეტესად - კაკლის, იფნის, რცხილის, ფიჭვის და ვერხვისაგან, რაც ზეპირსიტყვიერებაში არის ასახული:

„ეს აკვანი კაკლისაო,
ბავშვი მიწვეს ცხრა თვისაო,
მამის ხარ თუ დედისაო
იყავ კარგი ბედისაო.“

„ეს აკვანი ვერხვისაო,
შიგ მწოლარე ხერხისაო.“

„ეს აკვანი იფნისაო,
შიგ მწოლარე სიყრმისაო.“

„ეს აკვანი ფიჭვისაო,
შიგ მწოლარე ბიჭიაო“ (ჩირგაძე: 1991: 13).

სამცხე-ჯავახეთში აკვანს შემდეგნაირად გააწყოებდნენ: ქვევით დაუგებდნენ თივით ან ქერით გატენილ „ჩალახეშს“ - ლეიბს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით - „ჩალახეში აკვანში ჩასაგები ლეიბია - გატენილი, ჩვეულებრივ, ქერის ბურღოთი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1986). სულხან-საბა ორბელიანი ჩალახეშს - ჩვილის საგებელს უწოდებს (ორბელიანი: 1993). ჩალახეშს დააფარებდნენ „ჩვრებს“. ზემოდან სუფთა გაცრილ თბილ „ხამ მიწას“ (აუთვისებელი მიწა) დააყრიდნენ, მიწაზე კი კვლავ ჩვრებს დააფენდნენ; თუ მიწას არ ყრიდნენ, მაშინ აკვანს შიბაქს გაუკეთებდნენ, ხოლო შემდეგ ბავშვს ჩააწვენდნენ და არტახებს გადაუჭერდნენ, ბავშვს მუხლებზე დაადებდნენ „მუხთბალიშს“, ფეხებზე კი წამოაცმევდნენ „დოშაკს“ (ბამბით გატენილი თხელი ქსოვილი) ფეხები რომ არ გაციებოდა და მუცელი არ ტკენოდა. დოშაკი/დოშაქი თურქული სიტყვაა და ნიშნავს ბუმბულის სქელ ლეიბს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986). სულხან-საბას მიხედვით, დოშაქი თათრული ტერმინია და „შატქუნის“ სინონიმი (ორბელიანი: 1991), ხოლო შატქუნი ზოგადად „ტერის“, ე.ი. „სამოსელნი“-ს, „ქვეშსაგებელნი“-ს, „საგებელნი“-ს (ორბელიანი: 1991) ერთ-ერთი სახეობაა, კერძოდ რომელი, იგი უკვე აღარ აზუსტებს.

როგორც აღნიშნეთ, ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, სამცხე-ჯავახეთში ჩვილ ბავშვებს „მიწაში ზრდიდნენ“. აქ იგულისხმება, რომ ბავშვის საგებელში მიწა უნდა ყოფილიყო დაყრილი. მათივე განმარტებით, მიწა სითბოს მეტად ინარჩუნებდა და სისველეს იწოვდა. ითვლებოდა, რომ „მიწაში გაზრდილ“ ბავშვს ბუასილი და ძვლების დაავადება არ დაემართებოდა. „მიწაში გაზრდის“ წესი დასტურდება ქვემო ქართლშიც (გვათუა: 1991: 78). ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული წესი თავდაპირველად მიწის კულტთან, ნაყოფიერების იდეასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ სამცხე-ჯავახეთში ასეთი გააზრება აღარ გვხვდება და აკვანში მიწის დაფენას მხოლოდ პრაქტიკული მნიშვნელობა დარჩა.

აკვანში ბავშვს პირველად ბებიასილი მოათავსებდა, „სავსე“ - ძველ მთვარეზე „ჩაამთვარიანებდა“. „მიღეულ“ - ახალ მთვარეზე ჩვილს აკვანში არ ჩააწვენდა - „მიღეული“ (სუსტი) რომ არ გამოსულიყო. აკვნის თავთან და ფეხებთან სანთლებს აუწებდა და ძილისპირულის ლოცვას ეტყოდა:

„დაწვები, დაგეძინება
პირს ჯვარი დაგეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
სულ თავით დაგესვენება,
ჯვარი გწყალობს ჯვარცმული,
ცეცხლში ჩაიწვეს მაცდური,
ღმერთი დაგწერს თავის წმინდა ჯვარს,
კარს ბეჭედი, ერდოს ჯვარი,
ღვთისგან გწყალობს წმინდა ჯვარი“ (ჩირგაძე: 1988: 15).

აკვანში ჩაწვენიას ბავშვს მთვარის სხივი არ უნდა მოხვედროდა, იტყოდნენ: „სული ასტაცა, დანაკლდება, დაბეჩავდება, დასუსტდება, კუჭი აეშლება, თვალი გაუმრუდდებაო“ (ჩირგაძე: 1988: 41). ჩვილს თუ კუჭი აეშლებოდა, იტყოდნენ: „მთვარემ დასჭრაო“. მაშინ პატრონი მივიდოდა „აიღულის“ ამომჭრელთან (მთვარის ამომჭრელთან) და ეტყოდა: „ჩემს ბავშვს ამა და ამ მთვარეზე სჭრისო (ახალი, დამცხრალი, ძველი და სხვა მთვარე). მთვარის ამომჭრელი იმ ღამეს, რომელი სახის მთვარეც სჭრის მუცელში, დაჯდება გარედ, იტყვის ლოცვას და გამოჭრის იმ სახის მთვარეს, რომელიც ბავშვს მუცელში სჭრის. შემდეგ ხელოსანი სიფრიფანა თითბრისაგან გამოსჭრის ამ მთვარის სახეს და ბავშვს მარჯვენა მხარეზე დაუკერებენ“ (მაკალათია: 1938: 99). იგივე წესი ჯავახური მასალის საფუძველზე, მცირე ვარიანტული სახესხვაობით აღწერილი აქვს გ. ზედგენიძეს (ზედგენიძე: 1946: 20-21). თუ ბავშვს განუწყვეტლივ ფადართი ექნებოდა, მაშინ მას „მთვარეს უგდებდნენ“ ე.ი. ღამით, როდესაც კარგი, დიდი მთვარე ამოვიდოდა, ბავშვს ხის ნინაბზე დააწვენდნენ და მთვარეს წინ დაუდებდნენ, იტყოდნენ: „თუ მოსარჩენია მოარჩენს, თუ მოსაკვდენია მოკლავსო“. გადმოცემით, ამის შემდეგ ბავშვი კარგად გახდებოდა (ჩირგაძე: 1989: 12).

ჯერჯერობით არ ვიცით მთვარეს რა გავლენა ჰქონდა ბავშვის ჯანმრთელობაზე. ეს მომავალი კომპლექსური კვლევის პერსპექტივაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ფსიქიურად დაავადებულებზე ახალი მთვარე მოქმედებას ახდენს. ამ დროს მათი დაავადება აქტიურდება, ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ, როგორც ჩანს, მთვარის ფაზებს გარკვეული გავლენა ჰქონდა ადამიანის სულიერ თუ ფიზიკურ მდგომარეობაზე და ეს ხალხმა თავისი საუკუნოვანი დაკვირვების შედეგად იცოდა.

სამცხე-ჯავახეთში ბავშვის დაბადების შემდეგ ორმოცი დღის მანძილზე, ე.ი. ქალის ლოგინობის პერიოდში, სანამ ქალი და ბავშვი გაინათლებოდა, ძალიან ერიდებოდნენ ბავშვის „დაქელვას“ - „დაბეჩავებას“, ე.ი. ბავშვის მოღუნებას, დასუსტებას. ბავშვის „დაჩაგვრა“, „დაქელვა“ მთვარის გარდა შეეძლო: საქონელს, თევზს, მიცვალებულის სულს...

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, „დაქელილი“ ბავშვი სუსტდება, „უმაღობა“ და „უხორცობა“ სჭირს, თავს და ფეხებს ვერ იმაგრებს, კუჭი ეშლება, ე.ი. ბავშვი მოღუნდება, მადას კარგავს, გახდება...

გადმოცემით, როდესაც მიცვალებულს მიახვენებდნენ, ბავშვის დაქელვა თავიდან რომ აეცილებინათ, იგი ფეხზე უნდა წამოეყენებინათ. თუ ისე მოხდებოდა, რომ ბავშვის წამოყენებას ვერ მოასწრებდნენ, მაშინ მას სასაფლაოზე წაიყვანდნენ, წაიღებდნენ ჩვეულებრივ ზედაღვარს ან ორ რკინას გადააჯვარედინებდნენ, ბავშვს ზედ დააყენებდნენ

და წყალს გადაავლებდნენ. ზოგჯერ სასაფლაოდან მიწა სახლში მოჰქონდათ, წყლიან გობში ჩაყრიდნენ და ბავშვს ამ წყლით აბანავებდნენ.

როგორც თ. ოჩიაური აღნიშნავს, ბავშვის დაღახვისა და მისი მკურნალობის შემთხვევაში ძირითადად მაგიური ხასიათის მოქმედებებთან გვაქვს საქმე. გასვენების დროს ბავშვის ფეხზე წამოყენება ან აკვნიანად წამოყუდება, სიმპათიური მაგიის საფუძველზე იხსნება; მისი წოლა და ძილი მიმსგავსებული უნდა ყოფილიყო მიცვალებულთან. ამ მსგავსებას ცუდი შედეგი რომ არ გამოეწვია, იგი ფეხზე უნდა აეყენებინათ. ამავე საფუძველზე უნდა აიხსნას მიცვალებულისათვის ბავშვის გულზე შეყენებისა და გამოსვენების დროს მთელი ხალხის ფეხზე ადგომის წესიც, რაც გვიანი ხანისათვის ზნეობის ნორმად არის ქცეული (ოჩიაური: 1987: 21).

გადმოცემით, ერთმანეთის დაქელვა შეეძლო ერთ თვეში დაბადებულ ორ მეზობელ ბავშვსაც. თუ გზაში ორი დედა ძუძუმწოვარა ბავშვებით ერთმანეთს შეხვდებოდა, დაქელვის თავიდან ასაცილებლად შემდეგნაირად მოიქცეოდნენ: ორივე დაჯდებოდა ზურგშექცევით, ზურგებშიყუდებულები, ერთმანეთის ბავშვს მოაწოვინებდნენ ძუძუს და ამით ისინი თითქოს დაქელვას აიცილებდნენ. რომელი ბავშვიც დაიქელებოდა, ის ავად გახდებოდა, ვინც დაქელავდა, ის პირიქით „ჯანში მიდიოდა“ (ზედგენიძე: 1946: 18-20). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაქელვა ცნობილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც. ასეთი გადმოცემა ფშავშიც მოწმდება. ფშავში ერთ თვეში დაბადებულ ბავშვებს „მეთვეურს“ ეძახდნენ, იტყოდნენ: „ბავშვი მეთვეურმა გამიღახაო“ (მაკალათია: 1934: 147).

სამცხე-ჯავახეთში ჩვილი ბავშვები ხშირად ხდებოდნენ ავად სხვადასხვა მიზეზის გამო. უმეტესწილად ეს მიზეზი ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცნობი იყო. ამიტომ, ასეთ დაავადებებს ირეალური მიზეზით ხსნიდნენ და დასახმარებლად ზებუნებრივ ძალებს მიმართავდნენ, ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს: სასწორის ერთ მხარეზე ახალდაბადებულ ბავშვს, მეორეზე კი მის წონა ხორცს დადებდნენ და ორივეს ერთად აწონიდნენ. შემდეგ ხორცს მისცემდნენ ბებიას, ის დაილოცებოდა, რომ „დედას შვილი შერჩენოდა“. გარდა ამისა, „ბავშვს, ხშირად, შეუწონიდნენ: სანთელს, მარილსა და რკინას; შეწონილი სანთელი ეკლესიაში უნდა აენთოთ, ხოლო რკინისაგან - დიდ ხუთშაბათს, უმძრახად (ხმის ამოუღებლად) მჭედელს პატარა ცულს, გულის ჯვარს, სამაჯურს და რამდენიმე ცალ ხარის ნაღს გააკეთებინებდნენ - თავის ღურსმნებით. ჯვარს, ცულსა და სამაჯურს ბავშვს აკვანზე ჩამოუკიდებდნენ, ხოლო ხარის ნაღებს დერეფნის გარე კარებზე: თავის ღურსმნებით - ერთს ზღურბლზე მიაკრავდნენ, მეორეს კი მალლა - ბალავარზე მანე - ვეღარ შემოჰყვებო...“ (ზედგენიძე: 1946: 21).

ჯავახეთში ამავე მიზნით ჩვილი ბავშვის პატრონი დაივლიდა შვიდ კომლს, შეაგროვებდა სააკენე ფიცარს და ამ ფიცრებით გაკეთებულ აკვანში ჩააწვენდა ახალდაბადებულს. ამასთანავე შეაგროვებდა ვერცხლის ან სპილენძის ფულს თუ რაიმე ნივთს და გააკეთებდა გასაღებს, რომელიც მას თვრამეტი წელი უნდა ეტარებინა (მაკალათია: 1938: 100). გარდა ამისა, ბავშვი, სადაც დაიბადებოდა, ამოთხრიდნენ ორმოს, ზედ შავ ქათამს დააკლავდნენ, ზვევიდან წინასწარ დამზადებულ პატარა ზედადგარს დაადებდნენ და მიწას მოაყრიდნენ, ზედადგარში ბავშვს სამჯერ გააძვრენდნენ. როგორც ჩანს, ზედადგარი განიხილებოდა როგორც საკრალური სიმბოლო და რიტუალსაც საკრალურთან ზიარების დანიშნულება ჰქონდა.

შესაძლებელია „დაქელვა“ რაქიტის მძიმე ფორმა იყო, რასაც ბუნებრივი საშუალებებით ვერ მკურნალობდნენ და მაგიურ-რელიგიურ საშუალებებს მიმართავდნენ. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, ბავშვს თუ „ძვლები სუსტი“ ჰქონდა (ალბათ რაქიტის იოლი ფორმა), გასამაგრებლად აძლევდნენ დედის რძეში გახსნილ კვერცხის დაფხვნილ და გაცრილ ნაჭუჭს, რაც საკმაოდ ეფექტურია აღნიშნული დაავადების შემთხვევაში. კვერცხის ნაჭუჭი შეიცავს კალციუმის მარილებს, რომელიც თანამედროვე მედიცინაში ფართოდ გამოიყენება რაქიტის და კალციუმის მარილების ნაკლებობის დროს, ძვლების გამაგრების მიზნით.

სამცხე-ჯავახეთში მიაჩნდათ, რომ ჩვილ ბავშვს ხშირად ერჩოდა „ემშაკეულობა“ (ავი სულები), ამიტომ ბავშვს აკვანში ბალიშის ქვეშ ამოუდებდნენ დანას ან მწარე ბლის ტოტს. ზღურბლზე რკინის ნაღს მიაჭედებდნენ. ავი სულებისაგან დასაცავად აკვანზე ჩამოუკიდებდნენ „ჩანჩხურას“ მძივს, რომელშიც ასხმული იყო: „თვალის მძივი“ - „ოროჯი“ (ღვინჭილა), „აყიყი“ (წითელი მძივი ზედ გამოსახული ნახევარმთვარით და ვარსკვლავით),

თევზის ლაყუჩი, ღორის კოჭები... (მაკალათია: 1938: 98-99). ყველა ეს ქმედება ავი სულების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

თუ ორმოც დღემდე ჩვილ ბავშვს „წყეულის ქარი“ იგივე „უქმური“ მოხვედებოდა და ავად გახდებოდა, მიმართავდნენ სხვადასხვა მაგიურ საშუალებას. წარმოდგენა უქმურის შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული. გადმოცემით, უქმურით დაავადება განსაკუთრებულ პირობებში ხდებოდა, სადამოხანს, წყლიან (ჭაობიან) ადგილებში (წისქვილთან, მდინარის პირას). უქმურით ძირითადად ბავშვები და მოზარდები ავადდებოდნენ, თუმცა არ იყო გამორიცხული, რომ უქმური უფროსსაც „აყოლოდა“. სადამოს თუ ნესტიან მიწაზე ვინმე დაჯდებოდა, შეიძლება უქმური „აყოლოდა“ და დაავადებულიყო. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ის უბრალოდ უქმურის გადამტანი ყოფილიყო, თვითონ არ დაავადებულიყო, მაგრამ „უქმური ვინმესთვის მიეტანა“, თუ ვინმე ბავშვთან ოჯახში შევიდოდა - უქმური შეეტანა. გადმოცემით, ბავშვს თუ უქმური „დაერთობოდა“, ავად გახდებოდა: ჭირვეულობდა, ცუდად ეძინა, აწუხებდა უმადობა და შესაძლებელია ტემპერატურაც აწეოდა.

აღნიშნული დაავადების გამომწვევად, როგორც ვთქვით, მიჩნეული იყო - „უქმური“ - ავი სული. ავი სულის ეს სახელწოდება შემდეგ თვით დაავადების აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ამ დაავადების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების მასალებში, კერძოდ, უქმური გაციების შედეგად გამოწვეულ დაავადებად არის მიჩნეული (Машурко: 1903: 358). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, უქმური ციების ერთ-ერთი სახეა (Чурсин: 1905: 36; ოჩიაური: 1987: 33-35). ამ უკანასკნელ ხანებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უქმური ელექტრონული დამუხტვის შედეგად გამოწვეული დაავადებაა (კაკუშაძე: 1964: 21). ჩვენ ამჯერად არ შეგვიძლია დავადგინოთ თუ რა დაავადებაა უქმური. ერთი რამ კი ცხადია, რომ იგი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული სამცხე-ჯავახეთში.

უქმურის საწინააღმდეგოდ აღნიშნულ რეგიონში სხვადასხვა მაგიურ საშუალებას მიმართავდნენ: თუ გვიან ღამე ოჯახში ვინმე შევიდოდა, სტუმარს ცეცხლზე გადაატარებდნენ ან ჩვილი ბავშვის პატრონი ასანთს გაჰკრავდა, ცეცხლზე ბუმბულს დაწვავდა და იტყოდა: „წყეულიმც არის იმის თავიო (ეშმაკის, უქმურის), უკან გაბრუნდეს თუ მოვიდესო“. იცოდნენ აგრეთვე „დახრჩოლება“ მაგ., უზალიკს//მარიამსაკმელას [Peganum harmala] გაახმობდნენ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და ისე „უხრჩოლებდნენ“, ან უხრჩოლებდნენ ცეცხლმოკიდებული ფრინველის ბუმბულს, თოფის წამალსა და შაქარს, იტყოდნენ - „ბავშვი წყეულისგან მორჩესო“.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს უქმური შეხვედებოდა და ავად გახდებოდა, მიმართავდნენ შემლოცველებს. მათ მიუტანდნენ ავადმყოფი ბავშვის ქუდს, შავტარიან დანას, ნახშირს და ისე შეალოცვინებდნენ. შელოცვისას შემლოცველს თუ დაამთქნარებდა, მაშინ დარწმუნებული იყვნენ, რომ უქმური იყო „ღართული“, „მოკიდებული“ ე.ი. ბავშვი უქმურისაგან იყო ცუდად. სამცხე-ჯავახეთში დავადასტურეთ შელოცვის რამოდენიმე ვარიანტი:

„უქმურო უჟივისავო, სარკეს და საბარცხელს
დაგიდებენ თავსაო,
კლდეს მოხნამს, ქვიშას დასთესამს:
დასწყევლოს წმ. გიორგიმ, წმ. მარინემ
ყველა: ავი, მავნე - დღისა და ღამისა
ღმერთმან ჩვენმა - იესო ქრისტემ
დასწეროს თვისი ძლიერი ჯვარი ამინ“ (ზედგენიძე: 1946: 14-15).

„უქმურო შიშის ქარო, კანში ხარ, კარში გამოდი,
ორშაბათს შეგეშინდა, მაინც შეშინებული ხარ,
სამშაბათს შეგეშინდა, მაინც შეშინებული ხარ,
უქმურო, შიშის ქარო, ძვალში ხარ, კანში გადი
ადექი და მოიხდინე ჩემი ლოცვა“ (ჩირგაძე: 1988: 19).

ამ შელოცვაში ჩართულია შეშინებულის ტექსტის ფრაგმენტები: ორშაბათს შეგეშინდა... როგორც ვხედავთ, უქმურის შელოცვაში უქმურის საწინააღმდეგო საშუალებები (სარკე, სავარცხელი) და მისი ადგილსამყოფელი (ძვალში ხარ, კანში ხარ)

არის მოხსენებელი. არსებობს უმეურის უფრო სრული შელოცვები, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებშია გავრცელებული.

„უმეური მოდიოდა
შუაღამის ბინდისასა,
მოაქნევდა ყავარჯენსა,
ტანგრძელსა და გიშლისასა,
დაუხვდა დედა მარიამი
სად მიდიხარ უმეურო?
ბაღღების საშინებლადა,
დედ-მამის სატირებლადა,
ბაღღებს ვინ გატირებინებს,
დაგცემენ შავტარა დანასა,
გადმოგადენენ შანასა,
ფუი, წმინდა გიორგიმ დაგწყევლოს
ლოცვა ჩემი რგება ღვთისა“ (მინდაძე: 1981: 100).

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დაკვირვებით, ბავშვის შეშინება არ ვარგოდა. ამიტომ ბავშვებს, განსაკუთრებით კი ჩვილებს, არიდებდნენ შეშინებას. როგორც ამბობდნენ, შეშინებით შეიძლებოდა ბავშვს „გული გასკომოდა ან უშვილო გამოსულიყო“. თუ ბავშვი მაინც შეშინდებოდა, წყალში „უცეცხლო თაფლსა“ და შვიდჯერ „გამტკიცებულ“ ფქვილს გადაურევდნენ, დაალევინებდნენ და შეალოცვინებდნენ. დასტურდება „შიშის შელოცვის“ სხვადასხვა ვარიანტი.

„აშინაო მაშინაო,
გულო რამ შეგაშინაო,
კაცმა შეგაშინა,
ქალმა შეგაშინა,
მგელმა შეგაშინა,
თუ რამ შეგაშინაო?
აკაკუნდი, დაკაკუნდი
თავის ბინაზე დაცუნცულდი.
თეთრი ქორი ქანდარას ზის,
ქათამი საბუდარასა.
გულო დაბრძანდი,
სულო დაბრძანდი,
გულო ნუ გეშინიაო,
სულო ნუ გეშინიაო,
აკუნ ნუ გეშინიაო,
თავის ბინაზე დაკუნკულდი.
შეგიკერავ პერანგს და საგულესაო“ (ჩირგაძე: 1988: 20).

„ყმაწვილს შეშინებია,
გული გადმობრუნებია;
გულო მოდი საგულესა,
ნუ წაუხვალ სასულესა,
თეთრი ქორი ქანდარასა,
ქათამი საბუდარასა.
გულო მოდი საგულესა,
ნუ წასულხარ სასულესა.
ღმერთო შენ დასწერე ჯვარი. ამინ“ (ზედგენიძე: 1946: 29).

ადგილობრივთა წარმოდგენით, ბავშვების დაავადების გამომწვევად ითვლებოდა ასევე „ალი“. ალი ძირითადად ახალშობილებს აშინებდა და დაავადება ვითარდებოდა შიშის მიზეზით. შეშინებულ ბავშვს მაღა ეკარებოდა და უძილობა აწუხებდა. ამ დროსაც შელოცვით მკურნალობდნენ:

„ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი,
სამებისა შენისა ძალისანი:

გვერქვა: კეროს, კუროს და ქრისტიანე,
 წავედით მთასა სანადიროსა,
 ვეძებდით კვალსა ნადირისასა.
 ვერ ვპოვეთ კვალი ნადირისა,
 ვპოვეთ წყარო ალისა, ეშმაკისა,
 შევიპყარი ალი იგი,
 ესხა თმანი ალისანი,
 წვივნი ჭიქისანი, კბილნი რვალისანი,
 თვალთა მოაჭიატებდნენ,
 კბილთა მოაკრჭიალებდნენ
 პირთა ღმკრი (თუ დორბლი?) გამოსდებოდათ,
 მოთამაშობდნენ, მოიცინოდნენ.
 კითხეს ანგელოსთა, სად მიხვალთ ეშმაკო?
 მოახსენეს „მოვალთ ადამიანთან
 ხორცის შესატყვებად. სისხლის შესასმელებად!“
 უბრძანეს ანგელოსთა: „გა აგრე არ იქმნების
 თუ არა დაგიჭერთ ასოთა თქვენთა
 ჩავაგდებთ თორნეს გახურებულსა - სად არა რა ისმის.“

შეემინდათ ეშმაკთ: მოგვიცია თავებდად ღმერთი.
 სადაც იყვეს წივნი თქვენი და სახელი თქვენი იხსენებოდეს,
 არა შევეხნეთ მონასა შენსა. (სახელი შელოცვილის)
 აწ და მარადის უკუნით უკუნისამდინ, ამინ“ (ზედგენიძე: 1946: 15).

ამ შელოცვაში, აღწერილია ჩლიქისნაირი წვივების მქონე პირდორბლიანი, რკინის კბილებიანი ადამიანის ხორცის მჭამელი და სისხლის მსმელი ბოროტი სული - „ალი“, რომელიც განსაკუთრებით ერჩოდა მშობიარესა და ახალშობილს. ალი მოიხსენიება ალ. ხახანაშვილის მიერ მოყვანილ მელოგინეს შელოცვაშიც (ХАХАНОВ: 1891: 11). სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „ალი მშობიარის მაცდურია“ (ორბელიანი: 1991).

ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: ქართველთა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ალი ოქროსთმიანი ლამაზი ქალია. უფრო იშვიათად გვხვდება განსხვავებული შეხედულებაც, რომლის მიხედვით ალი მამრობითი სქესის ავსულია და მისი იერსახე ემთხვევა გ. ზედგენიძის მიერ შელოცვაში მოყვანილ აღწერილობას. ამრიგად, ალი მამრობითი თუ მდედრობითი სქესის ავსული, მშობიარე, მელოგინე ქალთან და ახალშობილთან კავშირში განიხილება. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი შელოცვის მიხედვით, მას ებრძვის და განდევნის ანგელოზი.

ალი ავსულთა არაქრისტიანული კატეგორიაა, ებრძვიან და ემუქრებიან ანგელოზები (ქრისტიანული მოტივი) და ქრისტიანი წმინდანები (ХАХАНОВ: 1891: 11).

სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული მასალების მიხედვით, ბავშვს ხშირად ერჩოდა „ავი ქარი“ (ავი სული). ბავშვს თუ ავი ქარი მოხვდებოდა, მაშინ მას სიცხეს მისცემდა, ცუდად გახდებოდა, „ავქარდაკრულს“ ბეჭებზე კი ხუთი თითის დანარტყაში ემჩნეოდა. გადმოცემით, „ბავშვს თუ ქარი დაერთობოდა, ბეჭებზე ხუთი თითი ერტყა და ეს ავი ქარისაგან დაცხობილი იყო“. ავი ქარისაგან ბავშვები ხშირად იღუპებოდნენ.

ქართულ ხალხურ მეტყველებაში „ავი ქარი“ განსხვავებით ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერებისაგან, ავი სულის სინონიმია. ამ მიმართებით საყურადღებოა ტერმინი „ავქარდაკრული“, ე.ი. ავადმყოფი, რომელიც ავი ქარის//ავი სულის მიზეზით არის ავად. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „ქარიც სულად უთქვამთ“ (ორბელიანი: 1993), შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ავი ქარი, ავი სულის შესატყვისია. ილ. აბულაძის მიხედვითაც, ქარის ერთ-ერთი მნიშვნელობა სულია (აბულაძე: 1973). როგორც ჩანს, განსხვავებით თანამედროვე სალიტერატურო ენისაგან, სულის ეს სინონიმიც (ქარი) შემორჩა ხალხურ მეტყველებას და იგი ყოველთვის ბოროტი სულის მნიშვნელობით იხმარება (მინდაძე: 2000: 18).

ავი ქარის საწინააღმდეგოდ სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. ბავშვის დაბადებისთანავე ეზოში ცეცხლს დაანთებდნენ - სამი დღის განმავლობაში, კარებში ჯაჭვს დადებდნენ, სახლზე ნაღს დაკიდებდნენ, აკვანში გველის პერანგის ნაწილს, მაკრატელს ან დანას ჩაუდებდნენ. გადმოცემით, ყველა ზემოაღწერილი საშუალება ავი

ქარისაგან იცავდა ბავშვს. ბავშვი თუ ძალიან ცუდად იყო, მაშინ მას შავ ნაჭერს გადააფარებდნენ, შავ კატას გადაახტუნებდნენ სამჯერ და კატისავე სისხლით ნაჭერზე ჯვარს დაწერდნენ. „ავი ქარის“ დროს „დახრჩოლებასაც“ მიმართავდნენ: ცხვრის ყველს, შაქარს, ქათმის ბუმბულს ერთად დაწვავდნენ და კვამლზე ბავშვს შემოატარებდნენ ან ბავშვს პერანგს გახდიდნენ, დაწვავდნენ უხრჩოლებდნენ და შემდეგ შეულოცავდნენ. ზოგჯერ რკინაზე ნაკვეთხალს დაყრიდნენ და აკვნის გარშემო შემოატარებდნენ. ასევე ბავშვს თაფლიან წყალს გადაავლებდნენ. გადმოცემით, აქარდაკრული ბავშვები წმინდა გიორგის ეკლესიებში მიჰყავდათ და რაც შეთქმული ჰქონდათ, იმას წაიღებდნენ, მაგალითად, შავ ქათამს, მტრედს... (ჩირგაძე: 1989: 21).

ავი ქარის საწინააღმდეგო ქმედებებში აშკარად ჩანს ძველი მაგიური რიტუალების კვალი, სადაც ავი სულების განდევნის მთავარი ფუნქცია ცეცხლს ენიჭება და ქრისტიანული რელიგიის მოტივი - (წმინდა გიორგი).

ხალხის რწმენით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო საშუალება ბავშვს ავი ქარისაგან ათავისუფლებდა.

სამცხე-ჯავახეთში მოძიებული მასალის მიხედვით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „საყმაწვილო“, რომელიც, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ბავშვთა დაავადებათა კატეგორიას განეკუთვნება. საყმაწვილო, ხალხური განმარტებით, არის ავადმყოფობა, რომელიც ემართებათ ჩვილი ასაკიდან უმეტესად 7-8 წლამდე (ზოგჯერ 12-13 წლამდე). გადმოცემით, საყმაწვილო გავრცელებული იყო უფრო თეთრ ბავშვებში, ძირითადად ბიჭებში. ხალხური დაკვირვებით, საყმაწვილო შვიდ წლამდე თუ არ გაივლიდა, მაშინ ის ბნელაში გადაიზრდებოდა.

საყმაწვილოს გამომწვევ მიზეზად აღნიშნულ რეგიონში მიაჩნდათ: „ავი სული“ - „ავი ქარი“ და „ცუდი“, „გლახა“ - „ეშმაკების ჰაერი“.

ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი იყო: სიცხე, უმადობა, სიგამხდრე, გამონაყარი, სიღურჯე, კრუნჩხვები, „თვალეების გამრუდება“ (სიელმე).

გადმოცემით, საყმაწვილო ორი ფორმისა იყო, დედალ-მამალი. პირველ ფორმას იოლად თვლიდნენ, მეორე კი რთული იყო და შეიძლებოდა ბავშვი დაღუპულიყო.

თანამედროვე სამედიცინო მონაცემების მიხედვით, საყმაწვილო ტუბერკულოზის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა ბავშვებში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986). საყმაწვილოს ახასიათებს ორგანიზმის კვების მოშლა და მიდრეკილება სხვადასხვა ორგანოს ქრონიკული ანთებებისადმი. გამომწვეულია აგრეთვე, ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობის შედეგად, მაღალი ტემპერატურის დროს ახასიათებს კრუნჩხვები.

როგორც ვხედავთ, ეს სახელწოდება ორ სხვადასხვა დაავადებას აერთიანებდა: ბავშვთა ტუბერკულოზს და ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობით გამოწვეულ დაავადებებს.

დაავადების ხალხური აღწერილობა (გამონაყარი, სიცხე) მიუთითებს იმაზე, რომ საყმაწვილო აღერგიულ დაავადებას, ზოგჯერ კი სპაზმოფილიასა და ეპილეფსიასაც გულისხმობს. უფრო სწორად, ეპილეფსიის ადრეულ, ბავშვობის ხანაში გამოვლინებას. ამას ადასტურებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არაერთგზის დამოწმებული მასალა, რომლის მიხედვით, საყმაწვილო ბავშვობის ასაკში ემართებოდათ და თუ არ გაუვლიდათ, ის ბნელაში გადაიზრდებოდა.

ძველ ქართულში ეპილეფსია ცნობილი იყო „მტერთა დაცემის“ სახელწოდებით. ეს დაავადება მრავალ სამედიცინო და არასამედიცინო წყაროშია მოხსენიებული და აღწერილია მისი დამახასიათებელი ნიშნები. ბავშვთა ასაკში ეპილეფსიად ხშირად სხვა კრუნჩხვით მიმდინარე დაავადებებიც მიაჩნდათ. „წიგნი სააქიმოში“ აღნიშნულია, რომ „მტერთა დაცემა“, ე.ი. გულყრა შეიძლება ძუძუმწოვარასაც მოუვიდეს, მაგრამ მას მკურნალობა არ უნდა, რადგან, როგორც კი წამოიზრდება, თავისით გაუვლის: „რად ესე მანკი ყმაწურილთა გამოაჩნდეს... ძუძუის მწოარისა კურნებაი არა ხამს, რომელ რად გადიდდეს და ასონი გაუხურდენ და განძლიერდეს სინედლე მისგნით კიდე წავალს და გამრთელდების“ (წიგნი სააქიმო: 1936: 86-87). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მტერთა დაცემა/ეპილეფსია სპაზმოფილურ კრუნჩხვებს გულისხმობდა, რომელიც ბავშვის ზრდასთან ერთად შეიძლება გაქრეს.

ამრიგად, ხალხური ტერმინი „საყმაწვილო“//„საბავშვო“ აერთიანებდა რამდენიმე ბავშვთა დაავადებას, რომელთა საერთო და ძირითადი სიმპტომი იყო კრუნჩხვა (მინდაძე: 2002: 311).

სამცხე-ჯავახეთში, საყმაწვილოსაგან დასაცავად ბავშვს აკვანში ბალიშის ქვეშ ნახშირს, პურის ნატეხსა და შავტარიან დანას დაუდებდნენ, აკვანზე კი „ჩხაკუნას“ (ერთად აცმული თევზის ლაყუჩი და ღორის ფრჩხილები) დაკიდებდნენ. თუ საყმაწვილო დაემართებოდა, მაშინ სხვა საშუალებებს მიმართავდნენ: ძილის დროს შავ, უხმარ ნაჭერს გადააფარებდნენ, ზევიდან კი ბამბისაგან გაკეთებულ ბავშვის სიგრძის ჯვარს დაადებდნენ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და იტყოდნენ: „შავმა მიიღოს და ბავშვი გადარჩეს“. შავ ქათამს შაქარს მოაყრიდნენ, ბავშვს მიადებდნენ და ეტყოდნენ: „წაიღე და წადიო“. შუბლზე და ყურის ძირში შავი ქათმის სისხლს წაუსვამდნენ, მარცხენა ნეკის თითიდან კი სისხლს გამოუღებდნენ და მოაწუწუნებდნენ ან შავი კატის სისხლს წყალში ან ძროხის რქეში გალესავდნენ და დააღვინებდნენ. საყმაწვილოს „დახრჩოლებითაც“ მკურნალობდნენ: დაწვავდნენ ავადმყოფის ტანსაცმელს და ბავშვს კვამლზე გადაატარებდნენ ან გოგირდს, ღორის ბეწვს, ცხვრის ყველს, შაქარს, ქათმის ბუმბულს, წითელ სიმინდს ერთად დაწვავდნენ და „უხრჩოლებდნენ“. აღნიშნულ პროცედურას ორისამი დღის მანძილზე იმეორებდნენ, გადმოცემით, ამის შემდეგ „ავი სულები“ ცეცხლში დაიწვებოდნენ და ბავშვსაც შვება ექნებოდა (ჩირგაძე: 1986: 3).

როგორც ვხედავთ, აქაც ისევე როგორც უმურის, ალის და შეშინების სამკურნალო ქმედებებში ძირითადად წინაქრისტიანული ელემენტები ჭარბობს და ავი სულების მოშორება მაგიური რიტუალებით ხდებოდა, სადაც გადამწვევები მნიშვნელობა ცეცხლის განმწმენდ ძალას ენიჭებოდა.

გადმოცემით, აღნიშნულ რეგიონში ბავშვები ხშირად ავად ხდებოდნენ „ავი თვალის“ გამო. როდესაც ბავშვი „გათვალბოდა“, ის უგუნებოდ იყო, ჭირვეულობდა, ცუდად ეძინა, მადას კარგავდა, ტემპერატურა აუწევდა, მუცელი ტკიოდა...

„ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, დაავადებათა გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად ავი თვალია მიჩნეული. წარმოდგენა ავი თვალის შესახებ უნივერსალური თუ არა, ხალხურ კულტურაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებულია“ (მინდაძე: 2006: 174).

საკვლევი რეგიონის მთხრობელთა დაკვირვებით, ავი თვალი უფრო მეტად გულებოროტ ადამიანებს ჰქონდათ, მაგრამ, შესაძლებელია, სავსებით კეთილ ადამიანსაც დაჰყოლოდა და ეს მას თვითონ აწუხებდა. იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანმა არც კი იცოდა, რომ მას ავი თვალი ჰქონდა.

გადმოცემით, „ცუდი“//„ავი თვალი“ იყო ცისფერი ან ჭრელი - „ჩახალა“ თვალი. იმისათვის რომ გაეგოთ ბავშვი გათვალული იყო თუ არა, მლოცავს მიმართავდნენ. მლოცავი ჭიქით წყალს აიღებდა, ნაკვერჩხალს ჩააგდებდა და თუ ის ფსკერზე ჩავიდოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ბავშვი „გათვალული“ იყო. ამის შემდეგ მლოცავი წყალში ნახშირს „გალესავდა“ (გახსნიდა), შიგ გამდნარ სანთელს ჩააწვეთებდა და ბავშვს დააღვინებდა, ტანზეც წაუსვამდა, სამჯერ პირჯვარს გადაწერდა და შეულოცავდა:

„შავი წყალი მოდიოდა
შავი გველი მოჰქონდა,
ჩავაქნე შავი მათრახი
ამოვიღე შავი გველი,
შავგრემან ქალის თვალია.
გაკაფე და გამოიტანე!
შავგრემან კაცის თვალია.
გაკაფე და გამოიტანე!
ბავშვის თვალია,
გაკაფე და გამოიტანე!
თეთრი წყალი მოდიოდა,
თეთრი გველი მოჰქონდა,
ჩავაქნე თეთრი მათრახი,
ამოვიღე თეთრი გველი,
თეთრი ქალის თვალია,

თვალჭრელი ქალის თვალთა,
თეთრი კაცის თვალთა,
გაკაფე და გამოიტანე!
ბავშვის თვალთა,
გაკაფე და გამოიტანე!
ბავშვის თვალთა,
გაკაფე და გამოიტანე!
ყვითელი წყალი მოდიოდა,
ყვითელი გველი მოჰქონდა,
ჩავაქნე ყვითელი მათრახი,
ამოვიღე ყვითელი გველი,
ყვითელი კაცის თვალთა“ (ჩირგაძე: 1988: 14).

დავამოწმეთ შელოცვის სხვა ვარიანტი:

„ალისასა, მალისასა,
შეგილოცავ თვალისასა,
შინაურისასა, გარეულისასა,
ჩაეყაროს თვალში ნაცარი
მისი გლახად შემომხედისა,
ადექი და მოუხდინე ჩემი ღოცვა“ (ჩირგაძე: 1988: 17).

ეს შელოცვები საქართველოში ფართოდ გავრცელებული ავი თვალის შელოცვების ნაირსახეობას წარმოადგენს.

სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული იყო „ხუნაგი“//დიფტერია. ეს დაავადება დიდ ზიანს აყენებდა ბავშვებს და მას ხშირად სიკვდილიც მოსდევდა.

ხალხური დაკვირვებით, „ხუნაგს“ ახასიათებდა: ტემპერატურის მომატება, ყელის ძლიერი ტკივილი და დაჩირქება. „ხუნაგი ცუდი ავადობაა, დაჩირქება იცის, ყელი შეიძლება გაეხვრიტოს, ძნელად იბრუნებს, ბავშვი ვერ იხუნთქებს“ - გადმოგვცემს მთხრობელი (ჩირგაძე: 1988: 23).

სულხან-საბას მიხედვით, ხუნაგი - სასის გასივებაა (ორბელიანი: 1993).

ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში კი, ხუნაგი მძიმე გადაადგებ დაავადებად იყო მიჩნეული. X საუკუნისათვის ცნობილი იყო ამ დაავადების ისეთი ნიშნები, როგორცაა: ხახის ტკივილი, გასიება, ყლაპვის გაძნელება და სხვა. „ხუნაგი ამას ქუიან რომე ხახა სტკიოდეს და საჭმელსა ვერა ჩანთქემდეს და ყელიცა გაუსივდეს. ესე ავი სენი არის“ (ქანანელი: 1997: 346). მსგავსი სიმპტომებით არის ეს დაავადება აღწერილი XIII საუკუნის და შემდეგი საუკუნეების სამედიცინო წყაროებში. XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ ხუნაგის დროს „კაცი იგრძნობს ტკივილს ყელში და კისერში. დიდი გაჭირვებით დაიწყებს სუნთქვას და ყლაპვას დაუშლის. ამასთან ნახლა დაუწყებს პირიდან დენას, თვალები გაუწითლდება და თუ მალე არ უშველეს იქნება კიდევ დაარჩოს“ (სააკაშვილი, გელაშვილი: 1956: 52-53).

სამცხე-ჯავახეთში ხუნაგის სამკურნალოდ სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. ეფექტური იყო ყელზე თბილი კომპრესების დადება. კომპრესებს შემდეგნაირად აკეთებდნენ: გამთბარ ერბოს ან „ბაქმას“ (თუთის სქლად მოღულებული წვენი) თუთის ტყლაპზე წაუსვამდნენ ან დაშაქრულ დედის რძეს წაუსვამდნენ მატყლზე, ბავშვს ყელზე შემოადებდნენ და შეუხვევდნენ. ყელზე შემოსადებად ხმარობდნენ აგრეთვე შაქარმოყრილ მოხარშულ თბილ ღვალოს [Rumex alpinus].

უნდა აღინიშნოს, რომ ხუნაგის სამკურნალო ზოგიერთი ხალხური საშუალება თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია. მაგალითად: კომპრესები, რომელებიც ხელს უწყობს ანთებითი პროცესის გაწოვას.

სამცხე-ჯავახეთში ბავშვებს ხშირად აწუხებდათ ტონზილიტი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „სასის ჩამოსვლას“ ეძახდა. გამომწვევ მიზეზად გაციება მიაჩნდათ. სამკურნალოდ იყენებდნენ სხვადასხვა სახის საშუალებებს: გამოსავლებად ტუხტის [Altea], გვირილას [Leucanthemum vulgare] ნაყენებს, ამოსასმელად თუთის ბაქმას, იცოდნენ ასევე მარილდაყრილი ცერა თითის ამოსმა ყელში და „სასის აწევა“. „ყელის მთლიანი აწევისათვის“ ტყუპების დედას მიმართავდნენ, რომელიც ბავშვს „ანყოლზე“ (ზღურბლზე) დასვამდა, ნიკაპის ქვეშ „ფეშტამალს“ (წინსაფარს) ამოადებდა და ნიკაპქვეშ

ამოდებული წინსაფრით ბავშვს სამჯერ აწვედა. იცოდნენ აგრეთვე „მუხლანტოხის“ (მაგნიტის) ბავშვის ბალიშის ქვეშ ამოდება - იცოდნენ: „სასას აუწვესო, აკრეფამსო“ (ჩირგაძე: 1988: 11). ნუშისებრი ჯირკვლების ანთების მკურნალობის ანალოგიური მეთოდი აღწერილი აქვს ა. იაშვილს (Яшвили: 1904: 12).

როგორც ჩანს, ასეთი მეთოდით ნუშისებრ ჯირკვლებს ჩირქოვანი საცობებისაგან ათავისუფლებდნენ.

სამცხე-ჯავახეთში ყველაზე მეტად გავრცელებულ და საშიშ დაავადებებს ბავშვთა ინფექციური სნეულებანი ე.წ. „სახადები“ წარმოადგენდა, რომელთაც „ბატონებს“, იშვიათად „ანგელოზებს“ უწოდებდნენ. ამ დაავადებებს განეკუთვნება: **ყვავილი//დიდი ბატონები, წითელა, ქუნთრუშა//ქუთეშა//ყელათმა, ჩუტყვავილა//წყლის ყვავილი//ქმუტი, წითურა, ყბაყურა, ყივანახველა//ხველა ბატონები.**

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სახადები სნეულებებია: „წითელა - სენია, ყვავილი - სენია, ქუნთრუშა - სენია“ და ა.შ. (ორბელიანი: 1993).

სახადებთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთში ისევე, როგორც მთელ საქართველოში მდიდარი რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებებია დადასტურებული, რაც ამ დაავადებათა განსაკუთრებული ბუნებითა და ხასიათით იყო განპირობებული.

აღნიშნული რეგიონის მოსახლეობისათვის კარგად იყო ცნობილი ზემოაღნიშნულ დაავადებათა ძირითადი თვისება - ორგანიზმისთვის იმუნიტეტის გამომუშავების უნარი, რაზედაც მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებული მასალა, ასევე ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინი - სახადი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც გვხვდება.

სამცხე-ჯავახეთის მკვიდრმა მოსახლეობამ საუკუნეების მანძილზე ემპირიული დაკვირვების შედეგად საკმაოდ მდიდარი ცოდნა დააგროვა აღნიშნულ დაავადებათა შესახებ და ამ ცოდნაზე დაყრდნობით, მათი გავრცელების წინააღმდეგ თუ მკურნალობის მიზნით, სხვადასხვა რაციონალურ ზომებს მიმართავდა.

გადმოცემით, ბატონები „ღმერთის კარზე“ ცხოვრობდნენ, ისინი „ღვთისგან“ იყვნენ გამოგზავნილები. ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა დამართოდა სახადი და ამით ღმერთის წინაშე ვალი მოეხადა. ერთ-ერთი მთხრობლის მიხედვით, როგორც ბატონის წინაშე უნდა მოეხადა გლეხს თავისი ვალი, ე.ი. მიეცა მოსავლის გარკვეული ნაწილი, ისე ადამიანს უნდა მოეხადა სახადი - „ვალი ღვთის წინაშე“. სწორედ ამიტომ სახადებს: წითელას, ყივანახველას და სხვ. სამცხე-ჯავახეთში „ღვთის ვალსაც“ უწოდებდნენ.

ასეთი წარმოდგენა სახადების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასტურდება, რასაც მოწმობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სახადების აღმნიშვნელი ერთ-ერთი გავრცელებული ტერმინი „ღვთის ვალი“ (მინდაძე: 1981: 117). სახადები ღვთიურ სნეულებებად მიაჩნდათ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეს წარმოდგენა დღესაც შემორჩენილია, რასაც მოწმობს ამ უკანასკნელ ხანებში იმერეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა (ნებიერიძე: 2006: 53; ხაჭაპურიძე: 2006: 59).

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ცნობით, ბატონების მობრძანებას სიზმარით იგებდნენ. სიზმარში ბატონებს ძირითადად ადამიანების სახით ნახულობდნენ, ყვავილს და ჩუტყვავილას ქალების სახით, წითელას მხედრის სახით. ზოგიერთს კი ბატონები ჭრელი წითელ-ყვითელი პეპლების სახით ესიზმრებოდა. რიგი მთხრობლებისა მათ უხილავად თვლის.

გ. ზედგენიძის ცნობით, ბატონები ერთხელ ერთ კაცს შეხვედრიან და გაუფრთხილებიათ კიდევ - „ჩვენაო შვიდი და-ძმანი ვართო - ბატონებო. წადიო დაიარე სოფლები და უთხარიო: ჩვენ უნდა მოვიდეთო. სიამოვნება და სისუფთავე ჰქონდეთო, ჩვენ მოვალთო და თან ამდენ ქალს, ბიჭსა და გოგოს წავიყვანთო“ (ზედგენიძე: 1946: 32).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ბატონები ადგილობრივ მოსახლეობას შვიდ და-ძმად წარმოედგინა. ეს წარმოდგენა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სახადებში შვიდი დაავადება ერთიანდება, მაგრამ სქესის მიხედვით მათი დაყოფის შესახებ მასალის მოძიება ჭირს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჩვენ მიერ ზემომოყვანილი სიზმრის მიხედვით წითელა მამაკაცად მიაჩნდათ, ხოლო ყვავილი და ჩუტყვავილა ქალად, მაგრამ აღნიშნული მასალის გარდა ჩვენ სხვა მონაცემები არ გავგაჩნია, ამიტომ დაბეჯითებით ამ საკითხზე ვერაფერს ვიტყვით. ივ. ჯავახიშვილი ეცადა გაერკვია ბატონების სქესი, მაგრამ ეს საკითხი დღესაც

გაურკვეველი რჩება. „ამჟამად ძნელი სათქმელია, თუ რა მოსაზრებასა და მსოფლმხედველობაზე იყო დამყარებული ამ ბატონების მამრობით, თუ მდედრობით არსებად მიჩნევა, მაგრამ უფრო ბუნებრივია გვეფიქრა, რომ ზოგი ასეთი მორაქული ავადმყოფობის გამომწვევად სწორედ ქალი ანუ და - „ბატონი“ იქნებოდა ცნობილი, ზოგისა - კი ვაჟი, ძმა - „ბატონი“ (ჯავახიშვილი: 1950: 195).

ერთი რამ კი ცხადია, რომ სახადებს განასხვავებდნენ ხანგრძლივობისა და სირთულის, სიმძიმის მიხედვით. მიიჩნდათ, რომ სახადი ცხრადლიანი იყო, მაგრამ გათვალისწინებული იყო თითოეული მათგანის თვისებები, მაგ., ქუნთრუშა 30 დღე მიმდინარეობდა, ყივანახველა 40 დღე და ა.შ. სახადი იწყებოდა უგუნებობით, უქეიფობით, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, მეოთხე დღეს ავადმყოფს ტემპერატურა აეწეოდა და გამოაყრიდა (ყვავილის, ჩუტყვავილას დროს) ან გამოფენდა (წითელას, წითურას დროს), მეშვიდე დღიდან ტემპერატურა ნელ-ნელა დაიწვედა და გამონაყარიც მცირდებოდა. მეცხრე დღეს სახადი მორჩენილად ითვლებოდა.

ხალხური დაკვირვებით თითოეულ დაავადებას თავისებური სიმპტომი ახასიათებდა: ყბაყურამ ყბების ან ერთი ყბის ჩამოსიება იცოდა, ე.ი. ზოგჯერ შეიძლება მხოლოდ ცალი მხარე შეშუპებოდა, ძალიან მტკივნეული იყო, ავადმყოფს ყლაპვა უჭირდა. ყბაყურა თუ გართულდებოდა, დაახლოებით 30 დღე მიმდინარეობდა. იოლი ფორმის დროს კი 9 დღე გრძელდებოდა. ამ დროს ავადმყოფს განსაკუთრებული სითბო ესაჭიროებოდა. მკურნალობდნენ კომპრესებით: ცოტაოდენ თაფლში შაქარს დაუმატებდნენ, წაუსვამდნენ ბამბაზე და ყურზე შემოადებდნენ ან ღვალოს მოხარშავდნენ, გაწურავდნენ, შაქარს მოაყრიდნენ და თბილს შემოადებდნენ, შემდეგ შეუხვევდნენ. ზოგჯერ შაქარს ბამბაზე მოაყრიდნენ და ბავშვს ყურში ჩაუდებდნენ.

გადმოცემით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო საშუალება ეფექტურად მოქმედებდა.

ყივანახველას ახასიათებდა: ტემპერატურის მომატება და ხველა. როცა ხველა წყნარდებოდა, იტყოდნენ: „თავის ნებაზე მოვა და წავაო“. ხველების დროს თითქოს აყივლებდა და შეიძლება ბავშვი გაღურჯებულიყო. ყივანახველის ხანგრძლივობა დაახლოებით 40 დღით განისაზღვრებოდა. თუ გართულდებოდა წლამდეც გრძელდებოდა.

ყივანახველას შემდეგნაირად მკურნალობდნენ: დღეში რამდენჯერმე ავადმყოფს ასმევდნენ ღვალოს დამტკბარ ნახარშს, აუღუდარ, მაგრამ თბილ ცხენის ან ვირის რძეს, როგორც ამბობდნენ - ღვალოს ნახარში და რძე ხველას არბილებდა და ავადმყოფს შვებას აძლევდა.

მკურნალობის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა ავადმყოფის გაძვრენა კაკლის ხის ფესვებში, რაც თითქმის მთელ საქართველოშია დადასტურებული. კაკლის გაშიშვლებული ფესვი, ხალხური წარმოდგენით, მეხის დაცემის შედეგი იყო. ყივანახველიანი ბავშვის გაძვრენა მხოლოდ ნამეხარი კაკლის ფესვქვეშ იძლეოდა დადებით შედეგს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნამეხარი კაკალი წმინდა ხედ ითვლებოდა და სწორედ ამიტომ ის დადებითად მოქმედებდა ყივანახველაზე, როგორც ღვთიურ დაავადებაზე (მინდაძე: 2001: 162).

ადიგენის რაიონში, სოფელ არალში, მდებარეობს წმინდა იოსების კათოლიკური ეკლესია, რომლის ტერიტორიაზეც შუაში მრგვლად ამოჭრილი ქვა ინახება. ეს ქვა წმინდა „სასწაულიან“ ქვად ითვლება. გადმოცემით, ყივანახველის დროს ბავშვებს ამ ქვაში გააძვრენდნენ. აქ დადიოდნენ როგორც კათოლიკე, ასევე მართლმადიდებლები. იცოდნენ ზედადგარში და წივაში გაძვრენაც. ამ უკანასკნელს გამოთხრიდნენ და ბავშვს ისე გაატარებდნენ.

ზემოაღწერილი წესი, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გარდამავალი, ე.წ. გადასვლის რიტუალი, სადაც სიმბოლურად აისახება ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა, ადამიანის მეორედ დაბადება (Абакелия: 1991: 20) ან შესაძლებელია კაკლის ხე და წმინდა ქვა, ისევე როგორც ზედადგარი, განიხილებოდა საკრალურ სიმბოლოდ და რიტუალსაც საკრალურთან ზიარების დანიშნულება ჰქონდა. არც ის არის გამორიცხული, რომ ამ წესს დაავადების სხვა საგანზე გადატანის უძველესი მაგიური გააზრება ელს საფუძვლად.

ასეთივე გააზრება ჰქონდა „გამწურალ“ ბატონებთან დაკავშირებულ ქმედებებს: ბავშვს თუ ყივანახველა გაურთულდებოდა, ე.ი. „დიდი ხველა“ როცა ჰქონდა,

გამოაცხოვდნენ პატარა პურებს, გახვრეტდნენ, გზაჯვარედინზე დადებდნენ და იტყოდნენ: „მყეფარე მოვიდეს, მყეფარმა წაიღოსო“. იცოდნენ პატარა მაგიდის - „ტაბლის“ დადგამაც, რომელზეც ტკბილეულსა და „პურის კოკრებს“ დააწყობდნენ. ამ უკანასკნელს ძაფზე ჩამოაცვამდნენ და ხეზე ჩამოჰკიდებდნენ, რადგან ჩიტი შეჭამდა და ავადმყოფობასაც თან წაიღებდა.

ქუთრუშას სამცხე-ჯავახეთში „ქუთუშას“ და „ყელათმას“ ეძახდნენ, იტყოდნენ: „შარი ბატონებია და თაენებანიო“. გადმოცემით, ქუთრუშას დროს სახე დაუსივდებოდათ, ახასიათებდა სიცხე, ყელის ტკივილი და მეოთხე დღეს გამოაყრიდა მოლურჯო ფერის ქვიშისებრი გამონაყარი - „შექვიშავდა“. ქუთრუშა ადგილობრივთა გადმოცემით, ერთ თვემდე გრძელდებოდა.

ჩუტყვავილას აღნიშნულ რეგიონში „ქმუტს“ და „წყლის ყვავილს“ ეძახდნენ. ავადმყოფს სამი დღე სიცხე ჰქონდა, შემდეგ თეთრი ფერის წყლიანი მუწუკები დააყრიდა, რომლებიც გასკდებოდა და სამ დღეში მთლიანად აიკრიფებოდა. ეს დაავადება ცხრა დღე გრძელდებოდა.

წითელას დროს სამი დღის სიცხის შემდეგ წითლად დააყრიდა, მეოთხე დღეს სიწითლე გაფერმკთალებას იწყებდა, შემდეგ სამ დღეში კანი მთლიანად გასუფთავდებოდა. წითელა ცხრა დღე მიმდინარეობდა და ხშირად რთულდებოდა, რაც ყველაზე მეტად თვალებზე აისახებოდა.

ყვავილი ყველაზე მძიმე დაავადებად იყო მიჩნეული და მას „დიდ ბატონებს“ ეძახდნენ. გადმოცემით, ყვავილმა პირველი სამი დღე მაღალი სიცხე, თვალების, თავის, სახსრების ტკივილი იცოდა, მეოთხე დღეს გამოაყრიდა. ხალხური აღწერილობით, ყვავილმა „დიდრონი“ მუწუკები იცოდა და როცა „უბრუნდებოდათ“ ე.ი. როდესაც გამონაყარი აიკრიფებოდა სახე „დაჩეილი“ ე.ი. ნაყვავილარი დარჩებოდათ. ყვავილი მეცხრე დღეს უნდა მომშრალებულიყო, მაგრამ 40 დღე მაინც საშიში იყო, რადგან ამ პერიოდში მოსალოდნელი იყო ავადმყოფობის გამწვავება.

ძველ სამედიცინო წიგნებში სახადები უკვე X საუკუნიდან მოიხსენიება. „უსწორო კარაბადინის“ მიხედვით: „ცხრო რომე ყუავილისაგან იქნების. მისი ნიშანი ესე არის. ერთობილი ტანი ცეცხლივითა იყოს და თუაღნი გაუწითლდენ და თავი ასტიკედეს და ტანსა ქავილი დაუწყოს და წყურვილიცა დაუწყოს და ჭკუაცა შეცვალოს და გულშიცა შიში ჩავარდნოდეს“ (ქანანელი: 1997: 229), ან „ნიშანი მისი ეს არის, რომე გაცხელდეს და სამსა დღესა უკლებად მწოვედ ზურგი და წელი სტკიოდეს. ...მისი მიზეზი სისხლისა განედლებისაგან იქნების, რომე ტანშიცა მიემატების. ერთი ნიშანი ის არის, რომე პირი გაუწითლდების და თვალნი და თავი მძიმედ ჰქონდეს; რა ეს ნიშანი ნახო, იცოდი, რომე ყვავილი გამოესხმის“ (ქანანელი: 1997: 517). „წიგნი სააქიმოში“ აღწერილია დაავადება წითელა: „ნიშანი წითლისა მანკისა: იგი არს, რომელ პირი მშრალად ედგას და სნეული შფოთად ჩქარად იყოს, და თვალნი წითლად ედგნენ და ბუნებაი ეშლებოდეს...“ (წიგნი სააქიმო: 1936: 266).

ცნობილია, რომ ყვავილი საქართველოში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, სადაც დამოწმებულია ყვავილის აცრის უძველესი ხალხური წესი - ვარიოლაცია, რომელიც, საქართველოდან კონსტანტინოპოლის გზით გავრცელდა ევროპაში (სააკაშვილი, გელაშვილი: 1958: 193-200; იოსელიანი: 1977: 142-144).

აღნიშნულ მეთოდს სამცხე-ჯავახეთშიც იცნობდნენ. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ყვავილის საწინააღმდეგო აცრას *ხარისჭირაშვილების* გვარის წარმომადგენლებიც აკეთებდნენ. მათი წინაპრები ყოფილან აღუაშვილები ჯავახეთიდან, სოფელ ბარაღეთიდან, ხოლო ხარისჭირაშვილის გვარი მათ იმის გამო მიუღიათ, რომ აკეთებდნენ „ხარის ჭირის“ წამალს - დაავადებული ხარის ან ძროხის გამონაყრიდან გამოიღებდნენ შიგთავსს დანით, იმავე დანით ბაჟშეს ცერსა და საჩვენებელ თითს შუა კანს ჯვრის ფორმით გაუსერავდნენ. აცრის ჩატარების შემთხვევაში ყვავილი არ უნდა შეხვედროდა, თუ შეხვედებოდა მსუბუქად უნდა მოეხადა. ცნობილი იყო გვარამაძეების, ლომიძეების, ხმალაძეების გვარებიც, რომლებიც ზემოაღნიშნულ პრაქტიკას ეწოდნენ (ჩირგაძე: 1989: 19).

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ბატონების დროს სხვა სამკურნალო საშუალებებს არ მიმართავდა, იტყოდნენ: „თავისით უნდა დაიყვავილოს, მხოლოდ მობოდიშება და პატივისცემა უნდაო“.

მობოდიშების მიზნით ბატონებს შემდეგი სიტყვებით მიმართავდნენ: „ბატონებო კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, როგორც კარგად მობრძანდით, ისე წადითო“ ან „ღმერთო, შენ შეგვიფარე, შენი კალთა გადაგვახურე, შენი გამოგზავნილია, შენ მოგვანიჭე, წაიღე, მშვიდობით გადაგვატარებინეო“.

აღნიშნულ რეგიონში სახადებით დაავადებულთა მოვლის საინტერესო წესები არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა. ავადმყოფი ცალკე, იზოლირებულად იწვა სუფთა ოთახში, ის მშვიდად უნდა ყოფილიყო და მას დედა ან ბებია მოუვლიდა. ოჯახში ბავშვს ალერსიანად ექცეოდნენ, არ აწყენებდნენ და ცდილობდნენ მისი ყოველი სურვილის დაკმაყოფილებას, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს სურვილები თვით ანგელოზების სურვილებს წარმოადგენდა. ბავშვს არიდებდნენ ხორციან, მლაშე, ცხარე საკვებს და მსუბუქი და ტკბილი საჭმლით კვებავდნენ, ძირითადად რძის ნაწარმით. იკრძალებოდა გამონაყრის მოფხანა, მობანა და სხვა.

ბატონების დროს, ავადმყოფი ბავშვის ოთახს მორთავდნენ ყვავილებით, წითელი ან სხვა ფერადი ჩითის ნაჭრებით, საწოლსა და ბალიშზეც წითლებს გადააფარებდნენ, ეს იმიტომ, რომ ბატონებს წითელი ფერი უყვარდათ და მასზე ისვენებდნენ. ბავშვს ლოგინის თავთან „ტაბლას“ გაუშლიდნენ, რომელზეც დააწყოებდნენ: კამფეტებს, თაფლს, მურაბას, წითელ კვერცხებს და სხვა. ავადმყოფი ბავშვის საწოლზე კი შარბათს მოასხურებდნენ, ეს იმიტომ, რომ ბატონებს ტკბილი უყვარდათ და არ „განაწყენებდნენ“ ე.ი. ავადმყოფობა არ გართულებოდა.

თუ ოჯახში ბავშვებიდან ერთ-ერთს არ შეხვდებოდა სახადი, იტყოდნენ: „არ დაუბრძანდა არ მოეწონაო“, ე.ი. ბავშვი ღმერთისაგან „დაწუნებულად“ მიაჩნდათ.

სამცხე-ჯავახეთში ბატონების დროს ოჯახში იკრძალებოდა: ხმაური, ჩხუბი, ტირილი, საკლავის დაკვლა, პურის გამოცხობა, ცეცხლის ანთება... განსაკუთრებით ერიდებოდნენ ხორცისა და თევზის მოხარშვას, ასევე ღორისა და ქათმის „გაფუფქვას“, ამ უკანასკნელს მთელი საგვარეულო უნდა მორიდებოდა. ზედგენიძე გადმოგვცემს ერთ-ერთი ინფორმატორის ნაამბობს: „მე დიდ ბატონებით ვიყავი ავით, და ჩვენებმა არ იცოდნენ, დედაჩემი პურს აცხობდა ბუხარში. რო გამოაცხო და მორჩა, საჯი გამოიღო (საჯი ბრტყელი ამობერილი ზედაპირის მქონე თუჯია, რომელზეც პურს აცხობენ ხანდახან) მეც იქვე ვიწექი, უცბათ ვითომ ფეხებზე, საბნის გარეთ ცეცხლი მომეკიდა და ვიწოდი. ხოლოთ საბანს არ მოეკიდა. ვიყვირე მიშველეთ ცეცხლი მეკიდება - მეთქი. საჯი მომაცილეს, და ნელ-ნელა ცეცხლიც ჩაქრა. ფეხებიც დამეწვა რაც საბნის გარეთ მქონია და ნამდვილი ცეცხლით დამწვარივით მეწოდა და ტყავი გამძვრა. საბანი და ლოგინი კი არ დაიწვა. ცეცხლი ბატონებმა მომიკიდეს. ჩვენ რო დაგვწვიოთ, შენც დაიწვი ვნახოთ კარგიაო“ (ზედგენიძე: 1946: 34).

ბატონების დროს ოჯახში არც საჭმელს გააკეთებდნენ, არც წყალს აადულებდნენ. ავადმყოფი ბავშვის დედას რეცხვაც ეკრძალებოდა, რადგან, როგორც ამბობენ, ის დაიღლებოდა და ბავშვს ვედარ მოუვლიდა. აკრძალული იყო აგრეთვე ალკოჰოლური სასმელის დალევა და ყოველგვარი ხელსაქმე (ქსოვა, კერვა). არ შეიძლებოდა ავადმყოფი ბავშვის მშობლების „ერთად დაწოლა“, იმიტომ რომ, როგორც ითქვა, მთავარი ბატონები დედასთან იყვნენ, გარდა ამისა, იტყოდნენ: „ბავშვი ყრუ-მუნჯი გაჩნდებაო“ (ჩირგაძე: 1988: 51). სახადების დროს ოჯახში იკრძალებოდა სანთლის ანთება, რადგან ბატონებს სანთლის სუნი არ უყვარდათ.

როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივთა გადმოცემით, ბატონებს ყველაფერი ესმოდათ, ხედავდნენ და თუ გაბრაზდებოდნენ, ავადმყოფს დააყრუებდნენ ან დააბრმავეებდნენ, ზოგჯერ კლავდნენ კიდევ, ამიტომ არ შეიძლებოდა ბატონების ცუდად მოხსენიება. ამ მიმართებით საინტერესოა ზედგენიძის მიერ ჩაწერილი მასალა: „ერთხელ სადღაც ვიყავი, ბატონები მომყვნენ, ბავშვი ავით გამიხდა, ჩემ რძალს გაეგო, შემოვიდა. თან ბავშვი ეჭირა ხელში. თქვე დაბრმავეებულეპო სიდან მოიტანეთ ეს ცეცხლი, რო მთელ მეზობლობას ნა გადასდოთ და საწყევლარი ნა გადაიხადოთ - ასე წაგვეხეხუბა, არ გაიარა ერთ კვირამ და მამიკვდა ბავშვი. სამი დღის მერე იმასაც ავით გაუხდა ბავშვი. დაუბრმავედა და მერე მოუკვდა“ (ზედგენიძე: 1946: 34).

სამცხე-ჯავახეთში, ბატონებისა და ავადმყოფის გართობის მიზნით სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ: დაუკრავდნენ ჩონგურზე, ყავალზე (სტვირი), ფანდურზე, იცეკვებდნენ და „იავნანას“ იმღერებდნენ. იავნანას დედა, ბებია ან იავნანას კარგი მომღერალი იმღერებდა. გადმოცემით, ბატონები იავნანას გარდა სხვა სიმღერას არ „მიიღებდნენ“.

სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული იავნანას ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია:

„თეთრი ზღვიდან წამოვედით შვილი და-ძმანი იავნანინაო,

შვიდსა სოფელს შემოვეფინეთ იავნანინაო.

ისე შევედით სოფელშია იავნანინაო,

ძალდი არ შეგვხშიანებია იავნანინაო.

ისე დავიარეთ სოფლები იავნანინაო,

კაცი არ გვიწყენინებია იავნანინაო.

ბატონების მამიდასა უდგას ჩალხის აკვანიო იავნანინაო,

შიგ უწევს ბატონის შვილი იავნანინაო,

თავით უდგია ოქროს თასი იავნანინაო,

შარბათით ნამავსო იავნანინაო,

აქ ბატონებიც მოსულან, მოსულან მობრძანებულან იავნანინაო,

ბატონების მამიდასა წინ გაუშლით ხალიჩასა იავნანინაო“ (ზედგენიძე: 1946: 31).

როგორც ვხედავთ, აქ მოტანილი ტექსტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული იავნანის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ სახადების დროს წითელი თუ სხვა ფერის ნაჭრების ჩამოფარება და ავადმყოფის ოთახის მორთვა ყვავილებით, ტკბილეულით, ასევე მუსიკა - დადებითად მოქმედებს ავადმყოფის ფსიქიკაზე (Минкевич: 1892/93: 126-138).

სხვადასხვა დაავადების დროს მუსიკის დაკვრა, სიმღერა არა მარტო საქართველოსა და კავკასიაში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, უძველესი დროიდან არის ცნობილი. მუსიკა დადებითად მოქმედებდა ავადმყოფზე, ამშვიდებდა და სასიამოვნო განწყობას უქმნიდა.

სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ბატონები თუ „განაწყენდებოდნენ“, მაშინ ავადმყოფი ბავშვის მდგომარეობა მძიმდებოდა. „განაწყენებული“ ბატონები საშიში იყო, როგორც ავადმყოფისათვის, ასევე იმათთვის, ვისაც ის გადაედებოდა, შეხვდებოდა „განაწყენებულად“.

ბატონებიანი ბავშვი თუ მძიმედ იყო ავად, მაშინ მას „ბაზმებს“ აუნთებდნენ: კაკლის დანაყილ გულს ქონში აურევდნენ, მისცემდნენ პატარა სანთლის ფორმას და ავადმყოფს თავთან, მარჯვენა მხარეს დაუდგამდნენ. ბაზმა იწვოდა, მისი სუნი კი ბავშვზე კარგად მოქმედებდა, იტყოდნენ: „კაკალია ბატონების წამალიო“. იცოდნენ ბატონების თავშემოვლაც, ავადმყოფ ბავშვს დედა მუხლმოდრეკით შემოუვლიდა და მოუბოდიშებდა შემდეგი სიტყვებით: „დედა ვარ და მაპატიეთ, ჩვენ ვერ გხედამთ, ჩვენ ბრძები ვართ და თქვენ თვალხილული, მაპატიეთ ბავშვი არ შემიწუხოთო“ ან, „ღმერთო, შენ იცი გვიშველე და დაგვეხმარე, გვაჩუქე ჩვენ შვილიო“ (ჩირვაძე: 1988: 33). იცოდნენ აგრეთვე ბავშვის თავთან, წითელი თიკანის დაბმა და ოთახში წითელი თოკის გაბმა, იტყოდნენ: „ბატონები თოკზე დასხდებიან და ბავშვს თავს დაანებებენო“. ამავე მიზნით შეუთქვამდნენ „ბატონების დედასთან“ წასვლას, იტყოდნენ: „ბავშვს თეთრ ტანსაცმელს ჩავაცმევთ და ისე მოვიყვანთ თქვენ კარზეო“.

ბატონების დედად სამცხე-ჯავახეთში **წმინდა ბარბარე** მიაჩნდათ. მოსახლეობა მის სახელზე აგებულ ეკლესიებში დადიოდა, თან საღვთო (დედალი, ბატკანი...) მიჰყავდათ, ზოგი მტრედსაც გააფრენდა და ბატონების სახელზე ილოცებდა.

საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბარბარეს კულტი (სვანეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით) შეისწავლა ვ. ბარდაველიძემ და აღნიშნა, რომ სვანეთში, ბარბარეს წმინდა მკურნალის ეპითეტით იხსენიებდნენ, ასევე სამეგრელოში, წმინდა ბარბარეს შველა-დახმარებას ევედრებოდნენ და შესაწირავის მირთმევას აღუთქვამდნენ (ბარდაველიძე: 1951: 50). ვ. ბარდაველიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ბატონებთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში, აშკარად იკვეთება მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა თუ სიცოცხლის ხის თაყვანისცემა

(Бардавелидзе: 1957: 93), რაც ბუნების აღორძინებისა და ნაყოფიერების ღვთაების დიდი დედა ნანას, მზის ღვთაების მთავარ იპოსტასს დაუკავშირა (Бардавелидзе: 1957: 76).

სამცხე-ჯავახეთში, ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ბატონებთან დაკავშირებული წესები (ოთახის მორთვა მცენარეებითა და წითელი ნაჭრებით, ტაბლის გაშლა, წითელი კვერცხების დაწობა, ბაზმების ანთება, პურის მრგვალი კვერების ჩამოკიდება ხეზე, ბატონების თავშემოვლის რუტუალი...), აშკარად მიუთითებს ამ კულტში მნათობთა თუ ბუნების აღორძინების, ნაყოფიერების თავყვანისცემის ელემენტების არსებობაზე, ხოლო ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ბარბარეს გაიაზრებს წმინდანად და ნანას წილ-ღვთაებებს - ანგელოზებად, აშკარად მიუთითებს ქრისტიანული რელიგიის გავლენაზე.

6. მინდაძის ვარაუდით - „...სახადების კულტი უძველესია და მასში უხვადაა ასტრალური რელიგიის, დედამიწის თავყვანისცემის ამსახველი თუ სხვა ელემენტები. მაგრამ, იმავდროულად, ხალხურ სარწმუნოებრივ სისტემაზე საკმაოდ ძლიერი გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ, რის დასტურადაც სახადების კულტთან წმინდა ბარბარეს კავშირი მიგვაჩნია“ (მინდაძე: 2008: 95).

ბატონების მოხდის შემდეგ, იცოდნენ მისი გაცილება - „გაპატიუება“. როდესაც ბავშვი ბატონებს მოიხდიდა, ოჯახი „ტაბლას“ აალაგებდა, ნაწილ ტკბილეულს ბავშვს შეაჭმევდნენ, შემდეგ ბატონების გაცილების მიზნით, ტაბლას ტკბილეულთან ერთად სახლიდან გარეთ გაიტანდნენ და გამელელ-გამომელელს გაუმასპინძლებოდნენ, თან იტყოდნენ: „ვენაცვალე თქვენ მოსულ გზას ბატონებო, როგორც მშვიდობით მობრძანებულხართ, ისე მშვიდობით წაბრძანდითო“ ან ზოგჯერ ტაბლას მდინარესთანაც გაიტანდნენ, ტკბილეულს მდინარეში გადაყრიდნენ და იტყოდნენ: „წყალს წაჰყვესო“ (ზედენიძე: 1946: 30-35). ბატონების გაცილების მიზნით, ზოგჯერ პურის კოკრებსაც გამოაცხობდნენ და ბოძზე ჩამოკიდებდნენ (მაკალათია: 1938: 111).

ეს მაგიური წესები ავადმყოფობის სხვა საგანზე „გადატანის“, სხვისთვის გატანების უძველესი იდეის საფუძველზე იყო შექმნილი.

გადმოცემით, მონათლულ ბავშვს იოლად შეხვდებოდა ბატონები, მოუნათლავს კი რთულად. ბატონებისაგან ბავშვი თუ დაიღუპებოდა, იტყოდნენ: „ბატონებმა მიირთვაო“ და დედას მის გარდა სხვა შვილიც თუ ჰყავდა, მაშინ ვერ იტირებდა, ვერც შავს ჩაიცვამდა, რადგან ბატონები გაბრაზდებოდნენ. გარდაცვლილ ბავშვს ღამე, ჩუმად დაასაფლავებდნენ საერთო სასაფლაოზე და საფლავზე მტრედს გადაუფრენდნენ.

ამგვარად, სამცხე-ჯავახეთში დადასტურებული ბატონების მითორიტუალური სისტემა რელიგიური სინკრეტიზმის თვალსაჩინო მაგალითია. ამ სისტემაში აშკარად ჩანს უძველესი რელიგიებისა და ქრისტიანობის გავლენის კვალი.

ზემოაღწერილი წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ჩამოყალიბებაში დაავადებათა რეალური გამოვლინებაც იყო გათვალისწინებული. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას სახადები ღვთის ვალად, ღმერთის წინაშე ერთხელ მოსახდელ ვალდებულებად მიაჩნდა. ეს წარმოდგენა სახადებისათვის დამახასიათებელი თვისების - ორგანიზმის იმუნიტეტის გამომუშავების საფუძველზეა შექმნილი და ადგილობრივ მკვიდრთა სწორ სამედიცინო დაკვირვებაზე მეტყველებს.

მოსახლეობის სწორ დაკვირვებაზე მიგვანიშნებს ავადმყოფის მოვლის ხალხური ტრადიციები, რომელიც მშვიდ და სასიამოვნო გარემოს უქმნიდა ავადმყოფს, აგრეთვე წოლითი რეჟიმი, მსუბუქი დიეტა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამცხე-ჯავახეთში დადასტურებული ყვავილის აცრის ხალხური მეთოდის შესახებ, რაც ალბათ ამცირებდა ეპიდემიის გავრცელების რიცხვს (მინდაძე: 2000: 256-257).

ჩვენ მიერ ზემოგანხილული მასალის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ პედიატრიის ხალხური ტრადიციები, რომელიც აერთიანებდა ნათუროპათიურ და მაგიურ-რელიგიურ წესებსა და რიტუალებს დადებითად მოქმედებდა ავადმყოფზე და ჯანმრთელი თაობის აღზრდას უწყობდა ხელს. პირველ რიგში, ეს ეხება ჩვილ ბავშვთა კვებისა და მოვლის წესებს. დედის რძით კვების თავისუფალი რეჟიმი, ჰიგიენის დაცვის საშუალებანი - მიწიანი საფენები, მარილის მოყრა, ცივ წყალში გავლება, მოსახერხებელი საწოლი - ხოჭიჭი - ხელს უწყობდა ბავშვის საკვებით დაკმაყოფილებას, ნერვული სისტემის სიმშვიდეს და ორგანიზმის გაკაჟებას. იგივე უნდა ითქვას ბავშვთა დაავადებების

მკურნალობის ხალხურ ტრადიციებზე, მაგ., ხუნაგისა და ტონზილიტის დროს სხვადასხვა საველებებისა და კომპრესების გამოყენება...

ნერვული სისტემის გაღიზიანებით ცნობილი დაავადებების: საყმაწვილოს, ავი თვალის, უჟმურის მაგიურ-რელიგიური საშუალებებით - შელოცვებითა და სხვადასხვა რიტუალებით მკურნალობის პრაქტიკა ავადმყოფზე დადებითად მოქმედებდა.

თავი IV

თერაპიის ხალხური ტრადიციები

კუჭ-ნაწლავის დაავადებანი

სამცხე-ჯავახეთში საკმაოდ ხშირი იყო კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა სახის დაავადება: „კუჭის სისუსტე“ (დიარეა), „კუჭის შეკვრა“ (ყაბზობა), „კუჭის ტკივილი“, „მუცლის ჩხვერა“ (მუცლის ტკივილი), „თათარხანი“ (აპენდიციტი) და სხვა.

კუჭ-ნაწლავის დაავადებათა თითოეულ სახეს სათანადო საშუალებებით მკურნალობდნენ.

„კუჭის სისუსტის“ დროს იცავდნენ გარკვეულ დიეტას, ვერდებოდნენ ცხარე, მწარე, მარილიანი საჭმელისა და რძის მიღებას. ავადმყოფს აჭმევდნენ პანტის ჩირს. დასალევად კი პანტის, პიტნის [Mentha arvensis], მარმიჭის [Alchimilla], ანწლის [Sambucus ebulus L], მოცვის [Vaccinium myrtillus] ნახარშებს ხმარობდნენ. ამა თუ იმ მცენარის ნახარშის დამზადების დროს დოზირება უმეტესწილად დაცული არ იყო. იღებდნენ მუჭით ან ხელში რაც მოყვებოდათ იმ რაოდენობის მცენარის ფოთლებსა თუ ნაყოფს, წყალს დაასხამდნენ. ნაყენის დასამზადებლად 2-3 ჭიქას, ხოლო ნახარშისა 1-2 ლიტრს და დუღილის დროს დაჰყავდათ ნახევრამდე ან მესამედამდე. აძლევდნენ ქერის ფაფას, რომელსაც შემდეგნაირად ამზადებდნენ: ქერს მოხალავდნენ, დაფქვავდნენ, ადუღებულ წყალს დაასხამდნენ და წამოადუღებდნენ.

„მუცლის ჩხვერის“ (ტკივილის) გამომწვევ მიზეზად აღნიშნულ რეგიონში გაცივება მიაჩნდათ. მუცლის ტკივილს ზოგჯერ შებერილობაც ახასიათებდა, რასაც დიდი რაოდენობით წყლისა და ხილის მიღებას აბრალებდნენ. მუცლის ტკივილის შემთხვევაში ავადმყოფს ცოტა არაყს დააღვინებდნენ და ფეხებს დაუთბილავდნენ, იტყოდნენ: „ავადმყოფს ფეხი თბილად და თავი გრილად უნდა ჰქონდესო“. მუცელზე თბილ აგურს ან გამთბარ მარილს დაადებდნენ, ზოგჯერ მიწას გაათბობდნენ, ტომარაში ჩაყრიდნენ და ავადმყოფს ზედ დასვამდნენ.

ძლიერი ტკივილის დროს ასმევდნენ: არაყს პატარა საარყე ჭიქით, მთის პიტნის ნაყენს. პიტნა ტკივილის მოხსნის საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა. ავადმყოფს ჭამის შემდეგ წყალში „გალესილ“ (გახსნილ) დათვის გამხმარ ნაღველის ფხვნილს მისცემდნენ. ამავე მიზნით ვირისტერფას [Tussilago farfara], მრავალძარღვას წვეწვს (ფესვებიანად დანაყავდნენ და წვეწვს ისე გამოადენდნენ) ერთ სუფრის კოვზს დღეში სამჯერ დალევდნენ და სხვა. იცოდნენ „მუცლის ჩხვერის“ შელოცვა:

„კოვზი კოჭატი,
ცოცხი ფეხატი,
ოჩხორ, ოჩხორ გაუშვი.
ვინ ნახა მუცლის ჩხვერის
ამდენი გაჭირვება.“

კუჭის შეკრულობის (ყაბზობის) დროს უზმოზე აუღუღარ ცივ რძეს, გამდნარ ერბოს, მჟავე მაწონს, წყალში გახსნილ მჟავე პურის ცომს - საფუარს დალევდნენ და ცხიმთან, უმეტესწილად ზეთთან საკვებს ჭამდნენ.

კუჭის ტკივილის შემთხვევაში იცავდნენ დიეტას. იკრძალებოდა ცხარე, მჟავე, აგრეთვე ცხიმოვანი და ხორციანი საკვების მიღება, იტყოდნენ: „ მარაზია ე.ი. მავნეაო“. სამკურნალოდ გამოიყენებოდა მრავალძარღვას, ვარდკაჭაჭას [Cichorium intybus], მარმიჭის,

მატიტელას [Polyonum aviculare] ნახარშები. ამოთხრიდნენ მარმიჭს, გარეცხავდნენ ფესვებიანად, ერთ ლიტრა წყალს დაასხამდნენ, აღულებდნენ, დაიყვანდნენ მესამედზე და სვამდნენ ან ერთ მუჭა გასუფთავებულ მატიტელას ორ ჭიქა წყალს დაასხამდნენ და ხუთი წუთის განმავლობაში აღულებდნენ, შემდეგ წვენი ცოტოდენ თაფლს შეურევდნენ და დღეში სამჯერ, სუფრის კოვზით მიიღებდნენ. ასევე მოხარშავდნენ გასუფთავებულ მრავალძარღვას, გაწურავდნენ, შემდეგ შაქარს შეურევდნენ და ისე დაღვევდნენ.

გადმოცემით, აღნიშნული წამლები საჭმლის ადვილად მონელებას უწყობდა ხელს და ტკივილსაც აყუჩებდა.

კუჭ-ნაწლავის დაავადებათა ყველაზე ეფექტურ წამლად ღოღოლ//ღვალო ითვლებოდა. ღოღოს გარეცხავდნენ, გააშრობდნენ, დაწინდნენ, შემდეგ წნულს ჩამოკიდებდნენ უმზეო ადვილზე (სხვენიში) და ისე გაახმობდნენ. საჭიროების შემთხვევაში ცოტას ჩამოჭრიდნენ, მოხარშავდნენ, „მოუკიდებდნენ“ (შეურევდნენ) ხორბლის ფქვილს, ერბოს, ხახვს, ნიორს და ისე ჭამდნენ.

სამცხე-ჯავახეთში ბრმა ნაწლავის ანთება - აპენდიციტი „თათარხანის“ სახელით იყო ცნობილი. ადგილობრივთა გადმოცემით, აღნიშნული დაავადებით უმეტესად იღუპებოდნენ, იტყოდნენ: „თათარხანმა მოუარა და მოკვდაო“. ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი იყო მუცლის ტკივილი, პირღებინება, ოფლიანობა. ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით, სოფლის მოსუცმა ქალებმა იცოდნენ თათარხანის მკურნალობა. ავადმყოფს ფეხებს მალღა აუწევდნენ და ტკივილის დასაამებლად მუცელზე ცივ ქვას დაადებდნენ. სავარაუდოა, ეს მკურნალობა ზოგჯერ ეფექტური იყო, რადგან ცივის დადება აპენდიციტზე დადებითად მოქმედებს, ტკივილსა და ანთებით მოვლენებს ხსნის.

კუჭ-ნაწლავის დაავადებათა მკურნალობის ჩვენ მიერ დადასტურებული ზოგიერთი საშუალება აღწერილია ძველ სამედიცინო წიგნებში: „თუ სტომაქისა ტკივილი მრავლისა და ბევრისა საჭმელისაგან იყოს ... პიტნისა შარაბიცა კარგი არის...“ (ქანანელი: 1936: 367-368) ან „მრავალ ძარღვა მწოდ გრილი და ხმელი არის შემკრავი არის. კაცსა რომე რწყევა აუვარდეს და ამა მრავალძარღვას წვენი სვას, მაშინვე რწყევას უკუუგდებს...“ (იადიგარ დაუდი: 1985: 179). ა. თამარაშვილის კარაბადინის მიხედვით კი „ვინც მუცელში ავათ იყოს, მოიტანე შინაური პიტნა, მოხარშე ცოტა გასწურე თბილ-თბილი მუცელზედ შემოაყარე, ცოტა პიტნის წვენი ასვი მოთბილო მაშინვე მუცელში შეკრამს და მუცლის ტკივილსაც უშველის“ (თამარაშვილი: 67).

კუჭ-ნაწლავის ზემოხსენებულ დაავადებათა დროს სამკურნალო მცენარეები, როგორცაა - მრავალძარღვა, პიტნა, ანწლი და სხვა თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია. მრავალძარღვას ახასიათებს ტკივილდამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო თვისებები, რაც დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს (Современная фитотерапия: 1988: 383). მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სითბური თუ ცივი პროცედურები, ასევე ავადმყოფის საერთო მდგომარეობაზე დადებითად მოქმედებდა შელოცვა, რომელიც ფსიქო-თერაპიულ ზემოქმედებას ახდენდა.

ღვიძლის დაავადებებიდან სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული იყო „ღვიძლის ანთება“ და „საყვითლო“ (ვირუსული ჰეპატიტი). ღვიძლის ანთების გამომწვევ მიზეზად გაციებას თვლიდნენ, საყვითლოს//სიყვითლის მიზეზად კი გაციებასთან ერთად შეშინებასაც. გადმოცემით, საყვითლოს ახასიათებდა: სიცხე//ტემპერატურის მომატება, უმადობა, სისუსტე, კანის გაყვითლება (აქედან დაავადების ადგილობრივი სახელწოდება) და შარდის გამუქება.

ღვიძლის დაავადებების შემთხვევაში იცავდნენ მკაცრ დიეტას, ეკრძალებოდათ მჟავე და ცხარე საჭმლის, ასევე ღორის ხორცის ჭამა. სასურველი იყო დიდი რაოდენობით ტკბილეულის („ბეთმეზი“//„ბაქმაზი“ - თუთისა თუ სხვა ხილისაგან სქლად მოღულებული წვენი, შარბათი და სხვ.) მიღება, მოხარშული ან შემწვარი გოგრის ჭამა... ბაქმაზსა და გოგრას ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებულ სამკურნალო თვისებებს მიაწერს.

აღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენებოდა: ჭინჭრის, მარმიჭის, კოწახურის [Berberis], ასფურცელას [Pyrethrum vulgare], ქრისტეს ცრემლების//ცახცახას [Briza] ნახარშები (ავადმყოფს აძლევდნენ დღეში სამჯერ არყის ჭიქით). მარმიჭს გაასუფთავებდნენ, გაახმობდნენ, მოხარშავდნენ და ჩაისავით სვამდნენ.

საყვითლოს დროს ყველაზე ეფექტურად კოწახურის ძირების ნახარში მიაჩნდათ, რომელსაც შემდეგაირად ამზადებდნენ: კოწახურის ძირებს გაასუფთავებდნენ,

დანაყავდნენ, მოხარშავდნენ, გადაწურავდნენ და შეურევდნენ ცოტაოდენ თაფლს. სვამდნენ (დღეში სამჯერ ღვინის ჭიქით). ზოგჯერ კოწახურის ნახარშის ძირების თბილ აბაზანასაც იკეთებდნენ. მიღებული იყო კოწახურის ტოტისაგან დამზადებული ჯვრის ან „ქერუბარის“ (ქარვის) მძივის ტარება. საერთოდ ქარვის მძივებს სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ.

ღვიძლის დაავადებათა ზოგიერთ სამკურნალო მცენარეს ძველი ქართული მედიცინაც იცნობდა: „თუ სიმხურვალისგან ღვიძლი სტკიოდეს: ...მას ასრე მართებს, რომე ზამთრის სასმელი აიღოს ბროწეულის, კოწახურისა და სიქანჭებინი...“ (ფანასკერტელი: 1978: 511-512).

ღვიძლის დაავადებათა სამკურნალოდ კოწახურისა და ჭინჭრის გამოყენება, ასევე ზემოაღნიშნული დიეტის დაცვა და ტკბილის მიღება თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია, რადგან კოწახური და ჭინჭარი ასტიმულირებს ნაღველის წარმოქმნას, ნაღველდენას და დიურეზს (Современная фитотерапия: 1988: 201), ხოლო ტკბილის მიღება კი ხელს უწყობს ღვიძლის ფუნქციონირებას.

თირკმლების//„ჭაჭების“ დაავადების სიმპტომად სამცხე-ჯავახეთში მიიხნევდნენ წელის არეში ტკივილის შეგრძნებას. დაავადების გამომწვევ მიზეზებად ითვლებოდა გაციება, ფიზიკური გადატვირთვა (სიმძიმის აწევა), ცხარე ან მლაშე საკვებისა და ალკოჰოლური სასმელის ჭარბი მიღება.

გადმოცემით, თირკმლით დაავადებული უნდა მორიდებოდა ცხიმიანი, მლაშე, ცხარე საკვებისა და ალკოჰოლური სასმელის მიღებას. სასურველი იყო დიდი რაოდენობით ტკბილეულის და მოხარშული ან შემწვარი გოგრის ჭამა, რომელსაც როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი მოსახლეობა სამკურნალო თვისებებს მიაწერდა. სამკურნალო მცენარეებიდან გამოიყენებოდა მრავალძარღვას, მოცვის, ნეგოს [Helichrysum], მაყვლის [Rubus sp.], მარმიჭის, ასკილის [Rosa canina] ნახარში ან ნაყენი. დაახლოებით ერთი მუჭა ასკილის ნაყოფს გარეცხავდნენ, დანაყავდნენ, მდუღარე წყალს დაასხამდნენ, თბილად შეფუთავდნენ და ერთი ღამე გააჩერებდნენ, შაქარს გაუკეთებდნენ და ჩაისავით სვამდნენ ან მრავალძარღვას გარეცხავდნენ, ერთ პატარა კონაზე ორ ლიტრა წყალს დაასხამდნენ, ადუღებდნენ სანამ ერთ ლიტრზე არ დადგებოდა, შაქრით დაატკობდნენ და დღეში სამჯერ დალევენ.

თირკმლების დაავადებათა მკურნალობის ზოგიერთი ხალხური საშუალება აღწერილია ძველ კარაბადინებში: „და კურნე სნება იგი, რომელი დააფოლხუებს თირკმელთა, პირველ ოყნებითა ღბილებითა, და შეასუი მრავალ ძარღუის თესლი ვარდის ზეთითა და წყლითა გრილითა“ (ფანასკერტელი: 1978: 600).

აღნიშნული მკურნალობა - ასკილი და დიეტა მიზანშეწონილია თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც.

სიმსივნური დაავადებებიდან სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული იყო „მჯდომი“ და „კუ“. მათ გამომწვევ მიზეზად მიაჩნდათ: ტრავმა, გაციება და ნერვული სისტემის მოშლილობა.

ხალხური დაკვირვებით, მჯდომი ძირითადად შინაგან ორგანოებზე ჩნდებოდა, კუ კი შინაგანის გარდა, სარძევე ჯირკვალზე, ძვლებზე და კანზე. არჩევდნენ სიმსივნის სახეებს. როგორც ჩანს, კეთილთვისებიან სიმსივნეს - „მამალს“ უწოდებდნენ, ავთვისებიანს კი „დედალს“, იტყოდნენ: „დედალი ბარტყავს, მამალი კი არაო“, ე.ი. დედალი სიმსივნე მრავლდებოდა - შესაძლებელია იგულისხმებოდა მეტასტაზური პროცესი.

სულხან-საბას მიხედვით, მჯდომი „შიგანში დიდი მუწუკი“ (ორბელიანი: 1991). ილ. აბულაძის ახსნით კი მჯდომი - „კიბო“, „კირჩხიბი“ (აბულაძე: 1973).

სიმსივნე თუ მუცელში განზღებოდა ახასიათებდა: მუცლის შებერილობა და ტკივილი, კუჭის აშლა, ზოგჯერ გაუვალობა და პირღებინება. თუ ძვლებზე ჩნდებოდა, მაშინ ფეხი ან ხელი შესივდებოდა და ძლიერი ტკივილი იცოდა.

ძველ სამედიცინო ძეგლებში სიმსივნურ დაავადებათა შესახებ საყურადღებო ცნობები გვხვდება უკვე X საუკუნიდან. იმ ხანად სამი სახის სიმსივნეს იცნობდნენ: ხანაზირას, სალას და კვესას. „ხანაზირასი და სალასი: ორივე ერთმანეთსა გავს, მაგრა ხანაზირა მაგარი იყოს, რომე არ იძუროდეს, და სალა ხორცსა და ტყავს შუა იქნების, ის იძურის შუა“ (ქანანელი: 1997: 500), ე.ი. ხანაზირა სალაზე უფრო მაგარი, ანუ მკვრივია. „...თუ სარატანი იყოს, რომე კვესა ქუიან, მას ასრე შენახვა უნდა, რომე არ დაიფანტოს...“ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კვესას ქვეშ რომელიმე ავთვისებიანი სიმსივნე იგულისხმება

(ქანანელი: 1997: 499). „იადიგარ დაუდის“ მიხედვით, მჯდომს - ვარამს ეძახდნენ, რაც არაბულად სიმსივნეს ნიშნავს. მაგალითად, „...და თავად მჯდომსა და მერმე ყოველსა მუწუკსა და გამოსაბამსა და სიმსივნესა ვარამი ჰქვიან. და ეს იცოდით რაცა სიმსივნე არის ყუელა მჯდომისაგან არის...“ (იადიგარ დაუდი: 1985: 168).

კუსა და მჯდომის შემთხვევაში მკურნალობის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა მტკივან არეზე გახურებული რკინის „ასტამის“ ან უხმარი ბარის გადატარება - „ელვება“. სიმსივნეზე კუს ძვლის ან ჯავშნის დადებაც იცოდნენ. ერთ-ერთი მთხრობელი გადმოგვცემს: „ჩემს ქმარს ჰქონდა კუ კუჭზე, ნაბადი გამოფტერით და დავადეთ კუჭზე, მერე უხმარებელი ბარი გავაცხელეთ და უხრჩოლეთ ზევიდან. ეს კუ გაიფანტა და ხრჩოლის მერე დაუამდა“ (ჩირგაძე: 1988: 23).

სამცხე-ჯავახეთში დადასტურებული სამკურნალო საშუალებები მსგავსებას პოულობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მონაცემებთან. გურიაში ამ დაავადებას „კუს ქარს“ ეძახდნენ და კუს ძვლისა და ჯავშნის კვამლით მკურნალობდნენ (Мамаладзе: 1893: 93). აჭარული მასალის მიხედვით, „კუს ქარი“ ძირითადად სარძევე ჯირკვალსა და ძვლებში ჩნდებოდა და მის სამკურნალოდ ანალოგიურ საშუალებებს მიმართავდნენ (ჩირგაძე: 1991: 36). აფხაზეთში „კუს ქარის“ დროს სამკურნალოდ გამოიყენებოდა კუს დანაყილი ჯავშნისა და კვერცხის გულის ნარევი (Шабловский: 1886: 53).

ჩვენი აზრით, ტერმინ კუსა და მჯდომის ცნებაში იგულისხმებოდა როგორც სიმსივნური, ასევე ანთებითი პათოლოგია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანთებითი პათოლოგიის დროს, ჩვენ მიერ აღწერილი ხალხური სამკურნალო მეთოდი, როგორცაა გახურებული ბართა თუ ასტამით მკურნალობა თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც სწორია, რადგან ცნობილია, რომ სითბური პროცედურები ეფექტურად მოქმედებს ანთებითი პათოლოგიის შემთხვევაში.

თვალის დაავადებათა მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთში ცნობილი იყო თვალის დაავადებათა რამოდენიმე სახე: „თვალის ანთება“, „ჯიჯლიბო“, „ფრჩხილი“, „გეჯაბარავი“.

ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, თვალის ანთებას ახასიათებდა: თვალის გაწითლება და ტკივილი.

თვალის ანთების დროს თვალში ქალის (გოგოს დედის) რძეს ჩააწვეთებდნენ. ბიჭის დედის რძე არ შეიძლებოდა, რადგან „გაბიჭდებოდა“ თვალში ე.ი. გამაგრდებოდა და ვეღარ მოაცილებდნენ. სამკურნალოდ გამოიყენებოდა აგრეთვე მოცხარის [Ribes] ნაყენის, კვერცხის გულისა და შაბის ნაერთის საფენები.

ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში თვალის დაავადებათა რძით მკურნალობა საკმაოდ ხშირად გვხვდება: „თუალშიგა თუ რამე ჩაუვარდეს, დიაცისა რძე, რომე ქალი სწოვდეს, თეთრი საკმელი მითა გაადგინონ და თუალშიგა ჩაუშვან, - გაამრთელებს“ (ქანანელი:1997:311) ან „...კურნებაი მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს, და ქალი დედის სძე ჩაიწთოს ერგების კარგად“ (წიგნი სააქიმო: 1936: 108).

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებშიც გოგოს დედის რძე ითვლებოდა სამკურნალოდ.

„ჯიჯლიბოს“ ახასიათებდა თვალის ქუთუთოს შესიება, სიწითლე, ქავილი და ჩირქოვანი გამონადენი.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჯიჯლიბო, იგივე „ინჯლივი ქუთუთოს ბმო“ (ორბელიანი: 1993). „უსწორო კარაბადინის“ მიხედვით კი „სხუაი თვალის ტკივილი არის შადირა ჰქვიან. მისი ნიშანი ის არის, რომე თმისა ძირსა ქუთუთოზედა გამოვა (ამას ჯინჯლიბო ჰქვიან) ცოტად გრძელი და მსივანი“ (ქანანელი: 1997: 302).

ჯიჯლიბოს დროს, სამკურნალოდ თვალზე ქათმის კუდის გარეცხილ ბუმბულს წაისვამდნენ ან თვალს „ზირზას“ (კარების რკინის საკეტი) წაუსვამდნენ და შემდეგ თაფლს გადაისვამდნენ. ჯიჯლიბოს შემთხვევაში, ახალგათხოვილი ქალი ავადმყოფს თავსაფარზე წითელ ძაფზე აგებულ უხმარ ნემსს ჩამოკიდებდა. ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, მაგიური დანიშნულება ჰქონდა.

„ფრჩხილზე“ იტყოდნენ: „თვალში თეთრი გასჩენიაო“, ე.ი. როდესაც თვალის შავ კაკალზე თეთრი სიმსივნე ჩნდებოდა. ფრჩხილი სულხან-საბა ორბელიანს შემდეგნაირად

აქვს განმარტებული: „ფრჩხილი - თვალში რამ მცირე თეთრი შვევა ტკივილითა“ (ორბელიანი: 1993). ფრჩხილის სინონიმი ყოფილა აგრეთვე „დანდალუკი“ - „თვალის მავნე ბინდი, გინა ფრჩხილი“ (ორბელიანი: 1991). ფრჩხილს მკურნალობდნენ თვალში ქალის რძის ჩაწვევებით, ზოგჯერ კი ქალის რძეში ადამიანის ფრჩხილს ჩაფხეკავდნენ და თვალზე საფენებს გაუკეთებდნენ.

„გეჯაბარავი“ (ჰემეროლოპია) - ეს იგივე „ქათმის სიბრმავეა“, რადგან როგორც გადმოგვცემენ, ავადმყოფები დღე ხედავდნენ ღამე კი ვერა. დაავადებას ახასიათებდა აგრეთვე მხედველობის დაქვეითება, იტყოდნენ: „ქათმის დაღეული წყალი დაუღვეია და იმიტომ დაემართაო“. გამომწვევ მიზეზად ფიზიკური გადატვირთვა, ნერვიულობა და უჭმელობა მიაჩნდათ. ეს დაავადება შთამომავლობითაც გადადიოდა.

ავადმყოფს აჭმევდნენ საქონლის ღვიძლს, რომელსაც დაფხვნილ კაქს (ქვას) მოაყრიდნენ. იცოდნენ ღვიძლის ხარშვისას თვალების დაორთქლება, ძილის წინ კი მყინვარ შაქარს (შაქარყინულს) მოწუწნიდნენ.

გადმოცემით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხალხური სამკურნალო საშუალება ხელს უწყობდა მხედველობის გაუმჯობესებას.

ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში ამ დაავადებას „ყარალს“ ან „ჰავ კურს“ ეძახდნენ და ქართველების მსგავსად მკურნალობდნენ (ჩირგაძე: 1991: 11). მსგავსი სამკურნალო საშუალებანი დასტურდება სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მკურნალობაშიც (Мажеников: 1893: 110).

აღნიშნული დაავადების მკურნალობის შესახებ საყურადღებო ცნობებს ვნახულობთ ძველ სამედიცინო წიგნებშიც. „უსწორო კარაბადინის“ მიხედვით, ქათმის სიბრმავეს „შავქარი“ ერქვა, რომელიც სპარსულად ღამის სიბრმავეს ნიშნავს, მაგალითად, „თუალისა ტკივილის რომე შავქარ ქუიან ისი არის, რომე ღამით კაცი ვერა ხედედეს. მისი წამალი: „აიღე უშობელისა თხისა ღვიძლი და შეწუი, და აიღე მარილი, დარაფილფილი, სწორსწორი დანაყე და ზედა დაყარე და შეწუი და მისი წყალი გამოავლე. მას რომე გამოვა, ისი წყალი დაიჭირე და მილითა თუალშიგა ამოავლებდი“ (ქანანელი: 1997: 307), ან „ნიშანი ღამით სიბრმისაი, რომელსა ჰქვიან შაბქორი: იგი არს, რომელ ღამით ვერას ხედავდეს ვერე რომელ დღისით არა აკლდეს სინათლე“. „...კურნებაი მისი იგი არს, რომელ თხისა ღვიძლი ცეცხლსა ზედა დასდვას რომელ წყალი გამოვიდეს, მერე იგი წყალი მისი თეთრსა შიშავსა შიგან ჩაასხას და მიწყით თვალსა შემოივლებდეს, და ამის შემწვარისა ღვიძლისა წყალიცა ჭამოს, და თუ ღვიძლისა წყლისა ორთქლისა ზედა პირი მიუპყრას, რომელ ორთქლი თვალსა შეუხდეს კარგი არს“ (წიგნი სააქმოი: 1936: 118-119).

თვალის დაავადებების ჩვენ მიერ აღწერილი ზოგიერთი ხალხური სამკურნალო საშუალება თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია. ცნობილია, რომ ჰემეროლოპიის ანუ ქათმის სიბრმავეს გამომწვევი ვიტამინის ნაკლებობაა. ღვიძლი ვიტამინის დაგროვების ადგილს წარმოადგენს და ამდენად მისი მიწოდება ორგანიზმისათვის აღნიშნული დაავადების დროს გამართლებულია. ასევე ქალის რძე შეიცავს ცილას, გლობულინს და და ჯგუფის ვიტამინებს, რომელიც მხედველობის დაქვეითებაზე კარგად მოქმედებს.

კბილის ტკივილის მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთში, კბილის ტკივილის გამომწვევ მიზეზად მიაჩნდათ ჭია, იტყოდნენ: „ჭიის ნაჭამია და იმიტომ ტკივაო.“ გადმოცემით, ჭია კბილს ღრღნიდა და აფუჭებდა. კბილის ტკივილის გამომწვევი ეს მიზეზი კარგად ჩანს თვით დაავადებული კბილის ამსახველ ტერმინოლოგიაში: „დაჭიანებული კბილი“, „ჭიანაჭამი კბილი“...

კბილის ტკივილის გამომწვევი ზემოსხენებული მიზეზი ძველ ქართულ მედიცინაშიც იყო ცნობილი: „კბილისათუისვე - კაპრისა ძირი მოადუღე და გუნდა მოგალე, მის ოდენი მარილი გაურიე და პირშიგა ჩაიყენებდეს, კბილისა ტკივილისა უშუელის და ჭიასა მოჰკლავს“ (ფანასკერტელი: 1978: 373).

კბილის ტკივილს შემდეგნაირად უმკურნალებდნენ: პირში არაყს ჩაიგუბებდნენ, გამოსხრულ კბილში ნიორს ჩაიდებდნენ, შარდს ჩაიწვეთებდნენ, გარედან კი ყბაზე გამთბარ ქვა-მარილს დაიდებდნენ. ტკივილის დასაყუჩებლად ლოყაზე წურბლების მოკიდებაც იცოდნენ. დაჭიანებული კბილის სამკურნალოდ - „კბილში ჭიის მოსაკლავად“

მიმართავდნენ ინჰალაციას: ლენცოფას [Hyoscyamus niger] მოადულებდნენ, თავზე გადაიფარებდნენ და ნახარშს პირში „იბულებდნენ“ (იორთქლებდნენ) ან გამხმარ ბაყაყს დაწვავდნენ და იორთქლებდნენ. იტყოდნენ: „ჭია თუ გყავს ჩამოვაო“. თუ კბილი გარეგნულად საღად გამოიყურებოდა, მაგრამ ძალიან მტკივნეული იყო, მაშინ მიმართავდნენ კბილის „დაშაშხვას“//„დადაღვას“ - გახურებულ წინდის ჩხირს კბილში დაიტრიალებდნენ. როგორც ამბობენ, დაშაშხვა ტკივილს სწრაფად აყუჩებდა. ძლიერი კბილის ტკივილის შემთხვევაში დალაქებს მიმართავდნენ, რომლებიც როგორც ზემოთ ითქვა, ჩვეულებრივი მარწუხით იღებდნენ მტკივან კბილს.

კბილის ტკივილის ზოგიერთი ხალხური სამკურნალო საშუალება დასტურდება ძველ სამედიცინო წიგნებშიც - „ვინც ერთი კბილი ნიორი შუა გააპოს და მტკივანსა კბილზედა დაიდვას, მაშინვე კბილის ტკივილი დაუამოს, ან ვინც ესე ნიორი დანაყოს და კბილზედა დაიდვას კბილის ტკივილი დაუამოს და თუ ჭია ესხას დახოცოს“ (იადიგარ დაუდი: 1985: 314) ან „კიდევ ჭიის ნაჭამის კბილისათვის ერთი უკეთესი წამალი ეს არის, მოიტანე ერთი რკინის წინდის ჩხირი და გაახურვე და რომელიცა კბილი სტკიოდეს, ღრძილთანა ისი კბილი დასდაღონ“ (იადიგარ დაუდი: 1985: 312).

საკვლევე რეგიონში ღრძილების ანთებას „ნუხლას“ ეძახდნენ. მას ღრძილების შესიება, სისხლის დენა და პირში ცუდი სუნი ახასიათებდა. ნახლა არაბული სიტყვაა და ნიშნავს ანთებას (იადიგარ დაუდი: 1985: 494).

ძველად საქართველოში ავითამინოზურ დაავადებებს „სურავანდს“ ეძახდნენ. სურავანდი – დაავადებაა, იცის სისხლნაკლებობა, ნუნების ანთება, კბილების დაცვენა და სხვა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986).

ღრძილების ანთების სამკურნალოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა საველებები: წითელი ძროხის რძე, შარდი, მუხის ქერქის ნახარშები და სხვა. მუხის ქერქს გარეცხავდნენ, ერთ მუჭაზე ორ ჭიქა წყალს დაასხამდნენ, მოხარშავდნენ და გამოივლებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ კბილის ტკივილისა და ღრძილების ანთების დროს გამოყენებული არყის, მუხის ქერქის და სხვა საველებების გამოყენება მიზანშეწონილია, რადგან მათ გააჩნიათ სითბური და ბაქტერიოციდული მოქმედების უნარი. ნიორი შეიცავს ფიტონციდებს და ეფექტურია კბილისა და ღრძილების დაავადებათა დროს. ეფექტური იყო აგრეთვე ლენცოფას ორთქლით მკურნალობა (ინჰალაცია). ლენცოფას თესლი შეიცავს ატროპინს და მოქმედებს ტკივილდამაყუჩებლად (Современная фитотерапия: 1988: 248).

თავის ტკივილის მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთში არჩევდნენ თავის ტკივილის სახეებს: „თავის ჩეხა“ (ძლიერი ტკივილი), რომლის გამომწვევად თავის გაციება ან გადახურება მიაჩნდათ, „შაკიკი“, რომელსაც გაციება და ნერვიულობა იწვევდა და „სისხლის მეტობით“ (არტერიული წნევის მომატებით) გამოწვეული თავის ტკივილი, რომლის შესახებაც ჩვენ წინა თავში ვილაპარაკეთ და ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით.

შაკიკს ახასიათებდა თავის ცალი მხარის ტკივილი. როგორც ცნობილია, შაკიკი არაბული სიტყვაა და გულისხმობს თავის ერთი მხარის დროგამოშვებით ტკივილს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986). იგივეს ვკითხულობთ სულხან-საბასთან: „შაკიკი თავის ტკივილი დროსა და დროზედ“ (ორბელიანი: 1993).

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ მედიცინაში თავის ტკივილის გამომწვევე სხვადასხვა მიზეზებთან ერთად ზემოხსენებული მიზეზებიც არის დასახელებული: „იცოდეთ, რომე თავისა ტკივილი მრავლისაგან იქნების: ერთი სისხლისაგან...მესუთე სიცხისაგან...მეექუსე სიცივისაგან, ერთი შაკიკია, რომე ნახევარ თავის ტკივილსა ჰქვიან“ (ქანანელი: 1997: 280).

შაკიკის დროს, მოხარშულ, თბილ ქერს ნაჭერში გამოახვევდნენ და ისე დაიდებდნენ თავზე. ყველაზე ეფექტურად კი შელოცვა მიაჩნდათ. ულოცავდნენ ადგილობრივი მლოცავები. არსებობდა შაკიკის ორნაირი შელოცვა. პირველ შელოცვაში მკურნალობის საშუალებებია აღწერილი, მეორე კი დაავადებისადმი მიმართულ მუქარას წარმოადგენს.

მლოცავი, მზის ამოსვლამდე ავადმყოფის პირდაპირ დაჯდებოდა, ხელში დაფქვილ მარილს დაიტყრდა, ცივ დაჭრილ ბოლოკს ავადმყოფს თავზე დაადებდა და ულოცავდა.

„შეგილოცავ შაკიკისა.
შაკიკი კენეტდა რკინასა,
შაკიკის წამალი არის
ბოლოკის თავი, მარილის კვინტი“ (ჩირგაძე: 1988: 54).

ამის შემდეგ მლოცავი მარილის კვინტს ავადმყოფის პატრონს გაატანდა ან თვითონ გადააგებდა მდინარეში.

ზოგიერთი მლოცავი ნემსით, დანითა და ნახშირით შემოუტარებდა თავზე ავადმყოფს და თან ლოცვას ეტყოდა.

„შაკიკი შემოწვეულა
სათიბისა ბოლოსაო,
ისე ჭამდა ქვიშასაო,
როგორც ხარი თივასაო.
გაუწერა წმ. გიორგი
გაიპარა დილასაო“ (ჩირგაძე: 1988: 46).

უნდა აღინიშნოს, რომ შაკიკის შელოცვა, სადაც მკურნალობის საშუალებაც არის აღწერილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნაკლებად გვხვდება. შელოცვის მეორე ვარიანტი კი მთელ საქართველოშია გავრცელებული.

გადმოცემით, გაციებითა თუ გადახურებით გამოწვეული თავის ტკივილს შემდეგნაირად მკურნალობდნენ: თავზე უმ, დანაყილ კარტოვილს, ტყემლის ტყლაპს, მუავე ან ნედლ კომბოსტოს, ჭარხლისა და შინდის ფოთოლს დაიდებდნენ და შეიხვევდნენ. მკურნალობდნენ სხადასხვა საფენებითაც: არაყში, ძმარში ან მარილწყალში ნაჭერს დაასველებდნენ და თავზე დაიდებდნენ.

თავის ტკივილის ზოგიერთი ხალხური საშუალება: არყის, ძმრისა და სხვა საფენების გამოყენება მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მათ სითბური და ტკივილდამაყუჩებელი მოქმედების უნარი გააჩნიათ. შაკიკის დროს შელოცვით მკურნალობაც გარკვეულ ფსიქოთერაპიულ ეფექტს ახდენდა, ის ნერვულ სისტემას ამშვიდებდა და ტკივილის შეგრძნებას ამცირებდა.

ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთში ყურის ტკივილის გამომწვევე მიზეზად გაციებას ან ყურში რაიმე უცხო ნაწილაკის მოხვედრას მიიჩნევდნენ. ყურის ტკივილის დასაყუჩებლად შემდეგ ზომებს მიმართავდნენ: ყურში შემთბარ წმინდა ერბოს, ქალის რძეს, თავისივე შარდს, „ზეთიადს“ (საჭმლის ზეთი), არაყს ჩაიწვეთებდნენ. მტკივან ყურზე თბილ კომპრესსაც გაიკეთებდნენ: შემწვარ ხახვს ან კომშს [Cydonia oblonga Mill] ყურზე დაიდებდნენ და თბილად შეიხვევდნენ, იცოდნენ ცხელი წყლით ყურის „დაორთქლებაც“. ინტერესს იწვევს ძლიერი ყურის ტკივილის დროს კოტოშებით მკურნალობაც: სქელ ქაღალდს დაახვევდნენ, გასანთლავდნენ, ყურში ჩაიდებდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ. ქაღალდი იწვოდა, რის შედეგადაც ყურში კვამლი და სითბო ჩავიდოდა და ტკივილიც ყუჩდებოდა. როგორც ჩანს, წვის შედეგად გარეთა სასმენ მილში ვაკუუმი იქმნებოდა, რაც გოგირდოვანი საცობების გაფხვიერებასა და ყურიდან მათ გამოდევნას იწვევდა. ანალოგიური წესი დამოწმებულია ხევსურეთში (მინდაძე: 1981: 61).

ყურის ტკივილის სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო საშუალება ქართულ სამედიცინო წიგნებშიც მოიხსენიება. ყურის კოტოშის მსგავსი საშუალება აღწერილია „უსწორო კარაბადინში“: „ნიშანი რომე ყურშიგა ქარი ჩავარდნილიყოს ...მისი წამალი: ...კამისა ხე ხმელი და სხუილი გამოარჩივე და ცოტა ბამბა დაახუივე წუერზედა და ზეთშიგა დაასოვლე, მერმე აანთე სანთელივითა და ერთი წუერი ყურშიგა ჩაუდეგ, სანთელივითა დაიწყებს წვასა და ქარსა გამოიდეგს. რაი ისი ხე დაიწუას, ნახე, თუ გამოსული იყოს კარგია, თუ არა, მეორედ კიდევ უყავ“ (ქანანელი: 1997: 319-320) ან „...კურნებაი მისი. იგი არს... ორი ცუარი ერბოთა შიგან ჩაუწოთს რომელ ტკივილი დასწყინარდეს...“ (წიგნი სააქიმოი: 1936: 122).

ყურის ტკივილის ხალხური მკურნალობის ძირითადი პრინციპი სითბური მოქმედება იყო, რაც თანამედროვე მედიცინაში ცნობილი სპირტის ტამპონებით, გამთბარი ქაფურითა და კომპრესებით მკურნალობის ანალოგიურია.

გაციება, ცრინტილა.

გაციება, როგორც თვით ტერმინიდან ჩანს, გაციებით გამოწვეული, სურდოთი, ხველებით, ყელის, ყურის, თავის ტკივილით, სიცხით (ერთი, რამდენიმე ან ყველა ამ სიმპტომით) მიმდინარე დაავადებას აერთიანებდა.

„ცრინტილა“/„ცინტა“ იგივეა რაც სურდო (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986). სულხან-საბას მიხედვითაც - „ცრინტილა მცირე გადამდები სენია“ (ორბელიანი: 1993).

სიცხიან ავადმყოფს ოფლს მოადენინებდნენ, ძმრიანი წყლით დახეიდნენ, კვერცხის გულს ნაჭერზე წაუსვამდნენ და შუბლზე დაადებდნენ - „სიცხეს გამოიტანდა“. ხველების შემთხვევაში ატმევდნენ შემწვარ ან მოხარშულ გოგრას, ხოლო დასალევად თბილ რძეს, რძეში გახნილ თხის ქონს, ბაქმას, მოცვის, მრავალძარღვას, ქონდრისა [Satureja hortensis L] და კომშის ნახარშებს იყენებდნენ. ხველა თუ გაუგრძელდებოდა, მაშინ ავადმყოფს ვირის რძეს დაალევინებდნენ. სურდოს დროს ცხვირში ნიორს, არაყს ან წმინდა ერბოს გამოუსვამდნენ. დავადასტურეთ სურდოს ორნაირი შელოცვა.

„სურდო შეეკარ, შევაპატიოთ
ძაღლსა პარკად გადავიდოთ.
პარკი წყალში ჩავაგდე,
ძაღლი გარეთ გავაგდე“ (ჩირგაძე: 1988: 6).

„სურდო მეწვია ანკალი
ანკალი და ბანკალი,
იმას სადილად რა მივართვათ?
დათვი დაუკლათ დამპალი.
დაჰკარ ტაში და გააგდე კარში“ (ჩირგაძე: 1988: 13).

შელოცვის დამთავრების შემდეგ აუცილებლად ტაშს შემოკრავდნენ და იტყოდნენ: „სურდო წავაო“.

ორივე სახის შელოცვა სხეულიდან დაავადების განდევნას ემსახურება. პირველში ამ ფუნქციას წყალი ასრულებს, მეორეში კი შეშინება.

ცნობილია, რომ შეშინება, შიში აპოთროპეული მაგიის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა, რასაც ყველაზე ხშირად ციების დროს მიმართავდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ სურდოს დროს გამოყენებული ზოგი ხალხური სამკურნალო საშუალება, ხშირ შემთხვევაში დადებითად მოქმედებდა. თხის ქონი ანთებითი პროცესის შემცირებას უწყობდა ხელს და ხველას აწყნარებდა.

სახსრების დაავადებათა მეურნალობა

სამცხე-ჯავახეთში, სახსრების დაავადებას „ქარებს“ უწოდებდნენ, თვით დაავადებულს კი „დახუთულს“. გამომწვევ მიზეზად მიაჩნდათ გაციება და მიიმე ფიზიკური შრომა. ამ დაავადებას ახასიათებდა სახსრების ძლიერი ტკივილი, იტყოდნენ: „როცა ქალებს დაუჭერთ ქარები მუხლები ტკივათ და ეკრუნხებათო“.

რევმატიულ დაავადებას ძველად „ნიკრისს“ უწოდებდნენ. სულხან-საბას მიხედვით, „ნიკრისი - სენია, ავიქარი“ (ორბელიანი: 1993). ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, აგრეთვე სამედიცინო ძეგლებში, გვხვდება ცნობები დაავადება „ნიკრისის“ შესახებ. X საუკუნის სამედიცინო წიგნში, „უსწორო კარაბადინი“ - აღწერილია ამ დაავადების ძირითადი სიმპტომები. მსგავსი აღწერილობაა სხვა ქართულ სამედიცინო წიგნებშიც: „მუფასილისა და ნიკრისისა სატკივარი ერთი არის, მაგრა მათ შუა ნიშანი ესე არის, რომე ნიკრისისა ტკივილი სახსარშიგა იარების“ (ქანანელი: 1936: 478).

სამცხე-ჯავახეთში „ქარების“ მეურნალობა შემდეგნაირად მიმდინარეობდა: ავადმყოფს ოფლს მოადენინებდნენ, ტანს ჭინჭრით დაუსუსხავდნენ ან ჭინჭრის ნახარშის აბაზანას უკეთებდნენ. დასაზელად გამოიყენებოდა ძმრისა და არყის ნაზავი, დათვის ან ბატის ქონი და სხვა. მტკივნეულ სახსარზე ტყემლის ტყლაპს დაადებდნენ ან სანთელს დააწვეთებდნენ და თბილად შეუხვევდნენ. ქარების დროს დასალევად ხმარობდნენ ძმრის, წყლისა და შაქრის ნაზავს, ასევე ანწლისა და ჭინჭრის ნაყენებს. სასარგებლოდ მიაჩნდათ ჭინჭრისაგან დამზადებული კერძის ჭამა. ჭინჭარს მოხარშავდნენ, ნიორს შეურევდნენ და

ხორბლის ფქვილით ამოხელდნენ. საუკეთესოდ ითვლებოდა ქარების ადგილობრივი სამკურნალო წყლების აბაზანებით მკურნალობა. გ. ზედგენიძის მიხედვით: „სამცხე-ჯავახეთში ხშირია რევმატიზმით დაავადება, რომლის საწინააღმდეგოდც მრავალი თბილი თუ ცივი მინერალური აბანოებია: ასპინძის, ხანდის, ნაქალაქევში (ძველი წუნდა, თმოგვთან) საროში და სხვა. ამათგან ასპინძის აბანო საერთოდ ცნობილია სამკურნალოდ, (გამოკვლეულიც არის) სათანადოდ მოწყობილიცაა, ხოლო დანარჩენები, მხოლოდ უბრალო წყაროების სახით ამოდინან და ადგილობრივ მოსახლეობას საუკეთესო სამკურნალო საშუალებად მიაჩნია. ავადმყოფები ან შიგ წყაროში, ან იქავე უბრალოდ ამოთხრილ ორმოში ჩაასხამენ წყალს წყაროდან და ბანაობენ. ან უკეთეს შემთხვევაში ბოჭკებით სახელში მოაქვთ და იქ აბანავენ ავადმყოფებს“ (ზედგენიძე: 1946: 36).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით რევმატიული დაავადებებისას გამოყენებული ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ხალხური საშუალებანი (მაგ., ჭინჭრით თუ ბალნეოლოგიური მკურნალობა) მიზანშეწონილად შეიძლება მივიჩნიოთ. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი რევმატიული დაავადებების დროს ანთებით პროცესს, ტკივილის შეგრძნებებს ამცირებს.

ჭლექი. ხალხური დაკვირვებით, ჭლექს იწვევდა: გაციება, შიმშილი და „დარდი“ ე.ი. ნერვული სისტემის დაძაბვა. მას ახასიათებდა ძლიერი ხველა, სისხლიანი ნახველი, უმადობა და საერთო სისუსტე.

სულხან-საბას მიხედვით, „ჭლექი - სიმჭლის სენი“ (ორბელიანი: 1993). ძველ ქართულ კარაბადინებში ჭლექს „სილი“ ეწოდებოდა. სილი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ფილტვის სიწყლულეს (წიგნი სააკიმო: 1936: 325). „იადიგარ დაუდის“ მიხედვით, ხველა შეიძლებოდა ჭლექში გადაზრდილიყო და ახასიათებდა სისხლიანი ნახველი - „...სილი ამას ჰქვიან რომე, კაცსა ხუელა დასძულებოდეს და დუესა სისხლსა ატანდეს...“ (იადიგარ დაუდი: 1985: 160). ანალოგიურ დახასიათებას იძლევა ზ. ფანასკერტელიც: „თუ სილი შეექმნას კაცსა, მისი ნიშანი ესე იყოს. - მუდმად ახუელებდეს და აქშინვებდეს და მუდამ ხორცნი დნობაშიგან იყუნენ, და ხანჯამიერად სისხლსა ამოიღებდეს“ (ფანასკერტელი: 1978: 383).

ხალხური დაკვირვებით ჭლექი მემკვიდრეობით გადადიოდა, გადამდებ სნეულებად მიაჩნდათ და ავადმყოფი იზოლირებული იყო. ჭლექიანს ზოგჯერ სახლიდან მოშორებით, ცალკე გამოუყოფდნენ ადგილს, შემოღობავდნენ ე.ი. პატარა ქოხს აუშენებდნენ და ავადმყოფი იქ გადაჰყავდათ.

ჭლექიან ავადმყოფს კვებავდნენ ნოყიერი - ცხიმოვანი (თაფლი, კარაქი, რძე) და ხორციანი საკვებით, მას აკრძალული ჰქონდა მწარე და ცხარე საჭმლის ჭამა. ავადმყოფი გაჰყავდათ სუფთა ჰაერზე. სამკურნალოდ ფართოდ იყო გავრცელებული ავადმყოფის ძაღლის ლეკვისაგან დამზადებული კერძით მკურნალობა (მისგან ფარულად). ძაღლის ლეკვის ხორცს წმინდა ერბოში მოშუშავდნენ და ისე აჭმევდნენ. მკურნალობის ეს მეთოდი თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული.

აღსანიშნავია, რომ ჭლექიანის კვების რეჟიმი და კლიმატური მკურნალობა ხელს უწყობს ავადმყოფის ორგანიზმის გაკაჟებას, მას გარკვეულ შეღავათს აძლევს.

ჩიყვი

სამცხე-ჯავახეთში, ჩიყვი ყველაზე მეტად ადიგენის რაიონში ყოფილა გავრცელებული. ი. ასლანიშვილის მიხედვით „ჩიყვის გავრცელების მხრივ ახალციხის მაზრა, უმთავრესად ქობლიანის ხეობა გამოირჩეოდა. თვით ახალციხეში ჩიყვის შემთხვევები იყო მის ზემო ნაწილში ე.წ. რაბათში, ახალციხის მიდამოები ირგვლივ მოფენილი იყო მრავალი ჩიყვიანით“ (ასლანიშვილი: 1929: 126).

ხალხური დაკვირვებით, ჩიყვი უმეტესად ქალებში იყო გავრცელებული. გამომწვევ მიზეზად მიაჩნდათ: ადგილობრივი სასმელი წყალი და ნერვიულობა, იტყოდნენ: „იჯავრა და ჩიყვი ჩამოუვიდაო“.

რაც შეეხება სასმელ წყალს, როგორც ჩიყვის გამომწვევ მიზეზს, მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ამბობს: „არამედ ადგილ-ადგილს ჭათა შინა არს ჭია, რომლისა წყლის სმით გამობერავს ყელსა, და დაეკიდების კაცსა და ქალსა, ვითარცა პარკი დიდი. უწოდებენ ყიყვს“ (9, 164).

რასაკვირველია, ჩიყვის უშუალო გამომწვევად „ჭათა შინ მყოფი ჭის“ მიჩნევა სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ ის ფაქტი, რომ ვახუშტი ამ დაავადებას წყალს, კერძოდ ჭის წყალს უკავშირებს, ყურადღების ღირსია.

თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც, ენდემური ჩიყვის ძირითად და მტკიცედ დადგენილ ეტიოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს იოდის უკმარისობა ნიადაგში, საკვებ პროდუქტებსა და წყალში.

ჩიყვის სამკურნალოდ სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ: ყელზე „დოს“ ან მჟავე პურის ცომის ფაფას შემოადებდნენ და შეუხვევდნენ. ყველაზე გავრცელებული იყო „ქერუბარის“ (ქარვის) მძივის ტარება, იტყოდნენ: „მძივი უნდა დაიკიდო, იმდენი ხანი უნდა ატარო, რომ დაიშალოსო“. ამ მძივებს ადგილობრივი მოსახლეობა პროფილაქტიკის მიზნითაც ატარებდა (ჩირგაძე: 1988: 31).

კანის დაავადებათა მკურნალობა

სამცხე-ჯავახეთში განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული კანის დაავადებათა სხვადასხვა სახე: „სიწვილი“/„სირსვილი“ [Trichophytia], „მუნი“ [Scabies], „ქეცი“ [Favus], „სატკბური“ [Pyodermia], „წითელი ქარი“ [Erysipelas], „სიზმრით დამწვარი“ (შესაძლებელია-ჰერპესი [Herpes], „ელქუმი“, „ლორთელა“, „დუდკო“ [Panaricium], „ძირდიდა“ [Furunkulus], „პირდაღმა“ [Carbunkulus]. გავრცელებული იყო ამ დაავადებათა მკურნალობის მრავალფეროვანი საშუალებანი.

სიწვილი/სირსვილი - სირსვილი კანის ერთ-ერთ დაავადებად არის მიჩნეული და ახასიათებს კანზე წვრილი გამონაყარი, რომელიც ზოგჯერ იქერცლება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986).

ხალხური დაკვირვებით, სირსვილი შვიდი სახის იყო. დაავადების ხალხური აღწერილობა ასეთია: „მრგვლად იცის გამოსვლა სახეზე, ტანზე, თვალებშიც, ეფხანებათ, ექერცლებათ. სიწვილი დედალი და მამალი იყო: მამალი ხმელია, დედალი წყლულია. თეთრი ფერისაც არის და ხორცისფერიც. რომელ ადგილზეც პირველად გამოუვა იმას ეძახიან დედას და მერე ეს ბარტყობს, მამალი არ ბარტყობს“ (ჩირგაძე: 1989: 45).

როგორც ვხედავთ, სირსვილს ახასიათებდა მრგვალი მოსაზულობის თეთრი გამონაყარი, წვა და ქავილი. მართალია, გადმოცემით ეს დაავადება შვიდი სახისა იყო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ სამი სახეობა დავადასტურეთ: ხმელი, ქერცლოვანი და წყლულოვანი. სიწვილის ხმელი და ქერცლოვანი ფორმა უფრო მსუბუქად მიჩნდათ, ვიდრე წყლულოვანი. ეს დაავადება ბავშვებში მეტად იყო გავრცელებული და მის გამომწვევ მიზეზად გაციებებს თვლიდნენ.

სულხან-საბას მიხედვით, სირსვილი არის „ხორცთ მძოარა“, ხოლო „მძოარა მუწუი თმათ მაცვევებელი“ (ორბელიანი: 1993).

პირველი წერილობითი ცნობა ამ დაავადების შესახებ გვხვდება იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“, სადაც ვკითხულობთ: „...სრსვილმან საძოვარი პოოს შენ თანა“ (იაკობ ხუცესი: 1982: 9).

საყურადღებოა, რომ აღნიშნული დაავადება ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში არის აღწერილი: „სრსვილი, წვრილი მსხმო, მღერი იგივე სირსვილა, ან სირსვილი, კანის დაავადებაა, კანის დასივება“ (ქანანელი: 1997: 638).

სიწვილის დროს სამკურნალოდ ხმარობდნენ სხვადასხვა მცენარეულ, ცხოველურ თუ ცხიმოვან საშუალებებს: ხმელი სიწვილის შემთხვევაში ისვამდნენ დანაყილ ნიორს, გოგრის [Cucurbita] ყუნწის ნაცარს, იტყოდნენ: „სიწვილი მოვიდა ალაგი გასაკეთებლად, ნაცარი გასავერანებლადო“, აქედანაც ჩანს, რომ მოსახლეობა სიწვილის სამკურნალოდ ნაცარს იყენებდა. გარდა ზემოხსენებული საშუალებებისა ხმარობდნენ სხვადასხვა ზეთებს: არყის [Betula], უზნის [Viburnum Lantana L] ხის, ასევე სიმინდისა [Zeamays] და ბრინჯისაგან [Oryzasativa] გამოხდილ ზეთს. ერთ სუფრის კოვზ ბრინჯს გახურებულ ასტამზე დაყრიდნენ, ზემოთ რაიმე მძიმე საგანს დაადებდნენ, ზეთს გამოხდიდნენ და ათი დღის განმავლობაში ისვამდნენ.

ხმელი და ქერცლოვანი სიწვილის სამკურნალოდ გამოიყენებოდა მოხარშული ღვალოს ძირების, შაბისა და ძმრის ნაზავი. ქერცლოვან სიწვილზე დაავადებული კანის

ადგილს აფხეკდნენ, შემდეგ კი ზემოხსენებული საშუალებებით უწამლებდნენ, რადგან აფხეკის შემდეგ მკურნალობა უფრო ეფექტური იყო. სიწვილს მკურნალობდნენ ფართოდ ე.წ. „ბრაზიანი ჭიის მაღამოთი“, რომელსაც შემდეგნაირად ამზადებდნენ: ყანიდან მოჰქონდათ წითელი ფერის, შავწინწკლებიანი ჭია, მას თავს მოაცლიდნენ, გარეცხავდნენ და რქეში, მაწონში ან კარაქში ამოხელებდნენ. სიწვილის დროს გარკვეულ დიეტას იცავდნენ - ერიდებოდნენ კვერცხის, ცხვრის ხორცისა და ყველის, ზეთისა და თევზის ჭამას. უმეტესად მცენარეული და რძის ნაწარმით იკვებებოდნენ. დავამოწმეთ სიწვილის შელოცვა:

„სიწვილი ხნავდა ყანასაო,
ნაფუძარსა და ყანასაო.
მგელი ება ხარადაო,
გველი აპეურადაო.
გასკდა მგელი, გაწყდა გველი,
სიწვილს ძირი ამოუფარდაო“ (ჩირგაძე: 1988: 14).

ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერი წიგნების მიხედვით, სირსველს სხვადასხვა სახის ზეთებით მკურნალობდნენ: „...და აიღე ასტამი რკინისა და გაახურვე, დასდევ იფქლსა, რომე ზეთი გამოვიდეს, და სცხე მრავალჯერ“ (ფანასკერტელი: 1978: 619).

სირსვილის სამკურნალო ხალხური საშუალებების დადებით მოქმედებას განაპირობებდა ცხიმოვანი ნივთიერება, რომელიც არბილებდა კანს, ხელს უწყობდა ქერცლის აცლას და ამსუბუქებდა ტკივილის შეგრძნებას. შელოცვა კი, ხელს უწყობდა ნერვული სისტემის დამშვიდებას.

მუნი - „ამოდის თითებში, მუცლის არეში, დაჩირქებული გამონაყარია და ამოდის შიგნიდან წყალი, ქავილიც იცის“ - გადმოგვცემს მთხრობელი. როგორც ვხედავთ, მუნს ახასიათებდა გამონაყარი ხელებზე, ტანზე და ქავილი. არჩევდნენ მუნის ორ სახეს: ხმელსა და წყლულოვანს. ხალხური დაკვირვებით, ამ დაავადების მიზეზი ჭუჭყი იყო. მუნი გადამდებად ითვლებოდა, ამიტომ ავადმყოფის თეთრეულსა და საცვლებს, როგორც წესი, „ნაცრის წყალში“ გამოხარშავდნენ (წყალში ნაცარს ჩაყრიდნენ და გადაადულებდნენ).

სულხან-საბას მიხედვით: „მუნი, მღერი და ხორა სამივე მღერია, უადვილეს უძნელესი“ (ორბელიანი: 1991). ე.ი. იგი სამი სახის მუნს განასხვავებს, როგორც ჩანს, დაავადების სიმძიმის მიხედვით.

მუნის, იგივე მღერის შესახებ საყურადღებო ცნობები გვხვდება V საუკუნისა და შემდეგი ხანის წერილობით წყაროებში მაგ., „მუშანიკის წამებაში“ აღნიშნულია: „...მკვიდრნიცა მის ადგილისანი - სავსენი სენითა ... დამღიერებულნი...“ (იაკობ ხუცესი: 1982: 21).

ჩვენ მიერ მოყვანილი მასალა გარკვეულ მსგავსებას ჰპოვებს სამედიცინო ხელნაწერების მონაცემებთან. ხმელი მუნის დამახასიათებლად ითვლებოდა თითთა შუა ქავილი, გამონაყარი, გამონაყარიდან ზოგჯერ სითხის გამოსვლა, ნედლი მუნი კი, როგორც ირკვევა - (პიოდერმიტით) გართულებულ მუნს გულისხმობდა (წიგნი სააქიმო: 1936: 259).

სამკურნალოდ ხმარობდნენ როგორც გარეგან, ისე შინაგან წამლებს. წყლულზე წაუსვამდნენ: კაკლის გულისა და ერბოს ნაზავს ან გოგორდის, თოფის წამლისა და საქონლის შარდისაგან დამზადებულ მაღამოს, აპუტარაკის//შხამა [Veratrum Lobelianum] ნახარში დასველებული საფენებს. დღეში სამჯერ დალევენ წყალში გახსნილ გოგორის ყუნწისა და კაკლის ნაჭუჭის ნაცარს ან მაწონში შერეულ ცოტაოდენ გოგირდს. იცავდნენ გარკვეულ დიეტასაც: ერიდებოდნენ ცხიმოვანი ხორცისგან დამზადებულ საჭმელს. უპირატესობას ანიჭებდნენ მცენარეულითა და რძის ნაწარმით კვებას. მუნს მკურნალობდნენ აგრეთვე ასპინდის გოგირდის წყლის ბუნებრივი აბაზანებით, რომელიც ძალიან ეფექტურად მიაჩნდათ.

საყურადღებოა, რომ „უსწორო კარაბადინში“ აღწერილია მუნის სამკურნალოდ გამოყენებული საშუალებანი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა - გოგირდი, მცენარეული ზეთები და სხვა. „წამალი ხმელისა მუნისა ... გოგირდი ყუითელი და წითელი ზირნიხი, გუნდა, ჟანგარა, უმარილო; ამათგან სწორ-სწორი დანაყე, გაცარ და ზეთისხილის ზეთითა ანუ ნიგუზის ზეთითა შესცხე აბანოშიგა, ან მზის პირსა და

დაეხსენ, სადამდი გახმებოდეს, მერმე დაიბანოს“ (ქანანელი: 1997: 499). რაც შეეხება გოგირდს და სამკურნალო აბანოებს, მათ შესახებ კვითხულობთ „იადიგარ დაუდში“: „...და თუ ესე აბანო მიწისაგან თბილი გამოდის მუნისა და ქეცისათვის გამორჩეული წამალი არის“ (იადიგარ დაუდი: 1985: 515).

აღსანიშნავია, რომ მუნის დროს სამკურნალოდ გოგირდისა და მინერალური წყლების გამოყენება თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილად ითვლება.

ქეცი - ახასიათებდა ქერცლოვანი გამონაყარი სახეზე, ტანზე, თავზე და ქავილი. როგორც ამბობენ - ეს დაავადება თმების ცვენასაც იწვევდა. ის ადამიანზე საქონლისაგან გადადიდოდა.

ცნობილია, რომ ქეცი კანის გადამდები დაავადებაა, რომელიც იწვევს კანის აქერცვლას და თმის გაცვენას (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986). სულხან-საბა თავის ლექსიკონში ამ დაავადებას შემდეგნაირად აღწერს: „ქეცი მქავანი ძნელად საშველებელი“ (ორბელიანი: 1993).

ამ დაავადების დროს აქერცვლილ ადგილს მარილს დააყრიდნენ და დანით აუფხიკავდნენ სისხლის გამოდენამდე. დაზიანებულ არეზე უსვამდნენ აგრეთვე ღორის ქონს, ერბოს, მაწონს, რძის ნაღებს, ყველის წათხს, წითელი ღობიოს [Phaseolus] ნახარშს, ქერისა ან უზნისგან გამოხდილ ზეთს...

ქეცის სამკურნალო ხალხური საშუალება ხელს უწყობდა ქსოვილის დარბილებას, ქავილის შემცირებას და ტკივილის დაყუჩებას.

სატკბური - კანის ერთგვარი დაავადებაა. ახასიათებს ჩირქოვანი გამონაყარი მთელ ტანზე (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986). სულხან-საბას მიხედვით, „სატკბური გართხმული მუწუკია“ (ორბელიანი: 1993).

სამკურნალოდ ხმარობდნენ ენდროს [Rubia iberica] დანაყილ ღეროს, თაფლისა და წყლის ნაზავს. ან რამოდენიმე ცალ ენდროს ღეროს გარეცხავდნენ, დანაყავდნენ და ერთ სუფრის კოვზ თაფლსა და წყალში გადაურევდნენ და მალამოდ ხმარობდნენ. არსებობდა სატკბურის შელოცვა.

„სატკბურმა თქვა მეცა მახსენე,
მეცა ვარ სახსენებელიო,
ავალ კაცის ტანზე,
ხორცის საჭმელად
და ძელის სახრელათაო,
ისევ ია-ვარდივითაო
და ჩამოვალ ქანდარივითაო“ (ზედგენიძე: 1946: 40).

„სიზმრით დამწვარი“ - ახასიათებდა წითელი წვრილი გამონაყარი ალაგ-ალაგ ტანზე, სახეზე, კიდურებზე, წვა და ქავილი. როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, „სიზმრით დამწვარმა“ ღამე ძილში იცოდა გამოსვლა, დილით გაეღვიძებოდათ და კანი დამწვარივით ჰქონდათ. სწორედ ამიტომ უწოდებდნენ სიზმრით დამწვარს. სამკურნალოდ ძირითადად გარეგან საშუალებებს ხმარობდნენ: კვერცხის გულის, სანთლისა და ზეთის ნაზავს ან ქალის რძის, თაფლის და დანაყილი გოგრის თესლისგან დამზადებულ მალამოს.

სიზმრით დამწვრის ხალხური სამკურნალო საშუალებანი შეიძლება დადებითად მოქმედებდა, შეიცავდა დიდი რაოდენობით ცილებს, ვიტამინებს, ცხიმოვან ნივთიერებებს.

წითელი ქარი - ახასიათებდა ტანისა და სახის არეზე კანის სიწითლე, ტემპერატურის მომატება და ძლიერი ტკივილი. მის გამომწვევ მიზეზად მოსახლეობა ნერვული სისტემის დაძაბვას თვლიდა, იტყოდნენ: „ჯავრითა და შიშით ჩნდებოა“.

წითელი ქარის სამკურნალოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა შინაგანი და გარეგანი საშუალებანი. სვამდნენ წითელი ძროხის რძეს, ამბობდნენ წითელ ქარს შეგლისო. მტკივნეულ არეზე წყალში ან ძმარში დამბალ წითელი ტყემლის [Prunus divaricata] ან თუთის ტყლაპს, წითელ ღვინოში ან წითელი ძროხის რძეში დასველებულ წითელი ნაჭრის საფენებს რამდენიმე ხანს დაიდებდნენ. ასე მკურნალობდნენ რამდენიმე დღე. მკურნალობდნენ ასევე კვერცხის გულის, უცეცხლო თაფლისა და სელის ან ენდროს ფესვების ფხვნილისა და უცეცხლო თაფლის, ასევე კვერცხის გულის, ხორბლის ფქვილისა და „ყინვარი შაქრისაგან“ (შაქარყინული) დამზადებული მალამოებით.

წითელი ქარის დროს დიეტასაც იცავდნენ: ერიდებოდნენ ცხარე, მლაშე საჭმელს და ღვინის დაღევას.

ძველ ქართულ მედიცინაში წითელი ქარის დროს ავადმყოფს უშლიდნენ ფეხით სიარულს, ურჩევდნენ გარკვეული დიეტის დაცვას: „...და ღია ნუ იარების ფეხჩამოკიდებით ნუ დაჯდების“ (წიგნი სააქიმო: 1936: 265) და „...მხურვალთა საჭამადთა და თაფლიანთა ერიდებოდეს და გრილთა მიელტვოდეს“ (წიგნი სააქიმო: 265).

დავამოწმეთ წითელი ქარის შელოცვა. ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ შელოცვის სრული ტექსტი. ის არც საარქივო მასალებში აღმოჩნდა. ამ შელოცვის ფრაგმენტები კი საკმაოდ ხშირად გვხვდება:

„წითელი გამოსვალ ვერცხლივითაო,
აყვავდები ცეცხლივითაო.
რა არის მისი წამალი?
უცეცხლო თაფლი და ქინძი“ (ზედგენიძე: 1946: 41).

---- ----
„მოხვალ ვერცხლივითა,
მოიელავ ცეცხლივითა,
შენი წამალი რა არის?
ყინვარი შაქარი, ქათმის შვილი,
დიკის ფქვილი“ (ჩირვაძე: 1988: 35).

წითელი ქარის შელოცვა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. მისი ტექსტი საკმაოდ დიდია:

„ახალ სახელო ღვთისაო,
მამავ, ძევ სულო წმინდაო.
მოვიდოდა წითელი ქარიო,
მოცოცდებოდაო მაჩვივითა,
შეეყრება ქრისტეს დედა მარიამო,
სად მიხვალ წითელო ქარო?
უნდა შევიდე კაცის ტანშიო,
უნდა ვამტვრიო ძვლებიო,
გავლოკო სისხლი, შავლოკო ტვინიო,
მე ვიცი მაგის წამალიო:
წითელი ფურის რძეო,
ყინვარ-შაქარიო,
პირიმზე ბალახიო,
კურდღლის ტყავიო,
ირმის თასმაო.
ვიმალეობდიო ხარის ნაქაჩარშიო,
ცხენის ნატერფალშიო.
გამევედივ წითელო ქარო,
გეხვეწებო, გეხვეწებო,
დედის ჩემის უბე-ფარავითაო,
თორემ ჩაგაგდებო ხევთა-ყურეთაო
უსრობ-უსრობთაო.
არ მაგდიოდესო წყლისა შხუილიო,
არც მამლის ყივილიო,
არც გველის წივილიო.
ჯვარი გეწეროსო
წმინდის გიორგის დაწერილიო,
ცხრაჯერ ცხრათა ანგელოზისაო,
ცული ტყეში წავიდაო
ტარის მოსატანადაო,
ცულსა თუ თავის მოტანილი
ტარ ერგებისაო,

შენ ჩემი ღოცვა
როგორ არ გერგებისაო.
ღოცვა ჩემი მოგონილი არ არისო,
ქრისტეს დედის, მარიამის მოგონილიაო“ (გველ-მოვკაღ
უფლისათვის: 1992: 92).

წითელი ქარის სამკურნალო საშუალებები დადებითად მოქმედებდა, რადგან თაფლის, კვერცხისა და სხვადასხვა ზეთების გამოყენება ხელს უწყობს ანთებითი პროცესის დაცხრომას. ასევე ეფექტურად უნდა ჩაითვალოს ფსიქოთერაპიული მკურნალობა - შელოცვისას.

ელქუმი - ახასიათებდა გამონაყარი თავსა და ტანზე, იტყოდნენ: „თავზე მეტყვლაპებო, ქერტლივით აქვსო“. გადმოცემით, ეს დაავადება უფრო ბავშვებში იყო გავრცელებული. ჩვენი აზრით, შესაძლებელია - ელქუმი მგრძობელობის აწვეის (აღერვის) შედეგად გამოწვეული კანის დაავადება იყოს.

სულხან-საბა შემდგენიერად განმარტავს ამ დაავადებას: „ელქიმი სენია, გვამზე დაჰყრის მქავანს“ (ორბელიანი: 1991).

სამკურნალოდ გამოიყენებოდა ტყემლის ტყლაპის, შარდის, წირნის//ჭერმის [Armenica vulgaris] ნახარშის საფენები. წასასმელად ხმარობდნენ: ცხვრის სისხლს, ათქეფილ კვერცხს... იკეთებდნენ თრიმლის [Cotinus coggygria Scop.] ძირებისა და გოგირდის აბაზანებს.

ღორთელა//ღორთაღორელა - ახასიათებდა ტანზე დიდი წითელი ლაქოვანი გამონაყარი და ქავილი. ამ დაავადების გამომწვევ მიზეზად ნერვული ფაქტორი ითვლებოდა, უმეტესწილად შიში. დაავადების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს ადგილობრივი მოსახლეობა „საჭმლის შეზიზღებას“, როგორც ჩანს, რაიმე პროდუქტით მოწამვლას - „საჭმლით წყენას“ უკავშირებდა. მთხრობელთა განმარტებით: „როდესაც უცებ შეგეშინდება, ან რაიმე საჭმელი შეგზიზღდება, წითლად შეჰყვარავს ტანს“ (ჩირვაძე: 1988: 83).

აღსანიშნავია, რომ ღორთელა აღწერილობით ჰგავს ჭინჭრის ციებას (ურტიკარია). ამ დაავადებას უკავშირებენ რომელიმე საკვების ან წამლის მიღებას. მას ახასიათებს კანზე ჭინჭრის ნასუსხის მსგავსი გამონაყარი.

სამკურნალოდ იყენებდნენ თიხისა და მაწვნის ნაზავს, რომელსაც კანზე „ცივ-ცივს“ წაისვამდნენ. იცოდნენ ავადმყოფის ცივი წყლით უეცარი შეშინება: ცივ წყალში გიშერს ჩაფხეკდნენ//გალესავდნენ და ავადმყოფს მოულოდნელად ტანზე გადაავლებდნენ, ან თავზე ცხრილს დაადგამდნენ და ცივ წყალს ისე შეასხამდნენ. მთხრობელთა განმარტებით, შეშინება ავადმყოფზე დადებითად მოქმედებდა.

ეს მეთოდი შეიძლება მაგიის საფუძველზე აიხსნას. ცნობილია, რომ დაავადების გამომწვევად ავი სულის მიჩნევა დაავადებათა ეტიოლოგიის ერთ-ერთ უძველეს სახეს წარმოადგენს. ასევე ძველია შეშინებით ავადმყოფისაგან ავი სულის განდევნის წესი. აღნიშნულ რიტუალში გამოყენებულია გიშერი, რომელიც, როგორც ცნობილია, ძველთაგან ავი სულებისა და ავი თვალის ზემოქმედების გამანეიტრალებელ საშუალებად იყო მიჩნეული. ამ შემთხვევაში დარჩენილია მხოლოდ მკურნალობის წესი, რომლის გააზრება დიდი ხანია დაკარგულია.

ღორთელას გამომწვევად ავ სულებს სამცხე-ჯავახეთში უკვე დიდი ხანია აღარავინ თვლის. ასევე შეიძლება ავხსნათ ციების დროს ავადმყოფის ცივ წყალში ჩაგდების ჩვეულება.

ღუდკოს - ხალხური აღწერილობით ახასიათებდა შესიება და დაჩირქება ფრჩხილის არეში, ტემპერატურის მომატება, ზოგჯერ ფრჩხილის მოცლა. დაავადების მიზეზად ინფექციის შეჭრა და გაციება მიაჩნდათ. „გამოდის ნენოში [ნუნა ნ.ჩ.], ჩირქდება, შეიჭრება ჭუჭყი, უფრო ნენოსა და ხორცს შუა, უფრო ხელის ფრჩხილში გამოდის, ღორის ჩლიქებში არ უნდა შეყო თითი თუ არა და ღუდკო გამოგივა“ - გადმოგვცემს მთხრობელი.

სულხან-საბას მიხედვით, „ღუტკო თითთა წყლულება“ (ორბელიანი: 1991).

ღუდკოს ხალხური აღწერილობა მსგავსია კარაბადინებში მოხსენიებული „ფრჩხილის მჭამელასი“, რომლის სიმპტომებია: თითების მიდამოს შესიება, დაჩირქება, ძლიერი ტკივილი და ფრჩხილის მოცილება.

დუდკოს სამკურნალოდ სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ. პირველ რიგში მტკივან თითს ცხელ ნაცარში ან ცხელ წყალში ჩადებდნენ. „ჩირქის მოსაგროვებლად“ თუთის ტყლაპს, გამდნარ თაფლის სანთელს, მრავალძარღვას დაიდებდნენ. გამოსარწყავად იყენებდნენ კლდის დუმას//კაციყურას [Sedum caucasicum] ფოთოლს, ასევე თბილ წყალში დამბალ საქონლის დვრიტას, რომელსაც მტკივან თითზე დაიდებდნენ და შეიხვევდნენ. ამავე მიზნით ხმარობდნენ სხვადასხვა შემადგენლობის მაღამოებსაც: თაფლის სანთლის, პურის ცომისა და შემწვარი ხახვის, ასევე ხორბლის ფქვილის, კვერცხის გულისა და შაქრის ნაზავებს. ჩირქის გამოსაღებად ეფექტურად იყო მიჩნეული წირნის ფაფა, რომელსაც შემდეგნაირად ამზადებდნენ: ჭერამს კურკიანად გაახმობდნენ, დანაყავდნენ, მოხარშავდნენ, ფქვილს ამოუკიდებდნენ//შეურევდნენ, თითზე სქლად წაისვამდნენ და ნარეცი ნაჭრით გადაიხვევდნენ.

მტკივანი თითის ცხელი წყლითა და ცხელი ნაცრით მკურნალობა დადებითად მოქმედებდა, რადგან აფართოვებდა სისხლძარღვებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ამასთან ერთად, ამალვებდა ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის უნარს.

კანის ჩირქგროვებიდან სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული იყო ძირღიდა//ძირმაგარა (ფურუნკული) და პირღაღმა//ბრმა მუწუკი (შესაძლებელია კარბუნკული).

აღწერილობით, ძირმაგარა გამოდიოდა სხეულის ყველა ადგილას. თავდაპირველად ჩნდებოდა წითელი გამაგრება, შემდეგ კი ჩირქდებოდა. ძირმაგარისგან განსხვავებით, „პირღაღმას“ თავი არ უჩანდა და უფრო რთულად ითვლებოდა. ჩირქგროვები ძირითადად „ჭუჭყის“ ე.ი. ინფიცირების შედეგად მიაჩნდათ, რომლის გართულებას ხელს უწყობდა გაციება. ჩირქგროვების მკურნალობა მიმდინარეობდა გარკვეული თანამიმდევრობით.

პირველ რიგში სიმსივნეს გადაადუღებელი ან წყაროს წყლით გაასუფთავებდნენ და დასამწიფებლად დაადებდნენ: უცეცხლო თაფლს, შემწვარ ხახვს, თუთის „ბაქმას“, რძეში მოხარშულ მრავალძარღვას, ლორცოფინას//ლენცოფას, კომბოსტოსა და ჭინჭრის ფოთლებს, ასევე გამოიყენებოდა სოსნის [Crocus speciosus], გლერძისა [Astragalus cancasicus] და კორკოტინასაგან//ბალბასაგან [Malva] დამზადებული ფაფები. კორკოტინას გარეცხავდნენ, მოხარშავდნენ და ფქვილს „მოუკიდებდნენ“ ან გასუფთავებულ მრავალძარღვას ფოთლებს რძეს დაასხამდნენ და აადუღებდნენ.

ძირმაგარის ან პირღაღმის „დამწიფებისას“ დაჩირქდებისას, იტყოდნენ: „ჩირქი შეგატყობინებს, ფეთქავსო“. ჩირქის გამოსარწყავად დაიდებდნენ ვირისტერფას ფოთოლს, გამხმარ, დამარილებულ, შრატში ნადებ დვრიტას, „მუავე პურის“ ცომს საფუარს, ცხვრის დუმას და სხვადასხვა შემადგენლობის მაღამოებს: „თაფლიხოროს“ (სუფთა ხორბლის ფქვილისა და თაფლის ნაზავი) ან ვარდაკაჭაჭას ნაცრისა და კარაქის ან სანთლის, კვერცხის გულისა და წმინდა ერბოს ნაზავებს, ასევე ჭინჭრის, ღვალოს, ვარდის [Rosa] და ხახვისაგან დამზადებულ ფაფებს. მაგალითად, ვარდს, გაახმობდნენ, მოხარშავდნენ, თაფლსა და ფქვილს შეაზედნენ მიღებულ მასას დაზიანებულ არეზე დაიდებდნენ და გადაახვევდნენ.

მკურნალობის ბოლო ეტაპს წარმოადგენდა ჩირქგროვის გამორწყვის შედეგად დარჩენილი იარის შესორცება//მოშუშება სხვადასხვა შემადგენლობის მაღამოებით. თუ იარა ღრმა იყო, მაშინ შიგ ტამპონს - „ფითილს“ (გამდნარ სანთელში ამოვლებული, დახვეული ნაჭერი) ჩადებდნენ, იტყოდნენ: „ჰავას გამოიტანსო“. შესახორცებლად ხმარობდნენ: კვერცხის გულის, უმარილო კარაქისა და სელის ზეთის, კვერცხის გულისა და ხორბლის ფქვილის ან ძირწითელას, წმინდა ერბოსა და გამდნარი სანთლისგან დამზადებულ მაღამოებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩირქი არ გამოირწყვებოდა, მიმართავდნენ სოფლის ექიმს ან დალაქს, რომელიც „ნემტერჯით“ (სამართებელი) გაჭრიდა სიმსივნეს და ჩირქს გამოუშვებდა, შემდეგ კი ჭრილობას უმკურნალებდა.

ჩირქგროვების მკურნალობის ზოგიერთი საშუალება აღწერილია სამკურნალო წიგნებშიც: „შემწვარი ხახვი და ცომის საფუარი ორივე მუწუკსა მწოვედ დაამწიფებს და შემოიყვანს“ (იადიგარ დაუდი: 1985: 508).

კანის ჩირქგროვების სამკურნალო ხალხური საშუალებანი (მრავალძარღვა, კომბოსტო) ეფექტურად მოქმედებდა, რადგან ისინი შეიცავენ დიდი რაოდენობით ვიტამინებს, ფიტონციდებს და ქსოვილის კვებისათვის საჭირო ცხიმებს (Современная фитотерапия: 1988: 140).

სამცხე-ჯავახეთში პერიოდულად ვრცელდებოდა სხვადასხვა სახის ეპიდემიური დაავადება: დიზენტერია, საოფლე/მუცლის ტიფი, ხორველა/ქოლერა, ციებ-ცხელება//მაღარია, იშვიათად შავი ჭირი. გვხვდება მწირი ცნობები ამ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის ხალხური ტრადიციების შესახებ.

როგორც მოპოვებული მასალიდან ირკვევა, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა კარგად იცნობდა ეპიდემიურ დაავადებათა სიმპტომებს, ბუნებას, ერკვეოდა გადადების ფორმებში. ეს გარკვეულად ხელს უწყობდა მათ პროფილაქტიკას.

მაღარია საქართველოში ძველთაგანვე იყო გავრცელებული, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ბარში, რაც უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო გეოკლიმატური ფაქტორით. ფაზისის დაბლობზე მაღარიის გავრცელების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის პიპოკრატი (ყაუხჩიშვილი: 1965: 20-21).

მოგვიანებით, XVII საუკუნეში მაღარიის შესახებ ცნობები მოეპოვებათ ევროპელ მოგზაურებს - ა. ლამბერტს (ლამბერტი: 1991: 151), ჟან შარდენს (შარდენი: 1975: 109)...

საქართველოში, მაღარიის გავრცელების შესახებ მნიშვნელოვანი მონაცემებია დაცული XIX საუკუნის კავკასიის სამედიცინო საზოგადოების კრებულებში. ამ მხრივ საინტერესოა გოლიცინსკის, კოტურნიცის, ლანდას, ერიკსონის (Эриксон: 1904: 1-60), პანტიუხოვის (Пантюхов: 1890: 645-651) და სხვათა ნაშრომები.

ციებ-ცხელებას სამცხე-ჯავახეთში სერიოზული ხასიათი არ მიუღია, მაგრამ ბარის ზოგიერთ დაბლობ სოფლებში (ხიზაბავრა, ტოლოში, ხერთვისი...) საკმაოდ ხშირად ვრცელდებოდა.

ადგილობრივი მოსახლეობა ციებ-ცხელებას უკავშირებდა: გარემოს - ჭაობიან ადგილებს, ზოგიერთი ამ დაავადების გამომწვევად კოლოსაც ასახელებს, რაც შესაძლებელია თანამედროვე სამედიცინო ცოდნის გავლენა იყოს. ციების მიზეზად ასახელებენ აგრეთვე გაციებასა და შიშს. არჩევდნენ ციებ-ცხელების სახეებს: „ღამპალ ცხელებას“ - ახასიათებდა: თავდაპირველად ძლიერი შემცივნება, შემდეგ მაღალი ტემპერატურა, სისუსტე, უმადობა, თავის ტკივილი და სიყვითლე. ამ გზის ციებ-ცხელება ზოგჯერ ერთ თვემდეც კი გრძელდებოდა; „ჩუმ ციებას“ (რუხაძე: 1917: 33-35) - ახასიათებდა მსუბუქად გამოხატული იგივე სიმპტომები: სისუსტე, პერიოდული, არაძლიერი შემცივნება, იტყოდნენ: „ჩუმმა ჩიებამ არ იცის კანკალი, ისე მიაბუჯამსო - მოაღუნებსო“.

ხალხური დაკვირვებით, ციებ-ცხელების შეტევები ემართებოდათ ყოველდღე ან დღეგამოშვებით. სულხან-საბა ორბელიანი ციების სენს „ცხროს“ უწოდებს. მის მიერ აღწერილი მაღარიის კლინიკური სურათი ანალოგიურია სამცხე-ჯავახეთის ხალხური აღწერილობისა. „ყოველდღე ცხროებას ეწოდების ენამეროს და აფიკაროს... მეორის დღის ცხროებას, რომელ შუა ერთი დღე დარჩეს, ეწოდება ლევაია; რა ორი დღე გამოუშვას და მესამეს დღეს გააცხროს, ეწოდების ეტრატოს“ (ორბელიანი: 1993). ნ. ჩუბინაშვილის მიხედვითაც: „ცხრო - ციებ-ცხელების სენი მარადღე, ანუ დღეგამოშვებით, გინა ორის დღის გამოშვებით და უმეტესად“ (ჩუბინაშვილი: 1961).

მსგავსი კლინიკა აღწერილია ძველ სამედიცინო ხელნაწერებში. „უსწორო კარაბადინის“ მიხედვით, მაღარია უმეტესად ზაფხულში ვრცელდებოდა, ხოლო სიმპტომები შემდეგი იყო: „...და ასე ცხრო უფრო დაემართების ახალმოწიფულობისა ჟამსა, დღეთა ზაფხულისათა“ (ქანანელი: 1997: 208), „მისი ნიშანი ესე არს: ერთსა დღესა მოუვიდოდეს და მეორესა - არა“ (ქანანელი: 1997: 207). „...რომე ასტიკვდებოდეს ტანი ყუელგან და ელეწებოდეს წელნი და იყოს ტკივილი სახსართა“ (ქანანელი: 1997: 210).

თანამედროვე კლასიფიკაციით ციებ-ცხელების ასეთი ფორმა შეესაბამება სამდღიურ მაღარიას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ციების სწორედ ეს ფორმა.

საყურადღებოა, რომ სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობა ერიდებოდა მაღარიის კერად მიჩნეულ სოფლებს: ხიზაბავრას, ტოლოშს, ხერთვისს... მაღარია, რომ არ გადადებოდათ. ციებიან დაავადებულთან კონტაქტსაც ერიდებოდნენ და ცდილობდნენ ავადმყოფი იზოლირებულად ჰყოლოდათ.

ციებ-ცხელების სამკურნალოდ მრავალძარღვას დანაყავდნენ, არაყს დაასხამდნენ, ცოტა ხანს გააჩერებდნენ, მიღებულ წვეს ავადმყოფს დღეში რამდენჯერმე დაალევინებდნენ. ასმევდნენ აგრეთვე რძეში გარეულ ცოტაოდენ არაყს, შარბათში ან მჟავე მაწონში შერეულ ორ-სამ კბილ დანაყილ ნიორს. აჭმევდნენ არაყში „ღამპალ“,

მოხარშულ, კანგაცლილ დაჩხვლეტილ კვერცხს, რაც, როგორც ამბობენ, ღებინებას იწვევდა. ღებინების შემდეგ კი ავადმყოფი თავს უკეთ გრძობდა. იცოდნენ საკუთარი შარდის დაღვევაც. მაღარიის მკურნალობის ეს მეთოდი გავრცელებული იყო სხვადასხვა ხალხში. არ არის გამორიცხული, რომ ურინოთერაპიას ამ შემთხვევაში დადებითი ეფექტი ჰქონდა, რადგან შარდმჟავა ქინაქინის მსგავსად სპობს მაღარიის პარაზიტს (თოფურია: 1977: 56).

მაღარიის დროს იცოდნენ ციებიანი ავადმყოფის ცივ წყალში ჩაგდებაც. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში წყალს აპოთროპული დანიშნულება ჰქონდა. ცნობებს ციებ-ცხელებით დაავადებულის წყალში ჩაგდებით მკურნალობის შესახებ გვაწვდის შარდენიც: „პატრი რაფაელი მარწმუნებდა, რომ მას უნახავს ამ ქვეყანაში ციებ-ცხელებისაგან განკურნებულნი, რომლებიც წყლის პირას მიუყვანიათ და აკანკალებულები წყალში ჩაუშვიათ“ (შარდენი: 1975: 355).

ზემოგანხილული მასალიდან ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა საკმაოდ იცნობდა მაღარიის სიმპტომებს, რაზეც მთხრობელთა აღწერილობის გარდა, მიუთითებს დაავადების აღმნიშვნელი ხალხური ტერმინები: „ციებ-ცხელება“, „ციება“.

სამცხე-ჯავახეთში, მაღარია ფართოდ გავრცელებული დაავადება არ არის, მისი ენდემური ფორმები გვხვდება მხოლოდ ბარის სოფლებში (ხიზაბავრა, ტოლოში, ხერთვისი...), რომელთათვისაც დამახასიათებელია ჭაობიანი რელიეფი.

საერთოდ კი სამცხე-ჯავახეთი ჯანსაღი ჰავით გამოირჩევა. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ არ მიუღია აქ მაღარიას ეპიდემიური ხასიათი.

ფრონელის მიხედვით, სამცხეში: „...ზამთარი ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანია; ადგილ-ადგილ კი ფრიად თბილი და ზაფხულს შეზავებული. ჰავა ჯანმრთელობისთვის მარგებელია. რადგან აქ ჭაობები და დაგუბებული წყალი არ მოიძებნება, ამიტომაც არ იცის ციებ-ცხელება, როგორც სამეგრელოს და ზღვისპირის აფხაზეთმა“ (ფრონელი: 1991: 123).

ჰავის სიჯანსაღით აღ. ფრონელის მიხედვით, განსაკუთრებით ჯავახეთი გამოირჩეოდა: „მთელ საქართველოში არ მოიპოვება იმისთანა საღი ჰავა, როგორცაა ჯავახეთში. რა ხილია ციებ-ცხელება, აქ არავის გაუგონია. ან საიდან გაჩნდება ციებ-ცხელება ამ მაღალ ველ-მინდორზე, სადაც ჭყაპი და ჭაობიანი ადგილები არაა. ზაფხულობით ბარში წყალი დუბელაა და სასმელად მაწყინარი, ჯავახეთში კი ისეთი ცივი წყაროებია, რომ კბილსა კვეთს“ (ფრონელი: 1991: 162-163). ამგვარად ფრონელიც აღნიშნავს, რომ სამცხე-ჯავახეთის მხოლოდ ბარის ზოგიერთ სოფელში იყო ჭაობიანი, დუბელა (თბილი, უგემური) და მაწყინარი წყალი.

სამცხე-ჯავახეთში საკმაოდ გავრცელებული იყო მუცლის ტიფი//„საოფლე“, რის ხელშემწყობ ფაქტორებად ითვლებოდა სასმელი წყალი, არასრულფასოვანი კვება, უხარისხო პროდუქტი... (Иванов: 1889: 80).

ადგილობრივ მკვიდრთა აღწერილობით, მუცლის ტიფს ახასიათებდა: თავის ტკივილი, უმადობა, ფაღარათი და მაღალი ტემპერატურა. გადმოცემით, ზოგიერთ რეგიონში (ასპინძაში) ეპიდემია პერიოდულად ისე ვრცელდებოდა, რომ ურმით მიჰყავდათ ხოლმე მუცლის ტიფისგან დახოცილები (ჩირგაძე: 1988: 23).

მუცლის ტიფი ითვლებოდა გადამდებად, მას ძალიან ერიდებოდნენ და ავადმყოფი იზოლირებულად ჰყავდათ. სამკურნალო ხალხური საშუალებანი სამცხე-ჯავახეთში ნაკლებად დასტურდება. სიცხის დასაწევად ავადმყოფს ყინულს მოაწუწინებდნენ ხოლმე. აძლევენ აგრეთვე ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ შემკვრელ საშუალებებს: ანწლის, პანტის ნახარშებს...

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში აღწერილია გადამდები სნეულება, რომელსაც „საოფლე“ ეწოდება. სულხან-საბა ორბელიანი საოფლეს შემდეგნაირად განმარტავს: „ესე არა სნება გარდამდები“ (ორბელიანი: 1993). XVI საუკუნით დათარიღებულ წიგნში აღწერილი საოფლე ზოგიერთი ნიშნებით გვაგონებს მუცლის ტიფს: „აწე ესე უნდა იცოდეთ, რომე ის კაცი, რომ პირველსა შეყრაზედა მწოდე გააცხელოს და ძალიანად შეყაროს და მწოდე წაახვიოს და მართ ჭკუაცა შეუშალოს...“ (იადიგარ დაუდი: 1985: 145). „...და ავად მყოფი პირველზედა დაწვეს და საგებლად ჩავარდეს იმა დღიდაღმან ორმოცსა დღემდისინ...“ (იადიგარ დაუდი: 1985: 142).

ზემოთ მოყვანილი ამონარიდის მიხედვით, დაავადების ხანგრძლივობა ორმოცი დღითაა განსაზღვრული და ცხელებით მიმდინარეობს. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება მუცლის ტიფის აღწერილობასთან გვაქვს საქმე.

მუცლის ტიფის სამკურნალო თუ პროფილაქტიკური საშუალებები: ავადმყოფის იზოლირება, ასევე ყინულითა და მცენარეებით (ანწლი, პანტა...) მკურნალობა გარკვეულ შემთხვევაში დადებითად მოქმედებდა, რადგან ცნობილია, მაღალი ტემპერატურის დასაწევად ყინულისა თუ ცივი საფენების გამოყენება მიზანშეწონილია.

სამცხე-ჯავახეთში ქოლერას ხშირად შავ ჭირთან აიგივებდნენ. გადმოცემით, ეს დაავადება უფრო ხშირად ომიანობის დროს იხენდა თავს. ვრცელდებოდა ზაფხულში (ივლის-აგვისტოში), ახასიათებდა: ფაღარათი, პირღებინება, მუცლის ტკივილი. ხალხური დაკვირვებით, ის „მავალნი იყო ჰაერში“ - ჰაერით ვრცელდებოდა. ქოლერის მკურნალობის ხალხური საშუალებები სამცხე-ჯავახეთში არ დასტურდება. ავადმყოფს დრო და დრო არაყს დაალევინებდნენ ხოლმე. მოსახლეობა ქოლერას ძალიან ერიდებოდა. თუ სოფელს ქოლერა მოედებოდა, მოსახლეობის ჯანმრთელი ნაწილი იხიზნებოდა. ავადმყოფი, როგორც წესი იზოლირებული ჰყავდათ, სახლში მარტო დატოვებდნენ, ზოგჯერ მომვლელად მოხუც ქალს მიუჩენდნენ და საჭმელ-სასმელს ჭიშკართან უტოვებდნენ. თუ ქოლერიანი ავადმყოფი დაიღუპებოდა, მის სახლ-კარს გვამიანად დაწვავდნენ და ფერფლს კირს მოაყრიდნენ, იტყოდნენ: „არ წავა ცუდი ჰაერი“.

შავი ჭირი ქოლერაზე უფრო მძიმე დაავადებად მიაჩნდათ და მიმართავდნენ იგივე საშუალებებს: ავადმყოფის იზოლაციას, ინფექციის კერის დაწვას, კირის მოყრას... ეპიდემიის დროს სოფლები მთლიანად იხიზნებოდნენ.

აღნიშნულ რეგიონში XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული წყაროების მონაცემების მიხედვით, შავი ჭირის წინააღმდეგ ჩატარებული იყო მთელი რიგი სახელმწიფო-სამთავრობო ღონისძიებანი. შეიქმნა „ამიერკავკასიის მხარის შავი ჭირის ეპიდემიისაგან დაცვის კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ დანიშნული იქნა პოეტი ალ. ჭავჭავაძე. როგორც ირკვევა, შავი ჭირის მიმდინარეობასა და კლინიკას საკმაო სიზუსტით იცნობდნენ, არჩევდნენ ნაღვლისმიერ, ნერვულსა და ლპობით ფორმებს (შენგელია: 1970: 231).

არის ცნობა, რომ „...საქართველოში მაშინ გაგრძელებული ყოფილა შავი ჭირით დაავადებულთა „ძირმაგარიდან“ ნეკროზული ქსოვილისა და ჩირქის აღება, მისი შენახვა მომავალი წლისთვის და ფხვნილად ქცევის შემდეგ მისი მიღება წყალში გახსნილი სახით. საინტერესოა, რომ მაშინდელი სწავლული ექიმები ამაში ხედავდნენ „დამღუპველ ცრუმორწმუნეობას“, რომელიც თითქოს წარმოადგენდა „დაუშრობელ წყაროს“... შავი ჭირის... „გამუდმებული ეპიდემიებისა“ აღმოსავლეთში. რასაკვირველია ამაში „დამღუპველი ცრუმორწმუნეობა“ კი არ არის, არამედ გენიალური ხალხური გააზრებაა, რომელმაც შემდეგში საფუძველი ჩაუყარა იმუნოლოგიას. სწორედ ამიტომ იყო ალბათ, რომ როგორც მაშინდელი ექიმები სწერდნენ საინსპექტორო შემოვლის პურნალში: „ახალციხის მკვიდრი მცხოვრებნი, ასე ვთქვათ, ჭირთან ერთად დაბადებულნი, ძალიან ადვილად ჯანსაღდებოდნენ, განსაკუთრებით ხანში შესულები“ (შენგელია: 1970: 231-32).

შავი ჭირი ერთ-ერთი უძველესი ეპიდემიური დაავადებაა. შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო ძეგლებში ის სხვადასხვა სახელწოდებითაა მოხსენიებული, ესენია: „ავი ჟამი“, „ტყაღუნი“, „ტაუნი“ და სხვა.

„უსწორო კარაბადინის“ მიხედვით: „ნიშანი ავის ჟამისა, რომე ტყაღუნი ჰქვიან. ესე ჟამისა ნიშანი არის, ესე მჯდომი არის ან გამოვა ყურის ძირს, ანუ ენისა ძირსა, ანუ ძუძუსა ძირსა, ან ღლიასა, ანუ საზარდულსა; ესე მჯდომი ნამეტნავად იქნების და საური შეიძლების და ავი ჟამი შეიქნების, ქალაქებშიგა გამოჩნდების, და მწოვედ ეწვებოდეს. ის ადგილისა ფერი წაუღოს და გულისა ძეგრა გამოუჩნდეს, ბნედა გამოუჩნდეს; ნიშანი მისი, რომე მჯდომი გამოვიდეს... ავი არის და მკულელი; და ფერი თუ მოშაოდ დაეცემოდეს, ავი არის; თუ წითელი იყოს და მოყვითალოდ სცემდეს ფერი, ისი უფრო წყნარი არის“ (ქანანელი: 1997: 520) ე.ი. ამ დაავადების ძირითად კლინიკურ ნიშნად მიჩნეული ყოფილა მჯდომი ანუ მოშავო, მოწითალო ან მოყვითალო ფერის დიდი ჩირქოვანი მუწუკი იღლის, საზარდულის, ყურის მიდამოებში. ახასიათებდა გულის ფრიალი და ხშირი გულის

შედონება. ხაზგასმულია ავი ქამის გავრცელების ეპიდემიური ხასიათი, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში (ქალაქებში).

შემდგომ XV საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში ავი ქამის სიმპტომები უფრო ფართოდ და მრავალმხრივად არის წარმოდგენილი, კლინიკური ნიშნებიდან აღსანიშნავია: ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, გულის ფრიალი, ნერვული აგზნების მოვლენები, გულისრევა, პირღებინება და ფაღარათი. XVI საუკუნეში „ავი ქამი“ ფრიად საშიშ დაავადებად ყოფილა მიჩნეული: „აწე ესე იცოდით რომე, სრულად ყოველსა ავად ყოფობაშიგა ამის უძნელესი, და ამის უარესი ავად ყოფა არ არის...“ (იადიგარ დაუდი: 1985: 527).

სამცხე-ჯავახეთში, ქოლერისა და შავი ჭირის დროს გამოყენებული პროფილაქტიკური ღონისძიებები (გახიზვნა, კირის მოყრა...) მიზანშეწონილი იყო და რამდენადმე ამცირებდა ეპიდემიების გავრცელებას.

სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული სამედიცინო კულტურა მოიცავს ნატუროპათიურ და მაგიურ-რელიგიურ სამკურნალო პრაქტიკას. ქირურგიული, ბავშვთა, ყელ-ყურ-ცხვირის, შინაგანი, ეპიდემიური დაავადებების მკურნალობის მრავალფეროვან მეთოდებსა და საშუალებებს.

საკვლეფ რეგიონში დადასტურებული ხალხური მკურნალობის პრინციპები ახლო დგას მკურნალობის თანამედროვე პრინციპებთან, განსხვავდება მხოლოდ მეთოდები და საშუალებები. ამაზე მიუთითებს თავის ქალის ტრეპანაციის, შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადების დროს გამოყენებული ხალხური მეთოდები. ასევე ტრავმების ეტაპობრივი მკურნალობა - ჭრილობის გაწმენდა-გასუფთავება-დეზინფექცია, სისხლის დენის შეჩერება და ქსოვილის აღდგენა, მოტეხილობის შემთხვევაში ძვლების გასწორება, ფიქსაცია, ნაღრძობის დროს მსუბუქი მასაჟი, ამოვარდნილობის დაჭიმვით მკურნალობა, ძვლის სახსარში ჩაყენება... კანის სხვადასხვა გაღიზიანებათა მკურნალობა პირველ რიგში დასამწიფებელი საშუალებებით, ჩირქის გამოშვება და შესახორცებელი საშუალებებით, სხვადასხვა სახის მცენარეებითა თუ მალამოებით მკურნალობა.

ქალის ჯანმრთელობის ზრუნვაზე მიუთითებს წესები, რომელიც დაცული იყო კრიტიკულ დღეებში, ფეხმძიმობის, მშობიარობის დროს და შემდეგ. ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო მაგალითია საკვლეფ რეგიონში დადასტურებული ჩვილ ბავშვთა კვების სისტემა (ძუძუს წოვების თავისუფალი რეჟიმი, დროული დამატებითი კვება...), რძის პროდუქტებით, კალციუმ მდიდარი საკვებით და სხვა, რაც ჯანმრთელობის დაცვის მთავარ პირობად უნდა მივიჩნიოთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინფექციურ დაავადებებთან **ბატონებთან** დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც ავადმყოფზე დადებითად მოქმედებდა, მშვიდ ატმოსფეროსა და სასიამოვნო განწყობას უქმნიდა და მის საერთო მდგომარეობას აუმჯობესებდა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხეში დადასტურებულია ყვავილის აცრის ფაქტი. ყვავილის აცრას ადგილობრივი მკურნალები ვარიოლაციის მეთოდით ატარებდნენ. ცნობილია, რომ ვარიოლაციის ეს მეთოდი საქართველოს გზით გავრცელდა ევროპაში.

შინაგან, ყელ-ყურ-ცხვირის, სახსრების და სხვა დაავადებათა მკურნალობა, ნატუროპათიური საშუალებების გამოყენებით, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა: ცხიმები, ბაქტერიოციდები, ფიტონციდები, ვიტამინები მათ ეფექტურ მოქმედებას განაპირობებდა.

ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ხალხური ღონისძიებები ემყარებოდა დაავადებათა სიმპტომებზე, ეტიოლოგიასა და ბუნებაზე ემპირიული დაკვირვების შედეგად მიღებულ ცოდნას. ეპიდემიურ დაავადებათა პროფილაქტიკურ სამთავრობო ღონისძიებებთან ერთად, დაავადებათა ფართოდ გავრცელების შეზღუდვას ხელს უწყობდა საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ხალხური წესები და ღონისძიებები, რაც გულისხმობდა - ავადმყოფის იზოლირებას, პირადი ნივთებისა და სამყოფლის დეზინფექციას (კირის მოყრა), ხოლო ძლიერი ეპიდემიების შემთხვევაში, ეპიდემიის კერის დატოვებას (გახიზვნა) და განადგურებას (დაწვა).

სამცხე-ჯავახეთის ხალხური სამედიცინო სისტემა ეფუძნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საუკუნეთა მანძილზე ემპირიული დაკვირვების შედეგად მიღებულ გამოცდილებას, ბუნებრივი რესურსების სიმდიდრეს, მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას, მინერალური წყლების სიუხვეს... ხშირ შემთხვევაში მკურნალობის კომპლექსურ ხასიათს, რაც თერაპიულ და ქირურგიულ საშუალებებთან ერთად სათანადო ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებას ითვალისწინებდა შელოცვების და სხვა მაგიურ-რელიგიური რიტუალებით მკურნალობის პრაქტიკის სახით. ამასთან ერთად, სამცხე-ჯავახეთის ხალხური მედიცინის ეფექტურობას განაპირობებდა ხალხური მკურნალების, ხშირ შემთხვევაში საოჯახო-საგვარეულო მედიცინის წარმომადგენლების ცოდნა-გამოცდილება.

სამცხე-ჯავახეთის ხალხური სამედიცინო სისტემა, რომელიც უნივერსალური ტრადიციული სამედიცინო კულტურის ნიშნების მატარებელია (მკურნალობის ნატუროპათიური ხასიათი, ნატუროპათიური და მაგიურ-რელიგიური საშუალებების კომპლექსური გამოყენება, მკურნალების სოციალური სტატუსი და სხვ.), გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა, რაც განპირობებული იყო ადგილობრივი გეოკლიმატური, სოციალურ-კულტურული და ისტორიული გარემოთი. ერთ-ერთ ასეთ თავისებურებას წარმოადგენს ადგილობრივ სამედიცინო ლექსიკაში თურქული სამედიცინო ტერმინების დამკვიდრება. მიუხედავად სამკურნალო საშუალებისა და სამედიცინო პერსონალის თურქული სახელდებისა, ადგილობრივი სამედიცინო ტრადიციები და მკურნალთა სოციალური სტატუსი საერთოქართულ ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, თურქული გავლენა, რომელიც ძირითადად ტერმინოლოგიის დონეზე ვლინდება, ზედაპირულად მიგვჩვენებს.

სამცხე-ჯავახეთი ძველი ქართული კლასიკური მედიცინის განვითარების ერთ-ერთი ცენტრი იყო. აქ შექმნილი სამკურნალო წიგნები - კარაბადინები, ადგილობრივ მოსახლეობაში ვრცელდებოდა და ხელს უწყობდა ოფიციალური სამედიცინო ცოდნის გარკვეული ელემენტების შერწყმას ხალხურ სამედიცინო ტრადიციებთან, ადგილობრივი სამედიცინო კულტურის გამდიდრებას. მეორე მხრივ კი, ოფიციალური მედიცინა სარგებლობდა ხალხური სამედიცინო გამოცდილებით. სამცხე-ჯავახეთის ხალხური სამედიცინო ტრადიციებისა და ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში აღწერილი მკურნალობის წესების მსგავსება ამ ფაქტის საუკეთესო ილუსტრაციაა.

ყოველივე ზემოთქმული, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთში დადასტურებული სამედიცინო ტრადიციების მრავალფეროვნება და ეფექტურობა, ადგილობრივი ხალხური სამედიცინო კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. აბღუშელიშვილი მ., პატარაია შ., ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდაში მავნე

- ტრადიციის შორეული შედეგები, თბ., 1978
2. Абакелия Н., Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991
 3. აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
 4. ასლანიშვილი ი., ჩიყვის ახალი კერები საქართველოში, თანამედროვე მედიცინა, თბ., 1929, II
 5. Базарова М. Г., О лечении сифилиса на Абастуманских минеральных водах в сезон 1887, МСКМО, 47, 1888
 6. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1951
 7. ბარდაველიძე-ლომია ვ., ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, ტფ., 1928
 8. Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957
 9. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985
 10. ბურდული მ., ძველი ქართული მედიცინა არქეოლოგიური მასალის მიხედვით, თსუ ახალციხის ფილიალის შრომების კრებული, II, 2000
 11. ბურდული მ., ლეჩხუმის ეთნოგრაფიული დღიური, 1984
 12. Ган К., Известия древних греческих и римских писателей о Скифии и Кавказе, СМОМПК, Тф., 1884
 13. გვათუა ნ., დმანისის რაიონის ეთნოგრაფიული დღიური, 1991
 14. გვათუა ნ., ბოლნისის რაიონის ეთნოგრაფიული დღიური, 1991
 15. გველ-მოგაკალ უფლისათვის, ქართული შელოცვები, (წიგნთა და ხელნაწერთაგან გამოკრება მიხო მოსულიშვილმა), თბ., 1992
 16. Горбанев П., Народные средства для лечения болезней, СМОМПК, 1893, XVI
 17. Эриксон Э., Опыт санитарного обзора окрестностей Батуми, МСКМО, 63, 1904
 18. ვახუშტი ბატონიშვილი, ისტორიებრივი აღწერა (ს. კაკაბაძის გამოცემა), ტფ., 1914
 19. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973
 20. ზარზმელი ბასილი., სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1982
 21. ზედგენიძე გ., ჯავახეთი, მშობიარობა, ბავშვის აღზრდა, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი, M 1, 67, რვ. I, 1946
 22. ზედგენიძე გ., ჯავახეთი, შელოცვები, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი, M 1, 67, რვ. II, 1946
 23. თამარაშვილი ა., კარაბადინი, სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატი 3906
 24. თომსენი რ., ბიბლიის სამედიცინო სიბრძნე, თბ., 1997
 25. თოფურიას ი., მაღარია საქართველოში, თბ., 1977
 26. იადიგარ დაუდი, თბ., 1985
 27. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1982
 28. Иванов В., Город Ахалцих, СМОМПК, 1889, 17
 29. იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1987
 30. იოანე ბატონიშვილი, სჯულდება, თბ., 1957
 31. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ქართული პროზა, წიგნი VI, თბ., 1984
 32. იოსელიანი ა., აცრიტ ყვავილის მკურნალობის ისტორიიდან ძველ საქართველოში, კრბ. „იოანე ჯავახიშვილი“, თბ., 1977
 33. ი. ბარკალა-ი. იოანე ბარკალაშვილი, ჩვენებური ამბები, ივერია, N257, 1902
 34. Йорданов Д., Никонов П., Бойчинов Асп., Фитотерапия, Болгария, 1970
 35. კაკუშაძე ნ., უემურის საიდუმლოება, ჟურნ. საბჭოთა ქალი, 1964, 4
 36. კარაბადინი - იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ხელნაწერი 136, ფ. 96 რ
 37. კაპანაძე ნ., ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური ტრადიციები, თბ., 1994
 38. ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991
 39. ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975

40. Латышев В.В., Известия древних писателей греческих латинских о Скифии и Кавказе. 1 Греческие писатели. вып. 2 (Приложение записки императорского русского археологического общества), СПб, 1896
41. Мажеников С., Народная медицина, СМОМПК, 1893, XVI
42. მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938
43. მაკალათია ს., ფშავი თბ., 1934
44. Мамаладзе Т., Народные обычаи и поверья гурийцев, СМОМПК, XVII, 1893
45. Машурко М. Т., Из области народной фантазии и быта, СМОМПК, т. 32, 1903
46. მინდაძე ნ., ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981
47. მინდაძე ნ., ქართული ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის მიზანი და ამოცანები, „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, I, თბ., 1990
48. მინდაძე ნ., ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ხევსურეთში, კრბ. ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა, თბ., 1997
49. მინდაძე ნ., ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2000
50. მინდაძე ნ., რელიგიური სინკრეტიზმი ქართულ ხალხურ მედიცინაში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001
51. მინდაძე ნ., ოჩხარი, ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფოლკლორული ძიებანი, თბ., 2002
52. მინდაძე ნ., ქართული ტრადიციული მედიცინის ისტორიიდან (ავი თვალი) ქართველური მემკვიდრეობა, X, ქუთაისი, 2006
53. მინდაძე ნ., წმინდა ბარბარე ქართულ ტრადიციაში, ნ. ხაზარაძე, ნ. მინდაძე ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში, თბ., 2008
54. Минкевич И., Музыка как медицинское средство на Кавказе, Сравнительное исследование, ПЗКМО, 1892/93 II, 14
55. მირიანაშვილი ქ., სათევზაო ბადეების რელიგიური მნიშვნელობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბ., 1987
56. ნებიერიძე ლ., პედიატრიის ხალხური ტრადიციები საქართველოში (იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 2006
57. ნიორაძე გ., ქვის ხანის ადამიანები საკაუკას გამოქვაბულში, თბ., 1953
58. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, I, 1991
59. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, II, 1993
60. ოჩიაური თ., დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა, თბ., 1987
61. Пантюхов И. И., К столетию присоединения Грузии к России, Народное врачевание на Кавказе, ТФ., 1901
62. Пантюхов И. И., Медико-топографический очерк реки Риони, Тф., 1890
63. Плосс Г. П., Женщина в естествоведении и народноведении, С-Петербург, 1900
64. Пирогов Н. И., Отчет о путешествии по Кавказу, М., 1952
65. რუხაძე ნ., მაღარია, თბ., 1917
66. სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წიგნი I, თბ., 1956
67. სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წიგნი II, თბ., 1958
68. სიხარულიძე ა., დისერტაცია, საქართველოს ვეშაპები და ვეშაპოიდები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1970
69. Современная фитотерапия, София, 1988
70. სურმანიძე რ., მცირე კარაბადინი, აჭარა, ბათუმი, II, 1991
71. ფანასკერტელი ზ., სამკურნალო წიგნი, თბ., 1978
72. ფირფილაშვილი პ., პალეონთროპოლოგიური მასალები ძველ საქართველოში დაავადება-დაზიანებათა და სამკურნალო მანიპულაციების შესწავლისათვის, თბ., 1956
73. ფირფილაშვილი პ., ნარკვევები ძველი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ., 1989
74. ფრონელი ა., დიდებული მესხეთი, თბ., 1991

75. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1997
76. ქართული ხალხური შელოცვები, ბათუმი, 1994
77. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986
78. ყაუხიშვილი თ., ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965
79. ღლონტი აღ., ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, თბ., 1974
80. Шабловский И.И., Медикаменты и способы лечения употребляемые народными врачами Абхазии и Самурзакано, МСКМО, 41, 1886
81. შარდენი ჟ., მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1975
82. შენგელია მ., საქართველოს სამკურნალო მცენარეები, თბ., 1952
83. შენგელია მ., ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970
84. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ადიგენის რაიონი. 1986 (ხელნაწერი)
85. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ადიგენის რაიონი. 1987 (ხელნაწერი)
86. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ახალციხის რაიონი. 1988 (ხელნაწერი)
87. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ახალციხის რაიონი. 1989 (ხელნაწერი)
88. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ასპინძის რაიონი. 1988 (ხელნაწერი)
89. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ასპინძის რაიონი. 1991 (ხელნაწერი)
90. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ახალქალაქის რაიონი. 1988 (ხელნაწერი)
91. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ახალქალაქის რაიონი. 1989 (ხელნაწერი)
92. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ახალქალაქის რაიონი. 1990 (ხელნაწერი)
93. ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები. ზემო აჭარა. 1991 (ხელნაწერი)
94. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბ., 1961
95. Чурсин Г. Ф., Народные обычаи и верования Кахетии, Тф., 1905
96. წიგნი სააქიმოი, თბ., 1936
97. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950
98. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, წიგნი I, თბ., 1979
99. Хаханов Ал., Месхи (этнографический очерк), Этнографическое обозрение, N3, М., 1891
100. ხაჭაპურიძე რ., მაგიური მკურნალობის ისტორიიდან, ქუთაისი, 2006
101. Яшвили А., Народная медицина в Закавказском крае, Тф., 1904

NINO CHIRGADZE
Traditional Medical Culture of Samtskhe-Javakheti

Traditional medical culture of Samtskhe-Javakheti includes naturopathic and magic-religious treatment practices, variety of surgical, children's, otorhinolaryngologic, internal diseases, epidemic diseases treatment methods and remedies.

In the studied region the proven principles of folk medicine are close to the modern treatment principles. Only the methods and remedies are different. This could be demonstrated by the folk methods of trepanation of the skull, treatment of the bladder stones, as well as staged treatment of the traumas – cleaning and disinfection of the wounds, elimination of bleeding and restoration of the tissues, in case of fractures – straightening of the bones and their fixation; in case of dislocations – light massage; treatment of abarticulations – through stretching; setting of the bones ... treatment of various skin irritations, primarily by means of the gathering medicines, removal of suppuration and treatment with the healing medications; various medicinal herbs and ointments.

The rules followed in the critical days, at a time of pregnancy and delivery and further period show care about the female health. The best example of healthcare in the studied region is the system of nourishment of the newborns (free mode of breastfeeding, timely additional feeding ...), dairy products, food rich with calcium etc, what could be regarded as the key condition for the healthcare.

Special attention should be paid to the customs related to the infectious diseases, positively impacting the patients, creating comfortable environment and pleasant mood thus improving general condition of the patient. It is significant that in this region there were proven facts of smallpox vaccination.

Local doctors conducted vaccination applying variolation method. It is known that this variolation method penetrated into the Europe through Georgia.

Treatment of the internal diseases, otorhinolaryngologic, joints and other diseases was provided by naturopathic means, including fats, bactericides, volatile production; vitamins ensured their effectiveness.

Folk measures against spreading of the epidemic diseases were based on the symptoms of diseases, their etiology and nature, knowledge gained in result of empirical observations. In addition to the governmental measures against epidemiological diseases, customs and measures developed for many centuries contributed to localization of the epidemics. Such measures included: isolation of the diseased, disinfection of the personal things and premises (spreading of lime) and in case of extensive epidemics leaving of the center of epidemics (escape) and destroying of the place (burning).

Folk medicine system of Samtskhe-Javakheti was based on the experience gained in result of empiric observations by the local population for many centuries, as well as wealth of the natural resources, versatility of the vegetation cover, wealth of mineral waters ... in many cases the complex nature of treatment, including, in addition to surgical and therapeutic methods the psychotherapeutic treatment, in a form of spells and magic-religious rituals. In addition, effectiveness of Samtskhe-Javakheti folk medicine was conditioned by the knowledge of folk healers and in many cases – representatives of the family medicine.

Folk medical system in Samtskhe-Javakheti, which is bearer of the signs of universal traditional medical culture (naturopathic nature of treatment, complex application of the naturopathic and magic-religious remedies, social status of the healers etc.), is distinguished with certain characteristic features, conditioned by local geo-climatic, social-cultural and historical environment. One of such characteristic features is introduction of the Turkish medical terms in local medical vocabulary. Irrespective of Turkish names of the treatment means and medical personnel, local medical traditions and social status of the healers are of general Georgian nature. Consequently, the Turkish influence, revealed at the level of general terminology seems to be of superficial nature.

Samtskhe-Javakheti was one of the centers of development of Georgian classical medicine. Medical books developed here – the Karabadians were spread among the local population facilitating unification of certain elements of formal medical knowledge with the folk medical traditions, enriching of local medical culture. On the other hand, the formal medicine took advantage of the local medical experience. Similarity of Samtskhe-Javakheti folk medical traditions and treatment rules described in the ancient Georgian medical manuscripts provide the best illustration of this fact.

All the above and especially versatility of proven medical traditions in Samtskhe-Javakheti and their effectiveness point to the high level of local folk medical culture.